უკრაინა: მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებაზე შეთანხმდნენ A5

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს, ელექტროენერგიის გარეშე დარჩენა ემუქრება A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 27 ნოემბერი, 2004 წელი. №282 (831)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

"დღეს "მადნეულს" მომავალი არ გააჩნია," - ამბობს ახალი გენერალური დირექტორი



ახალ დირექტორს მიაჩნია, რომ „მადნეულს" პრივატიზება და ინვესტორი სჭირდება.

A2

### საზოგადოება

„დილა„ ასი წლის გახდა



გუშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიმართა საბავშვო ჟურნალი „დილას" დაარსებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება.

A6

### სამართალი

დიპლომატიური კორპუსი შსს-ში მიმდინარე რეფორმით კმაყოფილია



ირაკლი ოქრუაშვილის მოხსენებით, ანუ სტრუქტურაში მიმდინარე რეფორმით დიპლომატიური კორპუსი კმაყოფილი დარჩა.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

# "მემარჯვენე ოპოზიციამ" კანონპროექტის თხრაში, კახა ლომაია გამოთხარა

გიორგი ასანიშვილი

*„მემარჯვენე ოპოზიციამ" სცადა, „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის მიმართულებით ქარი დაეთესა, სანაცვლოდ კი, ქარიშხალი მოიმკო. მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა გუშინ, 143 ხმით 10-ის წინააღმდეგ, აღნიშნული დოკუმენტი პირველი მოსმენით მაინც დაამტკიცა. ამასთან, ფიქრია ჩიხრაძესა და მის თანაგუნდელებს განათლების მინისტრისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებისგან მწარე დაცინვის ატანაც მოუხდათ. „მემარჯვენე ოპოზიციამ" კარგად იცოდა, რომ კანონპროექტის დაბლოკვას ვერ მოახერხებდა, მაგრამ მაინც გაიბრძოლა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



იური ლობოდინის ფოტო

# ტენდენცია - რევოლუციის სახელით - უნდა დასრულდეს

მაია ჭალაგანიძე

*თავის დროზე მან დატოვა აღმასრულებელი ხელისუფლება (კულტურის მინისტრის პოსტი) და მოგვიანებით, საკანონმდებლოც. იქამდე, 1997 წელს თავისი დამოკიდებულება გამოხატა მწერალთა კავშირის მიმართ და ისიც დატოვა. მაშინდელი მთავარი სახელისუფლებო გაზეთი წერდა, რომ ეს კავშირი პრეზიდენტის მთავარი საყრდენი იყო და მისი დაშლა პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებს სურდათ (ასე აგვიხდა ყველაფერი)... რაც ვერ მოიშალა, ეს ლექსის წერა და თელავში სიარულია. დღეს მას თელავის საპატიო მოქალაქედ დაასახელებენ.*
*კარგი ლექსი მარადიულად ცხოვრობს. გაუძლებს თუ არა თუნდაც ერთ ეპოქას ახალი ჰიმნი - ამის შესახებ და კიდევ ბევრ რამეზე ჰიმნის ტექსტის ავტორი, დავით მაღრაძე გვესაუბრება.*

გაგრძელება B1 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

# საქართველოში სიტყვის თავისუფლება იზღუდება

გორს, ამ მხრივ, „უბედურების ზონად" აცხადებენ

ვერიკო თევზაძე

*„საქართველოში სიტყვის თავისუფლება იზღუდება... ქალაქი გორი და შიდა ქართლის რეგიონი, ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ, „უბედურების ზონა" გახდა. ყველა პასუხისმგებელი პირი, რომელიც ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას და უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, მკაცრად უნდა დაისაჯოს," - აცხადებს მესამე სექტორის წარმომადგენელი ლევან რამიშვილი.*

გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში გამართულ შეხვედრაზე გორში განვითარებულ არასახარბიელო მოვლენებზე ისაუბრეს. დედაქალაქს სტუმრობდნენ გორელი ჟურნალისტები და იურისტები. მათ განაცხადეს, რომ **„რეგიონში მესამე ხელისუფლება აშკარად ზღუდავს მეოთხე ხელისუფლებას და ამ პროცესების უკან დგას პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელი".**

კერძოდ, საქმე ეხება გორში გამომავალ გაზეთებს „თრიალეთს" და „ხალხის გაზეთს." როგორც გუშინდელ შეხვედრაზე აღინიშნა, გაზეთ „თრიალეთში" გამოქვეყნდა ლიახვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მამუკა ნოზაძის ფოტო, რომელიც მას პრესკონფერენციის ჩატარებისას გადაუღეს. ამის გამო, მოსამართლე გოჩა გოჩიტაშვილმა „მორალური ზიანისათვის" გაზეთს 300 ლარი და ასევე ბოდიშის მოხდა დააკისრა. შეხვედრის ორგანიზატორებმა გოჩიტაშვილი კანონის უხეშ დარღვევაში ამხილეს და განაცხადეს, რომ ხსენებული ფოტოსურათი რედაქციას არამართლზომიერად არ გამოუქვეყნებია.

იურისტების განმარტებით, გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ერთდროულად რამდენიმე კანონდარღვევას შეიცავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ზვიად ძიძიგური: ჩვენ ვქმნით პარტიას, სადაც ყველაფერი ერთ ადამიანზე არ იქნება მიბმული

თამარ მჭედლიშვილი

*ახლადშექმნილი კონსერვატიული პარტიის ლიდერებმა რამდენიმე დღის წინ საზოგადოების სამსჯავროზე საკუთარი პარტიის წესდება გამოიტანეს. „ჩვენ სრულიად ახალი ტიპის პარტიას ვქმნით, სადაც შიდადემოკრატია პარტიული მოწყობის მთავარი პრინციპი იქნება," - ამბობს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური. მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რას ფიქრობენ კონსერვატორების პერსპექტივებზე მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები. „ვნახოთ. აღდოგმა და ხვალეო," - ამბობს ძიძიგური და აცხადებს, რომ მის პარტიაში ისეთი ადამიანები გაწევრიანდნენ, რომლებიც, თავის დროზე, „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები იყვნენ. გთავაზობთ ინტერვიუს ზვიად ძიძიგურთან.*

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

| | 27/11 | 28/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 3 | 9 |
| ქუთაისი | 10 | 12 |
| ბათუმი | 8 | 11 |
| სოხუმი | 7 | 9 |
| ფოთი | 11 | 11 |
| თელავი | 0 | 7 |
| ზუგდიდი | 11 | 12 |
| გორი | 1 | 6 |
| ახმეტა | 2 | 8 |
| ჭიათურა | 6 | 9 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.3512 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3589 |
| რუბლი | 0.0630 |

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.



A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

რეგიონი

# "დღეს "მადნეულს" მომავალი არ გააჩნია," - ამბობს ახალი გენერალური დირექტორი



ახალ დირექტორს მიაჩნია, რომ „მადნეულს" პრივატიზება და ინვესტორი სჭირდება.

*35 წლის კობა ნაყოფიამ რუსული კომპანიის „პრომიშლენნიე ინვესტორი"-ს ვიცე-პრეზიდენტობას „მადნეულში" მუშაობა ამჯობინა და უკვე თვენახევარია, ამ საწარმოს გენერალური დირექტორია. როგორც თავად ამბობს, დღემდე არ დაინტერესებულა საკუთარი ხელფასის ოდენობით და არ იცის, რა ანაზღაურებას მიიღებს „მადნეულის" მართვისთვის. დღეს ამ საწარმოში სტრუქტურული რეორგანიზაცია მიმდინარეობს, პარალელურად მას პრივატიზაციისთვისაც ამზადებენ.*

მაია მოსიაშვილი
*რუსთავიდან*

გუშინ ახალმა გენერალურმა დირექტორმა „მადნეულის" მუშებთან საჯარო შეხვედრა მოაწყო, რომელსაც მხარის რწმუნებული სოსო მაზმიშვილი, ბოლნისის გამგებელი და მაჟორიტარი დეპუტატი ესწრებოდნენ.

„ამ თვენახევრის მანძილზე ძალიან ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას წავაწყდი. სამწუხაროდ, მომავალი და პესპექტიული განვითარება ამ საწარმოს დღეს არ გააჩნია. გვაქვს ერთი კარიერი, რომელიც მადნეულის ნათელ მომავალს ვერ უზრუნველყოფს. რეგიონში არის სხვა საბადოები, რომელთა ათვისებაა საჭირო. თუ ჩვენ არ გვექნება საშუალება, იქ ვიმუშაოთ, ამ საწარმოს დიდი პერსპექტივა არ გააჩნია," - განაცხადა ნაყოფიამ. მისი თქმით, ცუდი მდგომარეობაა ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც, რადგან 1975 წლის შემდეგ გადაიარაღება არ მომხდარა, ასევე პრობლემებია კომპანიის ადმინისტრირებაში.

ამჟამად „მადნეულში" მმართველი აპარატის ანუ მენეჯმენტის რეორგანიზაცია მიმდინარეობს და ახალი ხელმძღვანელი, სავარაუდოდ, სამსახურს დაატოვებინებს იმ ადამიანებს, რომლებიც „თბილ კაბინეტებში უსაქმოდ სხედან". კომპანიის სტრუქტურული რეორგანიზაცია არც ერთ მუშას არ შეეხება, - შეჰპირდა ნაყოფია მადნეულელებს.

ახალმა გენერალურმა დირექტორმა ვრცლად ისაუბრა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების დადებით მხარეებზე და არაპირდაპირ მიანიშნა, რომ უამრავი პრობლემის გადასაჭრელად „მადნეულს" პრივატიზება და ინვესტორი სჭირდება.

კობა ნაყოფია არ მალავს, რომ ამ საკითხით ბევრი უცხოური კომპანიაა დაინტერესებული, თუმცა მათი დასახელებისაგან თავს იკავებს, რადგან ამჟამად მხოლოდ ინფორმაციების გაცვლა მიმდინარეობს და არჩევანის გაკეთებამდე ჯერ შორია.

„24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ „მადნეულის" გადაიარაღებაზე უკვე გარკვეული სამუშაოები ჩატარებულია და სავარაუდო ინვესტორ-პარტნიორებიც გამოკვეთილია. მათ შორის ფინური მსხვილი კომპანია „ოუტო კომპო", რუსული „რივსი" და ამერიკული „დენვერი". ამბობენ, რომ „მადნეულით" დაინტერესებულია „პრომიშლენნიე ინვესტორი"-ს ერთ-ერთი კომპანია. „დაინტერესება შეიძლება იყოს, მაგრამ ჯერ კონკრეტული საუბარი ამაზე არ ყოფილა," - ასეთ კომენტარს აკეთებს „პი"-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი.

„მადნეულს" საკმაოდ გართულებული ურთიერთობა აქვს შპს „კვარციტთან". რომლის აქციების 50 პროცენტსაც თავად ფლობს. ახალ გენერალურ დირექტორს ამ ურთიერთობის მოწესრიგებაც მოუწევს.

„არსებობს გარკვეული ვალდებულებები „კვარციტსა" და „მადნეულს" შორის და ჩვენ ახლა ვცდილობთ, რომ „მადნეული" იყოს ის კომპანია, რომელიც თავის ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია ინტერესი „კვარციტში" და საერთოდ ამ ბიზნესში. ჩვენ ამ ბიზნესში დიდი ინტერესი გვაქვს," - განაცხადა ნაყოფიამ.

„მადნეულის" მუშა-მოსამსახურეებთან ახალი გენერალური დირექტორის პირველმა შეხვედრამ მშვიდად ჩაიარა. მადნეულელები ნაყოფიასგან ნაყოფიერ მუშაობას და თავიანთი სოციალური პრობლემების მოგვარებას ელიან, რისი დაპირებაც გუშინ უკვე მიიღეს.

„წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა აქ სპეცრაზმის გარეშე შემოსვლა შეუძლებელი იყო. „მადნეულში" ძალიან ენერგიული და საწარმოების მართვის სფეროში დიდი გამოცდილების მქონე დირექტორი დაინიშნა, ვფიქრობ, ის მოაგვარებს ყველა იმ პრობლემას, რომელიც ამ საწარმოს წლების მანძილზე დაუგროვდა," - განაცხადა შეხვედრის ბოლოს ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა სოსო მაზმიშვილმა.

# უკრაინული მასმედია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას გამოეხმაურა

უკრაინაში დადებითი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ სამების ტაძრის გახსნის ცერემონიაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ საქართველოსთვის სულ ერთი არ არის, როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში. ეს მიმართვა ფართოდ გაშუქდა როგორც კიევში, თავისუფლების მოედანზე გამართულ ოპოზიციური ძალების მიტინგზე, ისე მასმედიაში, - განაცხადა უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ. მისივე თქმით, განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა უკრაინელ ხალხს მათ მშობლიურ ენაზე მიმართა. ელჩის განცხადებით, ასევე, პოზიტიურად შეფასდა 24 ნოემბერს კიევში იუშენკოს მხარდამჭერების წინაშე ქართველი ხელოვანების გამოსვლა და კიდევ ერთხელ ითქვა, რომ საქართველო უკრაინელი ხალხის გვერდით დგას.

*მედია-ნიუსი*

# საქართველოში სიტყვის თავისუფლება იზღუდება

პირველი გვერდიდან

**„სასამართლომ, ასევე, კანონი დაარღვია იმის გათვალისწინებითაც, რომ მან მოპასუხეს დააკისრა ბოდიშის მოხდა მოსარჩელისადმი. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას პირის გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნებისათვის, არ ითვალისწინებს ბოდიშის მოხდის ინსტიტუტს. მეტიც, 2004 წლის 24 ივნისის კანონის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ მე-17 მუხლის მიხედვით, დაუშვებელია მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში. სასამართლოს გადაწყვეტილება ბოდიშის მოხდის დაკისრების თაობაზე არის უკანონო,"** - ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის „ მიმართვაში საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივნის პავლე კუბლაშვილისადმი. თავისუფლების ინსტიტუტი იუსტიციის საბჭოსაგან მოითხოვს, მოსამართლე გოჩა გოჩიტაშვილის მიმართ აღიძრას დისციპლინარული დევნა.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*„რამდენად უზრუნველყოფილი არიან რეგიონის მოსამართლეები კანონებით?" - ასეთი შეკითხვა დასვეს თავისუფლების ინსტიტუტის თანამშრომლებმა.*

მიუხედავად სასამართლოს ჩარევისა, გორელი ჟურნალისტები და, შესაბამისად, საზოგადოება ვერა და ვერ ეღირსნენ მიხეილ ქარელის ავტობიოგრაფიას და ჯანმრთელობის ცნობას. „ხალხის გაზეთის" ჟურნალისტის ქეთევან გიკაშვილის ვარაუდით, ქარელის ავტობიოგრაფიაში გამოტოვებულია გრაფა, სადაც მითითებული უნდა იყოს სამხედრო ვალდებულების მოხდის შესახებ. **„ქარელი დეზერტირია,"** - აცხადებს გიკაშვილი. რაც შეეხება ჯანმრთელობის ცნობას, ქარელის ჯანმრთელობაში ეჭვი არ ეპარებათ. მაშინ რისთვის სჭირდებათ იგი? „24 საათის" შეკითხვაზე - რა იწვევს ამ ცნობისადმი ინტერესს? თავისუფლების ინსტიტუტის შიდა ქართლის ომბუდსმენმა გიორგი გოცირიძემ არ უპასუხა. ადვილი შესაძლებელია, ცნობა ქარელის ჯანმრთელობის შესახებ უკავშირდებოდეს ისევ და ისევ ქარელის სამხედრო სამსახურის შესახებ არსებულ გაურკვევლობას და ეჭვებს გარკვეული მანიპულაციების თაობაზე.

**„დღემდე გაუმჭვირვალე რჩება ქარელის ფონდიდან თანხების გადინება,"** - აღინიშნა გუშინდელ შეხვედრაზე.

„რამდენად უზრუნველყოფილი არიან რეგიონის მოსამართლეები კანონებით?" - ასეთი შეკითხვა დაუსვეს თავისუფლების ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეხვედრაზე სპეციალურად მიწვეულ იუსტიციის საბჭოს მდივანს და თან განუმარტეს, რომ **„გორის რაიონის მოსამართლე გოჩა გოჩიტაშვილი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს დიდი ხნის წინათ გაუქმებული კანონით".**

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელთა განცხადებით, მოსამართლე გოჩა გოჩიტაშვილი გამოხატავს მიხეილ ქარელის ნება-სურვილს, რასაც მეტად სავალალო შედეგები - კანონის უხეში დარღვევა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მოჰყვება. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა პოზიცია ასეთია: მასმედიამ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის თითოეულ გამოვლინებაზე ხმა უნდა აიმაღლოს და, რაც მთავარია, კანონის დამრღვევის სამაგალითოდ დასჯის პრეცედენტი აუცილებლად უნდა შეიქმნას.

# "მემარჯვენე ოპოზიციამ", კანონპროექტის თხრაში, კახა ლომაია გამოთხარა

პირველი გვერდიდან

მიზნის მისაღწევად გუშინ მათ „გარეშე ძალების" გამოყენებაც სცადეს - პლენარულ სხდომაზე წაიკითხეს თსუ-ს პრორექტორების, პარმენ მარგველაშვილისა და ანზორ ხელაშვილის მიმართვა პარლამენტარებისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ „მეცნიერების დაკნინება უმაღლეს სასწავლებლებში გამოიწვევს სავალალო და დამღუპველ შედეგებს განათლების მთელ სისტემაში".

პარალელურად, ფიქრია ჩიხრაძე ცდილობდა, დეპუტატები დაერწმუნებინა, რომ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნება ორხელისუფლებიანობის საფრთხე: რექტორი გახდება უსახური ფიგურა, კანცლერი კი ძლიერ ბერკეტებს მიიღებს.

**„სადღა რჩება ადგილი ავტონომიისთვის, თუ უმაღლეს სასწავლებლებს ყველაფერს ჩვენვე განვუსაზღვრავთ?"** - კითხულობს ფიქრია ჩიხრაძე. იგი, ამავე დროს, კატეგორიულად ითხოვს, რომ უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია პარლამენტმა მოახდინოს.

მისი გამოსვლით ოპოზიციური რეზერვი მთლიანად ამოიწურა და... პარლამენტის კედლებში „მემარჯვენეების" განქიქება დაიწყო.

განათლების მინისტრის კახა ლომაიას თქმით, ღმერთი რომ გაგვიწყრეს და „მემარჯვენე ოპოზიციას" დავუჯეროთ, ამით ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდება.

**„მსოფლიოს არც ერთი ქვეყანის პარლამენტი არ ახდენს უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციას. ჩვენ ამის გაკეთება ძალიანაც რომ მოვინდომოთ, მაინც ვერ შევძლებთ, - სხვა საქმე რომც არ ჰქონდეს, 181 უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაციას საკანონმდებლო ორგანო, უბრალოდ, ვერ გასწვდება,"** - აცხადებს განათლების მინისტრი.

კახა ლომაიას სასაცილოდაც არ ჰყოფნის „ახლების" მუქარა იმასთან დაკავშირებით, რომ თანამდებობიდან მისი გადაყენების მოთხოვნით, 107 ათასი ხელმოწერაა შეგროვილი.

**„იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც უამრავი ამომრჩეველი ჰყავდა ასლან აბაშიძის აჭარაში და რუსეთის ქალაქ სვეტლოგორსკში, ამდენი ხელმოწერის შეგროვება არ უნდა გაუჭირდეს,"** - „მაზოლზე" აჭერს ფეხს განათლების მინისტრი მის გადაყენებაზე მეოცნებეებს.

პოლიტიკურ სისუსტესთან ერთად, კახა ლომაიამ გუშინ „მემარჯვენე ოპოზიციას" კომპეტენტურობაზეც „ილადავა".

**„ხუთი თვე მემუქრებოდით, რომ ალტერნატიულ კანონპროექტს წარმოადგენდით, მაგრამ აბსურდული შენიშვნებით სავსე ფარატინა ქაღალდის მეტი ვერაფერი ვნახე. სხვა ყველაფერთან ერთად, ნერვებიც გლალატობთ, რადგან არაკომპეტენტურები ხართ,"** - გამარჯვებულმა დატოვა პარლამენტის ტრიბუნა განათლების მინიტრმა.

მის მიერ დაწყებული „მემარჯვენე ოპოზიციის" „რბევა" საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა განაგრძეს.

**„კანონპროექტის მიმართ „ახლებს" არანაირი კონკრეტული შენიშვნები არ გააჩნიათ. ისინი იაფფასიან სპეკულაციას მიმართავენ იმ მიზნით, რომ ტელეეკრანებზე გამოჩნდნენ,"** - აცხადებს დავით ზურაბიშვილი.

**„რა საკითხებიც წარმოადგინეთ, კანონპროექტში თითქმის ყველაფერი ასახული და გათვალისწინებულია. ისეთ რამეებზე დავობთ, რაც ნამდვილად არ არის სადავო,"** - „ახალი მემარჯვენეების" „შემართებისა" გაკვირვებია ნოდარ გრიგალაშვილსაც. მას თსუ-ს პრორექტორის პარმენ მარგველაშვილის პოზიციაც აკვირვებს.

**„საკომიტეტო მოსმენის დროს მე მას ვკითხე, კანონპროექტის მომხრე თუ ხარ-მეთქი. მან მიპასუხა, რომ უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების საკითხის გარდა, ყველაფრით აღფრთოვანებული ვარო. არ ვიცი, რატომ ხდება, რომ კომიტეტის სხდომაზე ერთს ლაპარაკობენ, პრესასა და ტელევიზიასთან კი, - სხვას,"** - გაოცებულია გრიგალაშვილი.

თავის მხრივ, განათლების მინისტრიც ადასტურებს, რომ არც საკომიტეტო მოსმენისას და არც პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის დროს, თსუ-ს წარმომადგენლებს კანონპროექტის მიმართ უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ.

**„მათ, როგორც ჩანს, მხოლოდ ქაღალდს გაანდეს თავისი შეხედულებები,"** - კახა ლომაია ოპონენტების მიმართ გუშინ ირონიას არ იშურებდა.

პარლამენტში განათლების მინისტრის „ტრიუმფალური სვლის" მიუხედავად, „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის მეორე მოსმენის დროს „ლოკალური ხასიათის გართულებები" მაინც არის მოსალოდნელი.

# შეხვედრა წარსულთან

## „პულტებით" მანიპულირებასა და ანაბრების გაუფასურებასთან

გიორგი ასანიშვილი

„მე არ ვაპირებ, გავაგრძელო ის ტრადიცია, როდესაც პლენარულ სხდომათა დარბაზში 70 კაცი იჯდა და კვორუმი მაინც ფიქსირდებოდა," - განაცხადა გუშინ ნინო ბურჯანაძემ, როდესაც ცხადი გახდა, რომ ზოგიერთმა დეპუტატმა თავისი კოლეგების ბარათებიც გაატარა რეგისტრაციაში.

სპიკერი ურჩევს პარლამენტარებს, თავი დაანებონ „პულტებით" მანიპულირებას, რადგან ამით დათვურ სამსახურს უწევენ მეგობრებს, - რეგლამენტის თანახმად, სხვისი ბარათის რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, მისი მფლობელი სოლიდური თანხით დაჯარიმდება.

პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნას, რომ ამაღლდეს დისციპლინა, დეპუტატი ნაზი არონიაც ეხმაურება. „ექვსი წლის ბავშვმაც კი იცის, რომ სკოლაში დროულად უნდა მივიდეს, ზოგიერთ პარლამენტარს კი არ ესმის, რომ სამსახურში დროზე უნდა გამოცხადდეს," - ზარმაცი პარლამენტარების დამუნათება სცადა არონიამ მას შემდეგ, რაც გუშინ დილით კვლავ გაჭირდა სხდომის გასახსნელად აუცილებელი კვორუმის შეკრება.



იური ლობოდინის ფოტო

*სხვისი ბარათის რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, მისი მფლობელი პარლამენტარი სოლიდური თანხით დაჯარიმდება.*

■ ■ ■

ახალი საგადასახადო კოდექსის მეორე მოსმენით განხილვა პარლამენტში ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ მას ძალზე მწვავე ხასიათი ექნება. დოკუმენტის განხილვის ვადებთან დაკავშირებით გუშინ პროტესტი გამოთქვა დეპუტატმა შოთა გვენეტაძემ, რომელმაც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი საბოტაჟში დაადანაშაულა.

საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით გაჩაღებული პოლემიკის მიზეზი კი გახდა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ბეჟან ბუცხრიკიძის განცხადება, რომ საგადასახადო კოდექსს მეორე მოსმენით კომიტეტი ოთხშაბათს განიხილავს, ხუთშაბათს და პარასკევს კი საკითხი პლენარულ სხდომაზე გავა.

შოთა გვენეტაძის მტკიცებით, საკომიტეტო მოსმენას ერთი დღე არ ეყოფა. იგი ითხოვს შეთანხმების შესრულებას, რომლის თანახმადაც, საგადასახადო კოდექსი 4 ნაწილად უნდა გაყოფილიყო და ისინი ცალ-ცალკე განხილულიყო.

■ ■ ■

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დაკომპლექტდა მომხსენებელთა ჯგუფი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ანაბრების გაუფასურების მიზეზებსა და ამ პროცესში დეპუტატ ვანო ჩხარტიშვილის შესაძლო მონაწილეობის საკითხს შეისწავლის.

მოკლედ

## კოკოითმა იანუკოვიჩს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა

„ჩემს მომავალ კოლეგას, უკრაინის არჩეულ პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს," - ასე დაასათაურა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერმა ედუარდ კოკოითმა იანუკოვიჩისადმი გაგზავნილი მისალოცი დეპეშა. „პატივცემულო ვიქტორ ფიოდორის ძევ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მილოცვა უკრაინის პრეზიდენტად არჩევის გამო. უკრაინელმა ხალხმა ნდობა თქვენ გამოგიცხადათ, რითაც მაღალი შეფასება მისცა თქვენს ადამიანურ და პიროვნულ თვისებებს," - ნათქვამია დეპეშაში.

კოკოითი აღნიშნავს, რომ ოსი ხალხი სოლიდარობას უცხადებს უკრაინაში მცხოვრებ ოსურ დიასპორას, რომლის აბსოლუტურმა უმრავლესობამ იანუკოვიჩს მისცა ხმა. **მედია-ნიუსი**

## აფხაზურმა პარლამენტმა სერგეი ბაგაფში პრეზიდენტად გამოაცხადა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა 26 ნოემბერს მიიღო დადგენილება 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შესახებ, რომლის მიხედვითაც, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა და გამარჯვებულად კი სერგეი ბაგაფში გამოცხადდა. ამავე დადგენილების მიხედვით, მინისტრთა კაბინეტსა და უწყებებს დაევალათ, კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის ჩატარება უზრუნველყონ. ცნობისთვის: დე ფაქტო პარლამენტში ამ დადგენილების მიღება აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კონსტიტუციის მეათე წლისთავს დაემთხვა. ამასთან, სერგეი ბაგაფშის ინაუგურაცია, მისი საარჩევნო შტაბის ინფორმაციით, 6 დეკემბერს გაიმართება. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში 28 ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების გეგმიური როტაცია განხორციელდება. ამ პერიოდში მოხდება შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური ქონების და სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში არსებული საკონტროლო-გამშვები საგუშაგოების გეგმიური გადაცემა. როტაციას დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის რაოდენობა 500 კაცს შეადგენს. ქვედანაყოფების მთელი შეიარაღება და სამხედრო-ტექნიკური ქონება მათი მუდმივი დისლოკაციის ადგილებზე რჩება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ნატო-ს სპეციალურ წარმომადგენლად ლატვიის თავდაცვის მინისტრის მრჩეველი რომუალდ რაჟუკსი დაინიშნა. იგი საქართველოში 2005 წლის დასაწყისში ჩამოვა. რაჟუკსის ფუნქციებში სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების, სტრუქტურული რეფორმების განხორციელების საკითხები და ნატო-ს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის" რეალიზაციაზე ზედამხედველობა იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაშბა მოსკოვში ჩავიდა. მისი ვიზიტის მიზანი, ჯერჯერობით, უცნობია. ამასთან, აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის (სახალხო კრება) რამდენიმე დეპუტატმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა სერგეი ბაგაფშმა მოითხოვეს სამხრეთ ფედერალურ ოლქში რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენელთან დმიტრი კაზაკთან შეხვედრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ სოფლებში: დვანში, დირბსა და ნულში შერეული სამშვიდობო ძალებისა და ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლები მონიტორინგს განახორციელებენ. როგორც საშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბში განმარტავენ, ასეთი გადაწყვეტილების მიღება ამ სოფლებში ბოლო პერიოდში გახშირებულმა სროლებმა განაპირობა. მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სტაბილური ვითარებაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმელი „ლეიბორისტები" აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის და მისი მოადგილის კობა ხაბაზის დაპირისპირებაზე ალაპარაკდნენ. „ბათუმელი „კმარელები", რომლებიც ხაბაზის დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვენ, ვარშალომიძის მიერ არიან წაქეზებულები," - განაცხადეს სპეციალურ ბრიფინგზე ბათუმელმა „ლეიბორისტებმა". „ლეიბორისტ" დათო რობაქიძის მტკიცებით, კობა ხაბაზის მთავრობისგან ჩამოცილების გეგმა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან ირაკლი ფაღავასთან იქმნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** რეზერვისტთა კიდევ ერთმა ბატალიონმა სამხედრო სწავლება დაასრულა. ძევერის დანაყოფში დისლოცირებული ხაშურელი რეზერვისტების მომზადების ხარისხი თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ შეაფასა. გორის სასწავლო ცენტრის პოლიგონზე სამხედრო ამოცანა რეზერვისტებმა საბრძოლო ვაზნების გამოყენებით შეასრულეს. დასახლებული ადგილის მტრის ჯგუფისგან გათავისუფლების ოპერაციას ხაშურელმა რეზერვისტებმა წარმატებით გაართვეს თავი. საჩვენებელი ოპერაციის დასრულების შემდეგ რეზერვისტების, ჟურნალისტებისა და გენერალიტეტის წინაშე სამხედრო ნორმატივები თავდაცვის მინისტრმაც შეასრულა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა - კარგი მუსიკის რადიო FM 107.4

რადიო შოუ როკი და ფეხბურთი

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე
42 107 4; 42 107 5

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები, სათასო თამაშები; მიმდინარე, დასრულებული და დაუსრულებელი მატჩების შედეგები - როკი და როკვა ქართულად. ყველაფერი პირდაპირ ეთერში; შაბათ-კვირას, ექვსიდან - ღამის 2-საათამდე - როკი და ფეხბურთი მწვანე ტალღაზე





წამყვანები -

არჩილ ბენაშვილი,

გაგა გობრონიძე,

მინდია გაბაშვილი,

ირაკლი დანელია


## პოლიციელების კვალიფიციურ მომზადებას აშშ დააფინანსებს

გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში აშშ-ს მთავრობისა და აკადემიის ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის პრეზენტაციას ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი და შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დაესწრნენ.

ახალი პროექტის მიხედვით, შეერთებული შტატები პოლიციის აკადემიის სასწავლო პროგრამების დანერგვასა და შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მილიონნახევარი ამერიკული დოლარით დააფინანსებს. ამ პროექტის მიხედვით, შეკეთდება აკადემიის ტერიტორიაზე მდებარე ორი სასწავლო შენობა და ორი ყაზარმა.

ამჟამად თბილისში იმყოფებიან ამერიკელი ექსპერტები, რომლებიც კურსანტებს ამზადებენ.

საქართველოში ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის თქმით, პოლიციის აკადემიის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღება გამოიწვია იმან, რომ პოლიციელების პროფესიონალიზმი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მომავალს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კი ბოლო ხანებში პოლიციის აკადემიის მუშაობით კმაყოფილია. მისი აზრით, კადრების მომზადებაში არსებული მიღწევების თვალნათელი მაგალითია საპატრულო პოლიცია. მისივე განცხადებით, პოლიციის აკადემიაში დღემდე კვალიფიციური კადრების მომზადების არანაირი პირობა არ არსებობდა. ამჯერად კი ყველაფერი კეთდება ახალი, სრულყოფილი კადრების მომზადება-მოზიდვისა და პოლიციის იმიჯის გაუმჯობესებისათვის.

პოლიციის აკადემიის რექტორის ლევან იზორიას განცხადებით, პოლიციის აკადემიის რეფორმირების პროცესში აშშ-ს მთავრობასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობები და დონორი ორგანიზაციები.

*24 საათი*

# ზვიად ძიძიგური: ჩვენ ვქმნით პარტიას, სადაც ყველაფერი ერთ ადამიანზე არ იქნება მიბმული

პირველი გვერდიდან

**- რითი განსხვავდება თქვენი პარტია დღემდე მოქმედ სხვა პარტიებისაგან? თქვენ აცხადებთ, რომ პრინციპულად ახალი, დასავლური ტიპის პოლიტიკურ პარტიას ქმნით.**

- 17 წელია, რაც საქართველოში მრავალპარტიული ცხოვრება დაიწყო. მანამდე ჩვენთან მხოლოდ ერთპარტიული მმართველობა იყო. ამ 17 წლის განმავლობაში ყველა პარტია იკრიბებოდა კონკრეტული ლიდერების ირგვლივ. ეს, ალბათ, ბუნებრივია, მაგრამ შეკრება ხდებოდა არა მხოლოდ იდეების გამო - ნებისმიერი პარტია, იერარქიულად, დამოკიდებული იყო სწორედ პარტიის ლიდერზე. ერთი კაცი წყვეტდა, ვინ უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ რეგიონში პარტიული ორგანიზაციის ლიდერი, პოლიტიკური საბჭოს წევრი, ვინ უნდა შესულიყო საპარლამენტო სიაში. ადამიანი, რომელსაც ჰქონდა პოლიტიკური კარიერის გაკეთების სურვილი, ცდილობდა, პარტიის ლიდერთან კარგი ურთიერთობები ჰქონოდა. მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი, თავისი პოლიტიკური აქტიურობის რეალიზება მოეხდინა - შესულიყო ან პარლამენტში, ან რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურაში. ჩვენ გადავწყვიტეთ, შევქმნათ სისტემა, სადაც ყველაფერი ერთ ადამიანზე, გნებავთ, რამდენიმეკაციან ჯგუფზე არ იქნება მიბმული. საერთოდ, ძალზე მახინჯი მოვლენაა, როცა ერთ ლიდერზე მიბმული პარტია მოდის ხელისუფლებაში. მთელი ძალაუფლების კონცენტრაცია ერთ ხელში ხდება და ეს ლიდერი ცდილობს, მუდმივად კონტროლის ქვეშ ჰყავდეს ნებისმიერი სფერო. დღეს ამის ნათელი მაგალითი გვაქვს: სააკაშვილმა შექმნა სწორედ ასეთი ტიპის პარტია, მოვიდა ხელიუფლებაში და ვხედავთ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებათა დიდი ნაწილი გადაიქაჩა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამავე დროს, პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის გარეკვა. ერთპალატიანი პარლამენტის პირობებში, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება. გარდა ამისა, სასამართლო ხელისუფლების ძალაუფლების ნაწილი მიიტაცა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ. არსებობს სასამართლოს აღსრულების ფონდი, და მთავრობა საზღვრავს, თუ რამდენი უნდა გადაუხადოს იმ ადამიანს, რომელმაც სასამართლოში მას მოუგო.

**- თქვენი პარტია სხვა გზით აპირებს სიარულს?**

- ჩვენ სრულიად სხვა გზით მივდივართ. ჩვენ ვაკეთებთ პარტიას საარჩევნო სტრუქტურის მიხედვით. რამდენი საარჩევნო უბანიც არის საქართველოში, ამდენივე პარტიული ორგანიზაცია შეიქმნება. მისი წევრები იქნებიან, ამავდროულად, პარტიის ყრილობის დელეგატები. დეპუტატებმა უნდა აირჩიონ, ვინ იქნება პარტიის თავმჯდომარე. ეს იქნება ფარული, პირდაპირი კენჭისყრა. დელეგატი შევა კაბინაში, შემოხაზავს იმ გვარს, რომელიც მისთვის ყველაზე მისაღები იქნება პარტიის თავმჯდომარის პოსტზე. მეც და კობა დავითაშვილიც ვაპირებთ, კენჭი ვიყაროთ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე. ორივეს გვყავს მხარდამჭერები პარტიაში. მეც და კობაც ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერები მოვიზიდოთ პარტიაში, რათა ამ შიდაპარტიული არჩევნების შედეგად გავიმარჯვოთ. ამ შემხთვევაში კონკურენცია კი არ დაშლის პარტიას, პირიქით - სწორედ ამ კონკურენციის ხარჯზე პარტია ძლიერდება, იზრდება მისი რიგები. ამას გარდა, ასევე ფარული კენჭისყრით, აირჩევიან რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები ამ ორგანიზაციების წევრთა შემადგენლობიდან. ადგილობრივი ორგანიზაციის თავჯდომარე იქნება მთავარი პერსონა. მას ექნება თავისი ავტონომიური უფლებები. როდესაც დადგება მაჟორიტარი კანდიდატის დასახელების მომენტი, მაშინ მას აირჩევენ თავად ამ რაიონულ ორგანიზაციაში. ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი გადასაწყვეტი იქნება. შერჩევის პროცესში არ ჩაერევა არც პარტის ცენტრალური ოფისი, არც მისი თავმჯდომარე, არც ეროვნული კომიტეტი და არც სარევიზიო კომისია. ასევე იქნება თვითმმართველობის არჩევნების დროს. გამგებლისა თუ ქალაქის მერის კანდიდეტებსაც ისინი შეარჩევენ.

**- რას ისახავს მიზნად ასეთი შიდაპარტიული დემოკრატია?**

- დამეთანხმებით, რომ ასეთი რამ აქამდე არც ერთი პარტიის სტრუქტურაში არ ყოფილა ჩადებული. ჩვენ გვინდა, გამოვავლინოთ პოლიტიკურად აქტიური ადამიანები და მათ იმის საშუალება მივცეთ, რომ აქტიურად განახორციელონ თავისი საქმიანობა. ჩვენ უკვე გამოცხადებული გვაქვს, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის შედეგენილია პარტიული სია, რომელიც, პირველიდან 120-მდე, დაკომპლექტებულია პარტიული თანამდებობის პირებით. ანუ, იერარქიულად, უკვე ჩამორიგებული გვაქვს ადგილები. ისინი, ვინც დაიკავებენ ამა თუ იმ პოსტს პარტიაში, ავტომატურად შევლენ პარტიულ სიაში, რაც პარტიული საქმიანობის სტიმულირების ძალზე კარგი საშუალებაა.

**- და ეს სიები აღარ გადაიხედება მომდევნო არჩევნების წინ?**

- მინდა გითხრათ: პარტიულ თანამდებობებზე არჩევნები მოხდება ყველა საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე. სიაში პირველ ოთხ ადგილს გადაინაწილებენ პარტიის თავმჯდომარე, თანათავმჯდომარე, გენერალური მდივანი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. საერთოდ, სარევიზიო კომისიას პარტიაში სრულიად განსხვავებული ფუნქცია ენიჭება, რადგან თავად არჩევნები პარტისთვის ბევრ რამეს გადაწყვეტს. შესაბამისად, არსებობს გაყალბების შესაძლებლობა. არის საშიშროება, შედგეს ყალბი სიები ან შევსებული იყოს ყალბი ანკეტები. ასე რომ, პარტიაში ადმინისტრაციის, კონტროლის ფუნქციას შესრულებს ეს კომისია და სწორედ მისი დასკვნების საფუძველზე მიიღებს პარტიის მთავარი კომიტეტი საბოლოო გადაწვეტილებას არჩევნების ცნობა-არცნობის თაობაზე. ამას გარდა, სიაში შევლენ სამხარეო და რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები. რიგითობა ორგანიზაციების აქტიურობით განისაზღვრება. თორმეტიდან სამხარეო პარტიული ორგანიზაციების თავმჯდომარეებიდან პირველ ადგილს დაიკავებს ის ადამიანი, რომელსაც თავის რიგებში ყველაზე მეტი რეალური წევრი ეყოლება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით.



*ჩვენ გადავწყვიტეთ, შევქმნათ სისტემა, სადაც ყველაფერი ერთ ადამიანზე, გნებავთ, რამდენიმეკაციან ჭგუფზე არ იქნება მიბმული.*

**- როგორია პარტიის დაფინანსების გზები?**

- რაც შეეხება ფინანსებს. თუ ვინმე შემოწირულობებს შემოიტანს, ჩვენ უარს არ ვიტყვით, მაგრამ ჩვენ არ ვიქნებით ვილაცაზე ჩამოკიდებული. ჩვენ გვაქვს დაფინანსების საკუთარი გზები. მინიმალურ საოფისე ხარჯების დაფარვას ვახერხებთ საწევრო შენატანების ხარჯზე. ჩვენ გვყავს ორი ტიპის წევრი - ნამდვილი და ასოცირებული. ნამდვილი წევრი გადაიხდის თვეში ერთ ლარს. თუმცა აქაც უნდა ითქვას, რომ გადასახადი ყველასთვის ერთნაირი არ იქნება. რაც უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურს დაიკავებს ესა-თუ ის ადამიანი, უფრო მეტ თანხას შეიტანს პარტიაში საწევრო გადასახადების სახით. უბნის თავმჯდომარე გადაიხდის ორ ლარს, რაიონის - 10 ლარს, სამხარეოსი - 50 ლარს, ეროვნული კომიტეტის წევრები, თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე - 200-200 ლარს. გათვლები უკვე გაკეთებულია და ვფიქრობთ, რომ ეს თანხები საკმარისი იქნება იმისათვის, რომ რაიონებში ოფისები დაიქირავონ და თანამშრომლებიც აიყვანონ.

**- გამოდის, რომ ფინანსურად რაიონული ორგანიზაციები თავის თავს თავად შეინახავენ?**

- ჩვენ არ ვაპირებით პარტიის დაფინანსებას ზემოდან ქვემოთ. პირიქით - დაფინანსება ქვემოდან ზემოთ მოხდება. ჩვენ ვეუბნებით პარტიის წევრებს - თუკი ვართ ერთად, თუკი გვინდა ხელისუფლებაში მოსვლა, ერთად უნდა ვიყოთ არა მხოლოდ მორალურად, არამედ ფინანსურადაც. გარდა ამისა, ჩვენ ვაპირებთ ძალიან ღია ღონისძიებების გამართვას. რომელიმე ცნობილ პოეტს ან მწერალს, ცნობილ ადამიანს ვთხოვთ საღამოს გამართვას. ბილეთებს ჩვენ გავყიდით. 120-კაციანი დარბაზი უკვე მოძებნილი გვაქვს. ბილეთის ფასი 50 ლარი იქნება. ჩვენ თვითონ მოვახერხებთ იმ მხარდამჭერების მოძიებას, რომლებიც მოვლენ ამ ღონისძიებაზე. მოგვიანებით გავმართავთ ფურშეტს, ახლოს გავიცნობთ ჩვენს მხარდამჭერებს. თუკი ამ გეგმამ გაამართლა, ყოვლთვიურად, პარტიაში 3-4 ათასი ლარი შემოვა, რაც ჩვენთვის საკმაოდ დიდი ფულია. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი სახის ღონისძიებები არ იქნება გასაიდუმლოებული. პირიქით: თითოეული ასეთი საღამოს ფართო აფიშირებას გავაკეთებთ. ხმამაღლა განვაცხადებთ, ამა თუ იმ ღონისძიებიდან რამდენი ლარი შევიდა პარტიის სალაროში. ამით სხვა პარტიებსაც მივცემთ სტიმულს, რომ არ დამალონ შემოსავლების წყარო.

**- თქვენ აცხადებთ, რომ წესდების შედგენაში სერიოზული მხარდაჭერა ამერიკის რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა გაგიწიათ.**

- ეს ჩვენი ინიციატივა იყო. ამბობენ, გაჭირვებამ დედოფალთან დაგვაწვინაო. ვთხოვეთ დახმარება და მათ ჩვენთან აქტიური კონსულტაციები გამართეს. ფაქტია - დღეს მმათველი პარტიის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, პარტიული ენერგია ზემოდან ქვემოთ ჩადის. რაც უფრო დაბლაა პარტიული რგოლი, მით უფრო პასიურები არიან ამ რგოლის წევრები. ჩვენ კი პირიქით გვსურს - ენერგია ქვემოდან ზემოთ მოდიოდეს. და, ყველა ნიშნის მიხედვით, ეს ასეც იქნება.

**- საიდუმლოს უკვე აღარ წარმოადგენს, რომ რეგიონებში საკმაოდ სერიოზული დაპირისპირება იყო ადგილობრივ „დემოკრატებსა“ და „ნაციონალებს“ შორის. ძალიან ბევრმა საერთოდ დატოვა პარტიის რიგები. თქვენთან თუ მოდიან განაწყენებული ადამიანები?**

- ახლა ჩვენი პარტიის რიგებში 7-8 ათასი ადამიანია გაწვერიანებული. ეს ჩვენთვის სასტარტო პოზიციაა. უახლოეს დღეებში ვიწყებთ რაიონებში გასვლას. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია გვაქვს. ჩვენთან უკვე ძალიან ბევრი „ნაციონალი“ მოდის. ჩვენთან გაწევრიანება თავისუფალია. შეავსებ ანკეტას და სრული მოქმედების შესაძლებლობა გეძლევა. ჩვენთან, ძირითად, ის ხალხი მოდის, ვინც რევოლუცია გააკეთა. ისინი, ვინც თავის დროზე ებრძოდა ედუარდ შევარდნაძეს და ზურაბ ჟვანიასაც. ებრძოდა იმ მანკიერ სისტემას, რომელიც 1992-2003 წლებში ჩამოყალიბდა. თუმცა დღეს ეს ადამიანები ახალი ხელისუფლებისთვის ზედმეტი აღმოჩნდნენ. ჩვენთან მოდიან ყველაზე აქტიური, იდეური ადამიანები, რასაც მივესალმებით. მათი ნაციონალებიდან ასეთი სწრაფი ტემპებით წამოსვლა იმიტომ ხდება, რომ რეალურად დაინახეს - ისინი აღარავის სჭირდება. დღეს ასპარეზი სრულიად სხვა ხალხს გაეხსნა. როგორც აღმოჩნდა, თურმე ძველი კადრები მხოლოდ რევოლუციის მოსახდენად იყვნენ აუცილებელი, პოსტრევოლციურ პერიოდში კი ისინი აღარავის ახსენდება. თანაც, ჩვენთან იმიტომაც მოდიან, რომ თავიანთი დანიშნულება გაამართლონ. მოგეხსენებათ, ახალი ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებების უმრავლესობა არ შესრულებულა. ამიტომაც ეს ადამიანები გრძნობენ პასუხისმგელობას ამომრჩევლების წინაშე. ისინი ხომ მათ გვერდში იდგნენ, ვინც წინასაარჩევნო პერიოდში ამ დაპირებებს უხვად არიგებდა, რადგან ფიქრობდა, რომ ახალი ხელისუფლება დანაპირებს შეასრულებდა.

**- სხვათა შორის, მმართველი პარტია საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს თქვენი პარტიის მომავალს...**

- აღდგომა და ხვალეო... ყველაფერს დრო გამოაჩენს. ჩვენ ასეთი გეგმა გვაქვს: თუ პარტია უპერსპექტივოა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე, ჯობს, მმართველმა პარტიამ საკუთარ ფარქციას მიაქციოს ყურადღება და ნახოს, რა ხდება იქ. ყველასათვის ნათელია, რომ უმრავლესობა რამდენიმე ხანში დაიშლება.

**- კონსერვატორები მემარჯვენე ორიენტაციის არიან. თქვენ კი საზოგადოებაში მემარცხენეებად აღიქმებით.**

- რა თქმა უნდა, კონსვერვატიულობა - მემარჯვენე ორიენტაციას ნიშნავს, მაგრამ მე მგონი, ორიენტაციას სულაც არა აქვს მნიშვნელობა, როდესაც მე ან ჩემი თანაგუნდელები, როგორც დეპუტატები, საკუთარი ამომრჩევლების უფლებებისათვის ვიბრძვით. სხვათა შორის, მე მიმაჩნია, რომ ჩვენი მიკუთვნება მემარცხენეებთან არცთუ სამართლიანია. როდესაც ჩვენ ვიბრძოდით პენსიებისთვის, მაშინ ჩვენი ქმედებები აქტიურად შუქდებოდა, მაგრამ როგორც კი წამოვწიეთ თუნდაც აჭარის ავტონომიის გაუქმების, ან რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხები, მაშინ ამის თაობაზე პრესა დუმდა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტიისთვის ამოსავალი წერტილი სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულ წესია. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს ჩვენი თვითმყოფადობა და ამის შესანარჩუნებლად აუცილებლად ვიბრძოლებთ.

## გამოხმაურებები



**ლევან ბეჟაშვილი,** *პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე:* ჩემი აზრით, აბსოლუტურად უმართებულოა, ხელოვნურად შეიქმნას და გაძლიერდეს რომელიმე პოლიტიკური ძალა. ამას დრო მოიტანს. თავისთავად გაჩნდება იმის მოთხოვნილება, რომ ასეთი პარტია შეიქმნას. ჩემი აზრით, ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას გარკვეული ხელოვნურობის ელფერი დასდევს. ზოგიერთი პოლიტიკოსი ცდილობს, პოლიტიკური არენიდან არ ჩამოვიდეს. რაც შეეხება ამერიკელების მხარდაჭერას. არა მგონია, ამ მხარდაჭერაში რაიმე განსაკუთრებული ყოფილიყო. შესაძლოა, ეს დახმარება კონსულტაციურ ხასიათს ატარებდა. ამდენად, მაინც ვფიქრობ, რომ განსხვავებული პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბება ხელოვნურად ხდება. საზოგადოების მხრიდან მოთხოვნილება ახალ ოპოზიციურ ძალაზე, ჯერჯერობით, არ არის.



**ლევან ბერძენიშვილი,** *პარლამენტარი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:* შიდადემოკრატიის თვალსაზრისით, შესაძლოა, ეს საზოგადოებისთვის ახალი იყოს, მაგრამ მე ამ სტილის პარტიაში უკვე 26 წელია, ვარ. არასოდეს ლიდერი არ განგვიდიდებია. ახლაც ორი ლიდერი მიზის გვერდით და ჩემს უფროსად არც ერთი არ მიმაჩნია. რაღაც საკითხებში ჩვენი პოზიციები, ალბათ, არ დაემთხვევა, მაგრამ ჩვენ მათ ვგულშემატკვირობთ. გვინდა, რომ ჩამოყალიბდეს.ძლიერი და სერიოზული პარტია. საჭიროა, კოსერვატიულ ფლანგზე გამოჩნდეს სერიოზული ძალა. მეორე მხრივ, მთლად კონსერვატიულად არ ჟღერს მათი ზოგიერთი მოქმედება, რომელიც აშკარად ლეიბორისტულ ხასიათს ატარებს. თუმცა, ეს უკვე წმინდა ადამიანური პრობლემაა.

მე მიყვარს და პატივს ვცემ ზვიად ძიძიგურსა და კობა დავითაშვილს, როგორც პატიოსან და ღირსეულ ადამიანებს. შესაბამისად, მათ წარმატებას ვუსურვებ.



**ფიქრია ჩიხრაძე,** *პარლამენტარი, ფრაქცია მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი:* ახალი პარტიის წესდებას არ ვიცნობ. თუმცა ვიცი, რომ შიდაპარტიული არჩევნები მოეწყობა. მე ყველა ოპოზიციურ ძალას ვგულშემატკივრობ და მათ წარმატებას ვუსურვებ. მინდა, რაც შეიძლება მეტი ოპოზიციური ძალა გაჩნდეს საქართველოში.



**ალექსანდრე შალამბერიძე,** *საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:* მივესალმები ყველა ახალი ორგანიზაციის შექმნას. ეს არის პოლიტიკური ცხოვრების აუცილებელი ნაწილი. განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჯერ არ გვაქვს იდეალოგიურად მკვეთრად ჩამოყალიბებული სპექტრი. ეს განაპირობებს საქართველოში ნორმალური, პოლიტიკური, დემოკრატიული სპექტრის ჩამოყალიბებას და ასეთი პარტიები არ იქნებიან მიბმული პიროვნებებზე. ეს მისასალმებელია და გასაკეთებელია. რაც უფრო სწრაფად დაიხვეწება პოლიტიკური სპექტრი, მით უფრო კარგია ქვეყნისთვის. თუმცა ეგეც არის: ილიას უთქვამს - წერის უფლებას ვერვის დაუშლი, მაგრამ ყველა პოეტი ვერ გახდებაო.

## ორი სიტყვით

**კიევი.** უკრაინაში საქართველოს საელჩომ სპეციალური მიღება გამართა „საქართველო ვარდების რევოლუციის ერთი წლის შემდეგ“, რომელზეც შედგა საქართველოსადმი მიძღვნილი ჟურნალის „თრაველ ნეთ“-ის პრეზენტაცია. ამავე მიღების ფარგლებში გაიმართა ფოტოგამოფენა, სახელწოდებით „საქართველო უკრაინელი ჟურნალისტების თვალით“. საელჩოს ინფორმაციით, მიუხედავად უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისა, მიღებას მსხვილი უკრაინული ტურისტული კომპანიების ბევრი წარმომადგენელი და ჟურნალისტი დაესწრო. გადაწყდა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს უკრაინის მსხვილი ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლები ეწვევიან, რათა 2005 წლის ტურისტული სეზონისთვის საქართველოში უკრაინელი ტურისტების ჩამოსასვლელად საფუძველი მომზადდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ რუსეთიდან 100 მეგავატის სიმძლავრის იმპორტს იწყებს. კომპანიის გენერალური დირექტორის დინ უაითის განცხადებით, ამ სიმძლავრის შემოტანა რეგიონების ელექტრომომარაგებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, თუმცა ელექტროენერგიას მხოლოდ კარგი გადახდის მქონე რეგიონები მიიღებენ. „ენერგოკომპანიის ფილიალების ნორმალური ელექტრომომარაგებისათვის დღე-ღამეში 4,8 მილიონი კილოვატსაათია საჭირო. რუსეთიდან იმპორტის განხორციელების შემთხვევაში, კომპანიას დღე-ღამეში 4 მილიონი კილოვატსაათის განაწილების საშუალება ექნება,“ - დააზუსტა უაითმა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** „საქართველოს ელექტროკავშირის“ აბონენტებისთვის წუთობრივი გადასახადის დაწესება კიდევ ორი თვით გადაიდო. კომპანიის ფასიანი მომსახურება ძალაში 1 დეკემბრიდან უნდა შესულიყო, თუმცა კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ეს პროცესი 1 თებერვლამდე გადაავადა. ამ პერიოდში კომისია „ელექტროკავშირსა“ და „ახალ ქსელებს“, ასევე „ელექტროკავშირსა“ და „ახტელს“ შორის ურთიერთჩართვის ტარიფების გადახედვას გეგმავს. მოქმედი ტარიფი 6 თეთრს შეადგენს. „იმ შემთხვევაში, თუ ეს ტარიფი შემცირდება, ჩვენი მომსახურება გაიაფდება,“ - აცხადებენ „ელექტროკავშირში“. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბრიტანული კომპანია „ბი-პი“-ს ინფორმაციით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის შესავსებად 4 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობია საჭირო. მილსადენის შევსება იმ 11 მილიონი ტონა ნავთობის ხარჯზე მოხდება, რომლის მოპოვებაც 2005 წლიდან აზერბაიჯანის აზერი-ჩირაგი-გიუნშლის საბადოში იგეგმება. ნავთობსადენი 2005 წლის მაისისთვის უნდა ამოქმედდეს. **მედია-ნიუსი**

# თბილისის გაზმომარაგებაში კვლავ პრობლემებია

სოფიკო ოხანაშვილი

თბილისის გაზმომარაგებაში კვლავ პრობლემები შეიქმნა. გუშინ მთელი დღის განმავლობაში რამდენიმე უბანში, მათ შორის - ისნის, მთაწმინდისა და საბურთალოს რაიონებში, წნევა რამდენჯერმე დაეცა და ბოლოს საერთოდ შეწყდა მიწოდება. „თბილგაზის“ გენერალური დირექტორის მოადგილის სოსო სიმონიშვილის თქმით, აცივების გამო ბუნებრივი აირის მოხმარება გაიზარდა, რის გამოც წნევის სტაბილურობის შენარჩუნება ჭირს და მოსახლეობისთვის გაზის მიწოდება ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება. დღის განმავლობაში, თბილისის გაზმომარაგება, სამის ნაცვლად, ერთი წყაროდან ხორციელდებოდა, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა თბილისის სრული მომარაგებისთვის. მოგვიანებით, ნავთლუღის გაზგამანაწილებელი სადგურის გარდა, გაჩიანის სადგურიც დაიტვირთა, რამაც პრობლემები ნაწილობრივ მოაგვარა.

თბილისის გაზმომარაგებაში შექმნილი პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად მოძველებული ქსელი სახელდება. სიმონიშვილის განმარტებით, საბჭოთა კავშირის დროს გაყვანილი გაზგამანაწილებელი ქსელი გათბობის სისტემაზე გათვლილი არ არის და ქალაქის მილსადენის სისტემა ვერ უძლებს იმ გამათბობლებს, რომლებსაც მოსახლეობა იყენებს. ასეთი განმარტების შემდეგ, სიმონიშვილმა მომხარებელს გაზის დაზოგვის თხოვნითაც მიმართა და იქვე გააფრთხილა, რომ ახალ წლამდე თბილისის მოსახლეობა ბუნებრივ აირს შეფერხებებით მიიღებს. თუმცა, „თბილგაზში“ ოპტიმისტურად არიან განწყობილი და ახალი წლის შემდეგ მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტიასაც იძლევიან. სიმონიშვილის განმარტებით, დეკემბრის ბოლოს დასრულდება გლდანის რაიონიდან დიდი დიღმის მიმართულებით ახალი გაზსადენის დამონტაჟება, რაც დიდი დიღმის გაზმომარაგებაში შექმნილ ვითარებას გააუმჯობესებს და მოსახლეობაც აირს ნორმალურ რეჟიმში მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს. ამჟამად, უკვე დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„თბილგაზის“ ინფორმაციით, გლდანი-დიდი დიღმის გაზსადენის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხები ენერგეტიკის სამინისტრომ გამოყო. სამუშაოების ჩატარება ჯერ კიდევ სამი წლის წინ იგეგმებოდა, თუმცა, უსახსრობის გამო, მათი დაწყება დღემდე ვერ მოხერხდა. „თბილგაზის“ განმარტებით, გლდანი-დიდი დიღმის დასახლება ტექნიკურად რთული უბანია და მისი ბუნებრივი აირით მომარაგება სათადარიგო გაზსადენით ხდება, რომელიც 4500 აბონენტის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. სიმონიშვილის თქმით, დიდ დიღომში გაზიფიცირებულ მომხმარებელთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო, დასახლების სრული გაზმომარაგება რთულდება. არსებული პრობლემების მიუხედავად, სიმონიშვილმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დიდ დიღომში ბუნებრივი გაზი თითქმის ერთი თვეა, არ არის.

გუშინვე, თბილისის საკრებულომ „თბილგაზში“ არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილ სპეციალურ კომისიას მუშაობისთვის კიდევ ერთი კვირა მისცა. საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის განმარტებით, „თბილგაზში“ შექმნილი მდგომარეობის დეტალური შესწავლის, დოკუმენტაციის გაცნობისა და შესაბამისი დასკვნების მოსამზადებლად კომისიისთვის მიცემული ათდღიანი ვადა არასაკმარისი აღმოჩნდა. დედაქალაქის შეუფერხებელი გაზმომარაგების, მოსახლეობიდან მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ამოღების და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის თვალსაზრისით, საკრებულოს „თბილგაზის“ ხელმძღვანელობასთან საკმაოდ ბევრი პრეტენზია დაუგროვდა. „თბილგაზთან“ დაკავშირებით საგანგებო სხდომის მოწვევას საკრებულოში მომავალ კვირას გეგმავენ.

# ნუ მოჰპარავთ ერთმანეთს დენს!

გუშინ „თელასსა“ და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის საკითხებს არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის CENN-ის მიერ ორგანიზებული მორიგი მრგვალი მაგიდა მიეძღვნა. შეხვედრაში „თელასის“, სემეკ-ის, „თბილლიფტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დისკუსიის მთავარ თემად იმ სადენების კონტროლის საკითხი იქცა, რომელთა მეშვეობითაც დენი „თელასის“ მრიცხველებიდან უშუალოდ აბონენტებამდე მიდის.

საქმე ისაა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა მოსახლეობა დენს ლიფტიდან ან, უარეს შემთხვევაში, მეზობლისგან იპარავს. ამ დროს, დენის დატაცების ფაქტის გამოვლენა-გამოძიება იურიდიულად „თელასის“ კომპეტენციაში აღარ შედის, რადგან კომპანია მხოლოდ თავის საკუთრებაზე - სატრანსფორმატორო ჯიხურებიდან „თელასის“ ინდივიდუალურ მრიცხველებამდე მიმავალ კაბელებზე და ამ მრიცხველებზე აგებს პასუხს. ამის გამო, მრიცხველებიდან ბინებში შემავალი კაბელი, რომელიც თავის დროზე „ეი-ი-ეს კორპორაციამ“ თბილისში განხორციელებული ინვესტიციის ფარგლებში გამოცვალა, აბონენტთა საკუთრებად დაფიქსირდა. შესაბამისად, არ არსებობს არავითარი ბერკეტი, რომელიც მოსახლეობას დატაცების მსგავსი სიტუაციებისგან დააზღვევს. ბუნებრივია, მეზობელთა მიერ გაქურდული აბონენტები „მეზობლის ჩაშვებას“, უმეტესად, დუმილს ამჯობინებენ. იმ შემთხვევაში კი, როცა დატაცების სქემა ოსტატურადაა შენიღბული, „გაქურდულთა“ ყოველთვიური ზარალი სოლიდურ ციფრებს აღწევს.

CENN-ში მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საკითხი ყურადღებას მოითხოვს. ამის გამო, ორგანიზაციის წარმომადგენლები უახლოეს მომავალში სემეკ-ში შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის შეტანას გეგმავენ.

*24 საათი*

# მთავრობის ოპტიმიზმის ბავშვებს არ სჯერათ

ანა წიკლაური

*მთავრობა უპრობლემო ზამთარს გვპირდება, თუმცა ენერგომამების ოპტიმიზმისა და დაპირებების ფონზე ბავშვების წარმოსახვაში ზამთარი კვლავ ჩაბნელებულ სახლებთან, მხრჩოლავ ლამპებთან, ნავთის ან შეშის ღუმლით გაჭვარტლულ ოთახებთან, გენერატორებთან, ცივ და გაუსაძლის საღამოებთან ასოცირდება.*

მთავრობა ზამთრისთვის ემზადება: ზამთრის მოახლოებასთან ერთად ენერგეტიკის სექტორში არსებული მდგომარეობა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ბოლო კვირების განმავლობაში ენერგეტიკის სფერო ნომერი პირველი თემა იყო. სექტორში შექმნილი პრობლემების განხილვა კანცელარიიდან პარლამენტში ინაცვლებდა. პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ჟვანიამ, ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისის გამო შეშფოთება გამოთქვა და ენერგეტიკის მინისტრს, ნიკა გილაურს, მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული ვადაც დაუწესა. პრემიერ-მინისტრის დავალებების მიღების გარდა, ქვეყნის ენერგეტიკაში შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით, ნიკა გილაურს დეპუტატების შეკითხვებზე პასუხის გაცემაც მოუწია. რატომ არ დაიზოგა ენგურჰესის წყალსაცავში არსებული ჰიდრორესურსი, არსებობს თუ არა ჰესის წყალსაცავის დამუშავების გრაფიკი და რატომ მოითხოვეს აფხაზებმა ჰიდრორესურსის დაზოგვის მიზნით ჰესის გამომუშავების შემცირება, რატომ არ სრულდება ენერგეტიკის მინისტრის დაპირება, რომ რეგიონებს გადახდის მიხედვით 8-18-საათიანი ელექტრომომარაგება ექნებოდათ - ეს იმ შეკითხვების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც დეპუტატებს ყველაზე მეტად აინტერესებთ. სახელისუფლებო განხილვების პარალელურად კი ელექტროენერგიის მოთხოვნით თვეობით შუქს მონატრებული მოსახლეობა რეგიონებში საავტომობილო გზებს კეტავს და ხელისუფლების მხრიდან მისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში "ენგურჰესთან" დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მწყობრიდან გამოყვანით იმუქრება.

პრობლემები მართლაც არსებობს: მოხშირდა ავარიები, რის გამოც მოსახლეობა დენის მოთხოვნით გაფიცვას გაფიცვაზე მართავს. მთავარ პრობლემად კი ის რჩება, რომ არ არსებობს რეგიონებისთვის დენის მიწოდების გრაფიკები. ყოველივე ამის ფონზე ენერგეტიკის სამინისტროში მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილი. ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ირწმუნება, რომ ზამთარი უპრობლემო იქნება მთლიანად ქვეყნისთვის, თბილისში კი 24 საათიანი მომარაგების გარანტიას იძლევა. გილაურის თქმით, უახლოეს მომავალში გადაწყდება რეგიონებისთვის გრაფიკების დაწესების საკითხიც. კერძოდ, მიმდინარე კვირას გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია დაასრულებს გრაფიკებზე მუშაობას და შედეგებს რაიონულ გაზეთებში გამოაქვეყნებს. გრაფიკები ჯერ კიდევ ორი კვირის წინ უნდა ყოფილიყო მზად. **"იმპორტის საკითხი არ იყო ჯერ გადაწყვეტილი, ამიტომ თავი შევიკავეთ გრაფიკების გამოქვეყნებისგან",** - ასე გაიმართლა თავი ენერგეტიკის მინისტრმა რეგიონებისათვის გრაფიკების შემუშავების დაგვიანებაზე და იქვე დასძინა, რომ გრაფიკების არქონის მიუხედავად, მთელ ქვეყანაში კარგი მომარაგებაა, რამდენიმე გამონაკლისის (გარდაბანი, ლაგოდეხი და ა.შ.) გარდა. მისივე შეფასებით, შარშანდელთან შედარებით მთელ რიგ რეგიონებში გაუმჯობესდა მიწოდება, მათ შორის-გურიაში. ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ახლა 18-20-საათიანი გრაფიკი აქვთ დიდ ქალაქებს: რუსთავს, ქუთაისს და ზუგდიდს. უახლოეს მომავალში სამინისტრო მათ სიაში გორის შეყვანასაც აპირებს. გილაური პირობას დებს, რომ ეს გრაფიკი ზამთარშიც შენარჩუნდება. ხოლო რაც შეეხება სასოფლო დასახლებებს, მინისტრი ასევე გვარწმუნებს, რომ გრაფიკები ყველა რაიონისთვის დამოუკიდებლად შემუშავდება და საშუალოდ რვასაათიანი გრაფიკი დაწესდება. ენერგეტიკის სამინისტროში ოპტიმისტური განწყობის საფუძვლად ნიკა გილაური ცოტა ხნის წინ სომხეთიდან და რუსეთიდან განხორცილებულ იმპორტსა და შიდა გამომუშავების გაზრდას ასახელებს. ენერგეტიკის მინისტრის თქმით, ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად მოხდა შიდა ჰესების რეაბილიტაცია და შიდა გამომუშავების გაზრდა. სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად ექვსი აგრეგატია მწყობრში, პირველი იანვრისთვის კიდევ ოთხი აგრეგატი შევა ექსპლუატაციაში. დასრულდება ენგურჰესზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და თებერვლის დასაწყისში მესამე აგრეგატიც ამუშავდება. ამჟამად ერთოულად სარემონტო სამუშაოები რამდენიმე მცირე ჰესზეც მიმდინარეობს. ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ ამოქმედებულია, მათ შორის, ვარდნილჰესზე ორი აგრეგატი მუშა მდგომარეობაშია, ლაჯანურჰესის ერთი აგრეგატი პირველ დეკემბერს, ხრამი 2-ის ერთი აგრეგატი კი 15 დეკემბერს ჩაირთვება.

უახლესი მონაცემებით, საქართველოში მოხმარების პიკზე 1200 მეგავატი ელექტროენერგია სჭირდება, აქედან 200 მეგავატი თელასის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიაა (100 მგავატი რუსეთიდან, 100 მეგავატი - სომხეთიდან) , პირველი ოქტომბრიდან ჩართულია მეცხრე ენერგობლოკი, რომელიც 200 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, აქედან 70 მეგავატს თელასი ყიდულობს პირდაპირი შესყიდვის წესით, დანარჩენს - საბითუმო ბაზარი და შემდეგ საქართველოს რეგიონებში გაერთიანებული ენერგოკომპანიის მეშვეობით ნაწილდება, 1200 მეგავატიდან 500 მეგავატი ენგურჰესზე მოდის, დანარჩენი 300 მეგავატი კი - პატარა ჰესებზე.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერეგოკომპანიამ რუსეთიდან დამატებით 100 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტის განახორციელება დაიწყო. გილაური დარწმუნებულია, რომ იმპორტირებული ელექტროენერგია ქვეყნის, განსაკუთრებით რეგიონების ენერგომამარაგებაში ბევრ პრობლემას მოაგვარებს. **თელასის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიის წყალობით მინიმუმადე შემცირდება ენგურჰესის სიმძლავრეების გამოყენება, რაც მთელი საქართველოს ენერგოსისტემისთვის დაზოგავს და გამოათავისუფლებს დამატებით სიმძლავრეებს",** - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა და იქვე დაუმატა, რომ ენგურჰესის წყლის დაბალი დონე გამოწვეულია არა გამომუშავების გაზრდით, არამედ გვალვით. **"წყლის დონე შარშანდელთან შედარებით დაბალია, მაგრამ ამის კომპენსაციას გაზრდილი იმპორტის მეშვეობით ვაპირებთ",** - განაცხდა გილაურმა.





ზამთრის წინა მოსამზადებლი სამუშაოებით კმაყოფილია თელასიც. ენერგეტიკის სამინისტროს მსგავსად, აქაც ოპტიმისტურად არიან განწყობილი და თბილისელებს უპრობლემო 24 საათიან ელექტრო მომარაგებასაც გვპირდებიან. **"მთელი ზამთარი ისე გვაქვს კონტრაქტებით დაბალანსებული, რომ თბილისში პრობლემები არ იქნება, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა",** - განაცხადა თელას-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ვალერი ფანცულაიამ.

თელას-ის ინფორმაციით, ამჟამად თბილისი მოხმარების პიკზე 400 მეგავატ ელექტროენერგიას მოიხმარს. აქედან 200 მეგავატი რუსეთიდან და სომხეთიდან მიღებულ იმპორტზე მოდის, 70 მეგავატი - მეცხრე ენერგობლოკისგან პირდაპირი შესყიდვის წესით ნაყიდ ელექტროენერგიაზე, დაახლოებით, 100 მეგავატამდეა ხრამჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, დანარჩენს კომპანია საბითუმო ბაზრისგან ყიდულობს. თელას-ის მონაცემებით, ზამთარში მოხმარება პიკზე 500 მეგავატამდე გაიზრდება, თუმცა, იმავე წყაროს ცნობით, გაზის გათიშვისას ელექტროენერგიის მოხმარება 25 პროცენტით იზრდება. ფანცულაიას თქმით, კომპანია ამისთვისაც მზადაა და საჭიროების შემთხვევაში თელასი რუსეთიდან და სომხეთიდან დამატებით იმპორტს განახორციელებს.

ენერგეტიკის სამინისტროსა და თელას-ის ოპტიმიზმს თბილისთან მიმართებაში სემეკ-თან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძეც იზიარებს. თუმცა, მისთვის მიუღებელია ის ოპტიმიზმი, რაც სამინისტროს მთლიანად საქართველოს ენერგოპრობლემების მიმართ აქვს. მისი განმარტებით, რეგიონებთან დაკავშირებით არა მარტო ელექტრონერგიის დეფიციტის პრობლემაა, არამედ ფულის ამოღებისაც. ებრალიძე არ იზიარებს მთავრობის ენერგეტიკულ პოლიტიკას და აცხადებს, რომ ქვეყანაში არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ ასეთი ძვირად ღირებული დენი შემოვიდეს. **"ეს ჰაერში გაფანტული თანხებია",** - განაცხადა ებრალიძემ და იქვე დაუმატა, რომ ჯობს, ხელისუფლებამ მოსახლეობას რეალური მდგომარეობა აუხსნას და თავი შეიკავოს ისეთი განცხადებებისგან, რომ ყველაფერი კარგად და იდეალურადაა. **"თუ ყველაფერი კარგადაა, მაშინ მოსახლეობას უჩნდება სამართლიანი მოთხოვნა, რომ მას დენი უნდა. ამის უზრუნველყოფა კი ხელისუფლებას უკევ აღარ შეუძლია",** - განაცახდა ებრალიძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის ("კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN); "მწვანე ალტერნატივა" და "ეკოხედვა") მიერ თბილისის ექვს უბანში USAID ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულმა პროექტმა, **"ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით",** საინტერესო, თუმცა არც თუ მოულოდნელი სურათი დაგვანახა.

პროექტის შედეგად შექმნილი ენერგისერვისის მომხმარებელთა ასოციაციების (ესმა) ინიციატივით, ოქტომბერში, თბილისის ექვსი უბნის სკოლებში გაიმართა ხატვის აქციები "ზამთარი ჩვენს ბინებში". აქციის შედეგად შექმნილი ნამუშევრები ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში იქნა გამოფენილი.

გამოფენამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რამდენად განსხვავდება ჩვეულებრივი თბილისელი ბავშვების, მათი თანასკოლელებისა თუ ოჯახის წევრების მოლოდინები ენერგეტიკის სპეციალისტების მიერ მასმედიის საშუალებებით გაკეთებული პროგნოზებისაგან.

ენერგომამებისგან განსხვავებით, ბავშვები ნაკლებად ოპტიმისტურად უყურებენ მოახლოებულ ზამთარს, მათ წარმოსახვაში ზამთარი კვლავ უშუქობასთან, სიცივესა და ლამპასთან ასოცირდება. გამოფენაზე წარმოდგენილი 200-მდე მოსწავლის მიერ შესრულებული 200-ზე მეტი ნახატის მთავარი ატრიბუტი გენერატორები, ლამპის შუქზე წიგნებში თავჩარგული მოსწავლეები, ჩაბნელებული სახლები, ქუჩები და სკოლები, სანთლები, ლამპები იყო. უმრვალესობას საკუთარი გამოცდილება და შთაბეჭდილებები ჰქონდა ნახატში გადმოცემული, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც უშუქობა თავად არ აწუხებთ, მაგრამ მათი ნახატების იდეა შთაგონებული იყო ახლობლებისგან გადმოცემით მიღებული შთაბეჭდილებებით.

გამოფენა 29 ნოემბრამდე გასტანს. გამოფენის გახსნას ავტორების, მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების გარდა, ორგანიზატორები და ენერგოსექტორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ორგანიზატორებმა ნახატების 21 ავტორი სპეციალური სიგელებით, ენერგოეფექტურობის შესახებ წიგნებითა და სახატავი რვეულებით დააჯილდოვეს. გამოფენაზე საუკეთესო სამი სურათის ავტორიც გამოვლინდა, რომლებსაც სამახსოვრო პლაკატები დაურიგდათ, აქედან ორი გამარჯვებულად დასახელდა და დამატებით საჩუქრად ელექტროფანრებიც მიიღეს. **"იმედი მაქვს, ამ ელექტროფანარს ხშირად არ გამოვიყენებ, თუმცა ეს იმაზეა დამოკიდებული მექნება თუ არა შუქი",** - გვითხრა ერთ-ერთი საუკეთესო სურათის ავტორმა 84-ე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ ირაკლი მირზიკაშვილმა და იქვე თავისი სურათიც აგვიწერა: **"ვიფიქრე, რადგან შუქი ჩვენთან არ მოდის, ე.ი. სადღაც ყიდიან. ტელევიზიით სულ საბითუმო ბაზარი მესმოდა და ვიფიქრე, რომ ალბათ ამ ბაზარზე იყიდება-მეთქი. ამ სურათზე სიმბოლურად გადმოვეცი, რომ იმდენი ხანია ეს ჩამრთველი ხალხისკენ არ გადმორთულა, რომ უკვე ობობას ქსელიც გაჩნდა. აქ ჩანს კიდევ გაწყვეტილი კაბელები, მე ვფიქრობ რომც გადმორთო, მაინც არ მივა ხალხამდე, იმიტომ რომ ყველაფერი გაფუჭებულია".**

**"ზამთრობით უყვართ შუქის ჩაქრობა, მგონი, ახლაც ძალიან ცუდი ზამთარი გვექნება",** - განგვიმარტა მეორე გამარჯვებულმა ნინო ბერუაშვილმა.

უფროსკლასელებისგან განსხვავებით, მოახლოებულ ზამთარს ოპტიმისტურად უყურებენ პატარები, მეხუთეკლასელი ბექა იმედოვნებს, რომ წელს აღარ მოუწევს ტელევიზორის გენერატორის საშუალებით ყურება და ლამპის შუქზე მეცადინეობა.

სულ ცოტა დროღა დარჩა იმის გასაგებად, ეს დაპირებაც დაპირებად დარჩება თუ ენერგომამები გამონაკლისს დაუშვებენ და დაპირებას მართლაც შეასრულებენ.

Caucasus Environmental NGO Network CENN
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
მწვანე ალტერნატივა
ეკოხედვა
ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაცია
USAID

# მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებაზე შეთანხმდნენ

უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას თქმით, კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი პოლიტიკურ-სამართლებრივი კომპრომისის მოძებნა გახლავთ. ამის თაობაზე მან გუშინ გამართული მრავალმხრივი შეხვედრის წინ განაცხადა, რომელიც კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანად დარეგულირებას ისახავდა მიზნად.


ყველა მხარე უზენაესი სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილების მოლოდინშია.

მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი რადას თავმჯდომარემ ვლადიმირ ლიტვინმა, ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა იანუშ კუბიშმა, ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანამ, რუსეთის დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა, პოლონეთის ექს-პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ, ლიტვის პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა და თავად პრეზიდენტობის კანდიდატებმა ვიქტორ იუშენკომ და ვიქტორ იანუკოვიჩმა. ეს უკანასკნელი შეხვედრაზე მოგვიანებით გამოჩნდა.

მოლაპარაკებები კუჩმას რეზიდენციაში გაიმართა, რადგან მომიტინგეებს შენობები, სადაც ხელისუფლების ორგანოებია განთავსებული, კვლავინდებურად დაბლოკილი ჰქონდათ. შეხვედრის დაწყებამდე სასახლის მთავარ კარიბჭესთან ათასამდე „ნარინჯისფერი“ შეიკრიბა.

უნდა აღინიშნოს, რომ კუჩმა და იუშენკო მოლაპარაკებათა მაგიდას მხოლოდ მას შემდეგ მიუსხდნენ, რაც ოპოზიციის კანდიდატმა კვასნევსკისა და სოლანასთან პირადი მოლაპარაკებები გამართა. აქამდე, კუჩმას თქმით, იუშენკო ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარს აცხადებდა. როგორც ჩანს, პოლონეთის ექს-პრეზიდენტმა და ევროკავშირის კომისარმა მისი გადარწმუნება მოახერხეს. შეხვედრის შემდეგ სამივე მათგანი მასმედიის წარმომადგენლებთან გამოვიდნენ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, თუმცა ოფიციალური განცხადებებისაგან თავი შეიკავეს.

ალექსანდრ კვასნევსკიმ შეხვედრა ვიქტორ იანუკოვიჩთანაც გამართა. შეხვედრის წინ კი მან განაცხადა, რომ უკრაინაში განხეთქილების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით ჩამოვიდა. „ჩვენ აქ იმიტომ ვიმყოფებით, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის ერთობას საფრთხე დაემუქრა,“ - განაცხადა პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა. მან იქვე დაამატა, რომ უკრაინაში შექმნილი სიტუაცია ჭეშმარიტად პოლიტიკური კრიზისი გახლავთ.

გუშინვე, დღის პირველ ნახევარში, ევროპელი შუამავლები უკრაინის პრეზიდენტს შეხვდნენ. სოლანასა და კვასნევსკისთან მოლაპარაკებების კომენტირებისას, პრეზიდენტის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ საუბარი უკრაინაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას და მისგან გამოსვლის გზებს შეეხო. თავად კუჩმამ კი აღნიშნა, რომ ქვეყანას ეკონომიკური დაცემა ემუქრება და ამაში სრული პასუხისმგებლობა ოპოზიციას დაეკისრება.

„რა ხმამაღალი განცხადებებიც არ უნდა გაკეთდეს, დარწმუნებული ვარ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენ თავდაღმა დავეშვებით, რადგან შექმნილი მდგომარეობა ამგვარი განცხადებების საფუძველს მაძლევს“, - განაცხადა მან.

დაახლოებით 22 საათსა და 45 წუთზე შეხვედრა, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, გარკვეული შეთანხმებით დასრულდა. მოლაპარაკებების მონაწილეები მისი დასრულებისთანავე პრესის წინაშე გამოვიდნენ, სადაც უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

კუჩმას თქმით, ვითარებაში, როდესაც „მოსახლეობის ერთმა ნაწილმა იანუკოვიჩს მისცა ხმა, ხოლო მეორემ - იუშენკოს, არ შეიძლება ვინმემ თავი გამარჯვებულად ან დამარცხებულად იგრძნოს“. მან ასევე აღნიშნა, რომ შეხვედრა თავიდან ბოლომდე კარგ ატმოსფეროში წარიმართა, რისთვისაც მან ევროპელ დიპლომატებსა და რუსეთის სპიკერს დიდი მადლობა გადაუხადა.

კუჩმამ განსაკუთრებულ მიღწევად მიიჩნია ის ფაქტი, რომ იუშენკომაც და იანუკოვიჩმაც, სიტუაციის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, ძალადობაზე უარი განაცხადეს. „დაპირისპირებული მხარეები ძალის ნებისმიერი სახით გამოყენების წინააღმდეგი არიან, რაც კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევდა,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამის შემდეგ ლეონიდ კუჩმამ პრესის წარმომადგენლებსა და შეკრებილ საზოგადოებას ერთობლივი განცხადება წაუკითხა. მისი თქმით, მოლაპარაკებების წარმოებისათვის შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობას დაუყოვნებლივ შეუდგა. ამასთან, პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის თაობაზე მოლაპარაკებები ლეონიდ კუჩმას, ვლადიმირ ლიტვინოვის, ვიქტორ იუშენკოსა და ვიქტორ იანუკოვიჩის მონაწილეობით იწარმოებს.

კუჩმამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა მხარე უზენაესი სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილების მოლოდინშია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ცოტა ხნით ადრე, ქვეყნის უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრმაც გააკეთა განცხადება. მისი თქმით, არჩევნების შედეგების ოფიციალურად ცნობა შეუძლებელია, ვიდრე უზენაესი სასამართლო ყველა სარჩელს არ განიხილავს. მინისტრმა ასევე არ გამორიცხა, რომ მეორე ტური განმეორებით, შესაძლოა, 2005 წელს შედგეს იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო არჩევნებს არშემდგარად ცნობს.

დაბოლოს - ვიქტორ იუშენკომ მიტინგზე გამოსვლისას თავის ასიათასობით მომხრეს მოუწოდა, არ დაშლილიყვნენ და საბოლოო გამარჯვებამდე ებრძოლათ.

# უკრაინა - დასავლეთისა და რუსეთის საჭილდაო ქვა

### განსხვავებული და იდენტური მოსაზრებები დასავლურ მედიაში

ხათუნა ბაზიევი

დასავლეთის ბეჭდვითი მედიისათვის, უკრაინაში მიმდინარე პროცესები, ცხადია, აქტუალობას არ კარგავს. როგორც ცნობილია, გუშინ ვიქტორ იუშენკომ, მომხრეებთან ერთად, უკრაინის უზენაეს სასამართლოში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით სარჩელი შეიტანა. მოგვიანებით კი, უზენაესი სასამართლოს განცხადებით საზოგადოებამ შეიტყო, რომ პრეზიდენტის ინაუგურაცია საქმის განხილვამდე არ შედგება. ეს კი, უკვე, ოპოზიციის სასარგებლოდ მოვლენების განვითარებაზე მიუთითებს, მიიჩნევს დიდი ბრიტანეთის „დეილი ტელეგრაფი“.


"რევოლუციის განხორციელების გზებს ახალგაზრდობის მობილიზაცია, დემოკრატიულ საფუძვლებში გათვითცნობიერება და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის წახალისება წარმოადგენს."

„თაიმს“-ის თანახმად, ვითარება უკვე საყაიმოა, რადგან უკვე შეუძლებელია თითოეული კანდიდატისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობის დადგენა. ამდენად, ახლა რომელიმესათვის მართვის სადავეების გადაცემა თავისთავად არადემოკრატიული იქნება. ამ პირობებში ერთადერთ გზად არჩევნების ხელმეორედ ჩატარება რჩება. მართალია, ეს ისეთი რომანტიკული არ იქნება, როგორიც რევოლუციის მოწყობაა და გაცილებით დიდ ფინანსურ რესურსებთანაც იქნება დაკავშირებული, მაგრამ ლეგიტიმური ნამდვილად იქნება. უკრაინის საზოგადოების გახლეჩის თავიდან აცილებას ახალი პრეზიდენტი მხოლოდ ჭეშმარიტად დემოკრატიული მანდატის მოპოვებით შეძლებს.

„გარდიანი“ კი „წაბლების ქალაქში“ მიმდინარე პროცესებში ვაშინგტონის ფარულ ხელს ხედავს. უახლეს ისტორიაში აშშ-ს ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დემოკრატიული ცვლილებების კამპანია, სადაც დიპლომატების გარდა პოლიტტექნოლოგები და კონსულტანტებიც მუშაობდნენ, 2000 წელს ბელგრადის არჩევნებზე იქნა აპრობირებული, რასაც შედეგად სლობოდან მილოშევიჩის ხელისუფლების სათავეებიდან ჩამოშორება მოჰყვა. მაშინ, ლიბერალური გაზეთის მტკიცებით, გადამწყვეტი როლი აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაიერსმა ითამაშა. იგივე ხერხი იქნა გამოყენებული შარშან, საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ დროს, მიიჩნევს „გარდიანი“.

ერთი სიტყვით, შემუშავებულია ერთგვარი შაბლონი სხვა ქვეყნებში არჩევნების მანიპულაციისათვის, რომლის განხორციელების გზებს ახალგაზრდობის მობილიზაცია, დემოკრატიულ საფუძვლებში გათვითცნობიერება და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის წახალისება წარმოადგენს, წერს „გარდიანი“. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი ბელორუსი აღმოჩნდა, სადაც ხელისუფლებიდან ლუკაშენკოს ჩამოშორება შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბელორუსში ამ კამპანიას ცენტრალურ ამერიკაში ანალოგიური ოპერაციების ვეტერანი მაიკლ კოზაკი ხელმძღვანელობდა.

აშშ-ს სტრატეგიამ ანტიდემოკრატიული რეჟიმების დამხობაში თუ კიევის შემთხვევაში კვლავაც გაამართლა, ვაშინგტონი, ალბათ, მას სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც გააგრძელებს. შემდეგ სამიზნედ შესაძლოა, მოლდოვა, შემდეგ კი ცენტრალური აზიის ავტორიტარული ქვეყნები იქცნენ, მიიჩნევს „გარდიანი“. ეს, შესაძლოა, სარწმუნო პროგნოზიც აღმოჩნდეს, მით უფრო, რომ ყირგიზეთის პოლიტიკურ წრეებში, მომავალ წელს დაგეგმილ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას, ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა „რევოლუციის მოსამზადებლად ოპოზიციური დაჯგუფებების მიერ იატაქვეშა პროკლამაციებიც“ ახსენა.

კიდევ ერთი გავლენიანი ბრიტანული გაზეთი „ფაინენშლ თაიმსი“ უკრაინულ თემაზე რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებისას პუტინს მეფისტოფელსაც ადარებს. „როდესაც თქვენ მეფისტოფელთან დებთ ხელშეკრულებას, ადრე თუ გვიან მოგიხდებათ სულის დათმობა. ასეთი დრო კი დასავლეთს ახლა დაუდგა. იმისათვის, რათა ნავთობით მდიდარი რუსეთი თავის მოკავშირედ ექცია, დასავლეთმა თავის დროზე თავის ყველაზე ფასეულ ღირებულებებს გადაუხვია. ერთ-ერთი ბნელი გარიგების მსხვერპლად კი უკვე იქცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი. იგი დასავლეთში პუტინის ყველაზე ახლო მეგობარი იყო, როცა მას ვაშინგტონთან საერთო ენის გამონახვა სურდა. მიზნის მიღწევის შემდეგ კი ავტორიტარმა მმართველმა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან მეგობრობა დაივიწყა, რასაც ცხადია, მოსკოვსა და ლონდონს შორის ურთიერთობების გაცივება მოჰყვა,“ - წერს „ფაინენშლ თაიმსი“. ამჟამად კი, სახალხო მღელვარების მიუხედავად, პუტინი უკრაინაზე გავლენას, ჯერჯერობით, ინარჩუნებს, ახლო აღმოსავლეთის დაქვემდებარების პუტინისეულ გეგმებში ხომ უკრაინას ყოველთვის უმთავრესი ადგილი ეკავა. თუმცა, უკრაინელი ხალხის მოკლევადიან პერსპექტივაში გამარჯვების იმედი ნაკლებად აქვს სტატიის ავტორს ფილიპ სტივენსს. „პრეზიდენტ პუტინის რუსეთი ძალისა და სისუსტის საინტერესო ნაზავს წარმოადგენს. მისი ძლიერების საფუძველი გეოგრაფიული ადგილმდებარეობაა. რუსეთის საზღვრები ევროპისა თუ აშშ-ს სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესებს ემთხვევა, იქნება ეს ჩრდილოეთი კორეა, ავღანეთი, ირანი, ერაყი, კავკასია, მოლდოვა თუ ბელორუსი, მათ რიცხვს კი უკვე დაძაბულობის კერად ქცეული უკრაინაც მიემატა. მოთხოვნა ნავთობსა და გაზზე რუსეთს ეკონომიკურ სტაბილურობას, ხოლო მის დიპლომატებს საერთაშორისო ასპარეზზე სათამაშოდ ძლიერ კოზირებს აძლევს. სისუსტეები კი არანაკლებ მნიშვნელოვანი აქვს რუსეთს, ესაა: მოსახლეობის დაბერებისა და რიცხობრივი კლებადობის ტენდენცია, ინფრასტრუქტურის ნგრევა და მეწარმეობის კვდომა, ცუდად აღჭურვილი და დრომოჭმული სტანდარტების მქონე არმია და დაუსრულებელი ომი ჩეჩნეთში, სადაც გამარჯვების შანსიც არ აქვს. ბესლანის ტრაგედიამ კი რუსეთში არსებული ტერორიზმის მაღალი ხარისხი და სახელმწიფოს უნიათობა დაამტკიცა,“ - წერს „ფაინენშლ თაიმსი“.

თუმცა, როგორც ჩანს, ზესახელმწიფოს ამბიციის დათმობა არც ისე ადვილია და წარსული დიდების აღდგენა თუ არა, ევროპულ დემოკრატიასთან მოსაზღვრე, საკუთარ ავტორიტარიზმს დამორჩილებული სახელმწიფოს ქონა მაინც უნდა იყოს რუსეთის თვითმიზანი. ყოველ შემთხვევაში, ბრიტანული გაზეთის „ფაინენშლ თაიმს“-ის მიხედვით, დასავლეთის მონაწილეობა რუსულ თამაშში, ან სულ მცირე თვალის დახუჭვა მაინც, უკვე დიდი ხანია, რაც სხვა, გაცილებით მასშტაბური ინტერესით აიხსნება. საერთაშორისო არენაზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აშშ-ს ერაყთან დაკავშირებით რუსეთის მხარდაჭერის მოპოვება სურს, ევროპას კი რუსეთის დახმარება ირანის ბირთვული ამბიციების დასაოკებლად სჭირდება. წმინდა ეკონომიკური მოსაზრებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ნავთობკომპანიებიც დაინტერესებული არიან რუსეთის ნახშირწყალბადების უზარმაზარი რესურსებით. რუსეთში დემოკრატიის დამკვიდრება კი დიდი ხანია, რაც დავიწყებას მიეცა.

ავსტრიის გაზეთის „შტანდარტ“-ის თქმით კი, უკრაინული ვითარებიდან გამოსავალი გამოააშკარავებს, გაუძლო თუ არა ევროკავშირმა ყველაზე სერიოზულ გეოპოლიტიკურ გამოცდას. დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა თავიდან აიცილოს „ცივი ომის“ რეციდივი. „ევროპა და რუსეთი დიდად არიან დამოკიდებული ერთმანეთზე. მათ შორის კი უკრაინაა, რომელიც თუ ისტორიულად რუსი ერის აკვანს წარმოადგენს, კულტურის თვალსაზრისით - ნაწილი დასავლეთთან პოულობს იდენტურობას, ნაწილი რუსეთთან“.

დაბოლოს, როგორც გავლენიანი ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ წერს, ვაშინგტონელი ექსპერტების შეფასებით, ყველაფერი ევროპისა და აშშ-ს ჰარმონიულ თანამშრომლობაზეა დამოკიდებული. თუკი ერთნიც და მეორენიც თანაბარ სიმტკიცეს გამოავლენენ, უკრაინის ხელისუფლებას თავის რუს მფარველებთან ერთად სხვა გზა არ ექნება, გარდა კომპრომისზე წასვლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის დაახლოება გრძელვადიანი პერსპექტივით გადაიწევა.

# იავლინსკიმ რუსი ჟურნალისტები „დატუქსა„

პარტია „იაბლოკოს“ ლიდერის, გრიგორი იავლინსკის განცხადებით, რუსეთის სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშკარად ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ იმის შესახებ, რაც უკრაინაში ამჟამად ხდება. „რუსეთის პირველი არხისა და რიგი რუსული გაზეთების ჟურნალისტების საქციელი იმ მონების საქციელს ჰგავს, რომლებსაც სხვების თავისუფლების შურთ და ამიტომ იტყუებიან, ასრულებენ ხელმძღვანელობის უზნეო განკარგულებებს, მონაწილეობას იღებენ უკრაინული ერის ერთი ნაწილის მეორეზე წაქეზებაში. ჟურნალისტთა ეს ნაწილი და ამ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელები უკრაინაში დაპირისპირებასა და შესაძლო შეტაკებებზე თავიანთ წილ პასუხისმგებლობას ატარებენ,“ - ნათქვამია იავლინსკის განცხადებაში.

იავლინსკიმ რუს ჟურნალისტებს მოუწოდა, გამოევლინათ პროფესიული ეთიკა, შეეწყვიტათ ხალხის მოტყუება და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება. „შეუერთდით მოძრაობა „ჩვენ არ გვჯერა!“-ს. თავს ნუ მოსჭრით რუსეთს,“ - მიმართა მათ იავლინსკიმ.

ოთხშაბათს ხარკოვის ტელევიზია „ნოვოსტის“ სააგენტოს (ATH) ჟურნალისტებმა მიიღეს OPT-სა და PTP-ის თანამშრომლებისადმი მიმართვა. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ უკრაინის მოვლენების გაშუქებისას, ამ არხების ჟურნალისტები აშკარად ცრუ ინფორმაციას გადმოსცემენ,“ - ნათქვამია მიმართვაში. უკრაინელმა ჟურნალისტებმა თავიანთ რუს კოლეგებს პროფესიული ეთიკისადმი პატივისცემისა და მიმდინარე მოვლენების ობიექტურად გაშუქებისაკენ მოუწოდეს. მიმართვის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ყველა რუსული მასობრივი საინფორმაციო საშუალება უკრაინაზე არა როგორც ქვეყანაზე, არამედ როგორც რომელიმე ტერიტორიაზე საუბრობს“.

# რუსული ენერგეტიკული ლაბირინთი

### ანუ როცა ხელი ხელს ბანს, ორივე კი - პირს

*გერმანული კონცერნი E.ON მონაწილეობას არ მიიღებს „იუგანსკნეფტეგაზის“ აუქციონში არც დამოუკიდებლად, არც „გაზპრომის“ ინტერესებში, რადგან რუსეთის ენერგეტიკული პროექტებით დაინტერესებულ გერმანელებს „იუკოსის“ გაზის მომპოვებელი აქტივების ხელში ჩაგდება სურთ. თავის მხრივ კი, „გაზპრომმა“ პრობლემების მოგვარების ხერხი იპოვა - იგი უზბეკეთის გაზს სხვისი „ხელით“ მოიპოვებს.*

დიანა ჩაჩუა

Financial Times-მა, გერმანული კონცერნის გენერალური დირექტორის ვულფ ბერნოტატას განცხადებაზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია გერმანული კონცერნის E.ON-ის „იუკოსის“ გაზის აქტივებით დაინტერესების შესახებ. **„ჩვენ არ ვართ დაინტერესებული „იუგანსკნეფტეგაზის“ მოსალოდნელი აუქციონით. იქ საუბარი მხოლოდ ნავთობზეა, ჩვენ კი გაზი გვაინტერესებს,“** - განაცხადა E.ON-ის ხელმძღვანელმა და იქვე უარყო ხმები მისი კომპანიის „გაზპრომის“ ინტერესებში მოქმედების შესახებ.

საქმე ის არის, რომ 19 დეკემბერს რუსეთის ფედერალური საკუთრების ფონდი აუქციონზე გაყიდის ღია სააქციო საზოგადოება „იუაგანსკნეფტეგაზს“. ჯერჯერობით, არც ერთ რუსულ და არც უცხოურ კომპანიას ღიად არ განუცხადებია აუქციონში მონაწილეობის შესახებ. გამონაკლისს იტალიური კომპანია ENI წარმოადგენს. როგორც კომპანიის თავმჯდომარემ ვოტირიო მინკატომ განაცხადა, მის კომპანიას რუსული კონცერნის წილის ყიდვა სურს, მაგრამ მას შემდეგ, რაც „იუგანსნეფტეგაზს“ „გაზპრომი“ ან რომელიმე სხვა კომპანია შეიძენს.

იტალიური კომპანიის ძირითად კონკურენტად „გაზპრომის“ აქციონერი და პარტნიორი გერმანული E.ON Ruhrgas სახელდება. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელმა უარყო აუქციონში მონაწილეობის სურვილი, თუმცა E.ON-ს შეუძლია, „გაზპრომს“ ფინანსირებაში დაეხმაროს, რაც ამ კომპანიის აუქციონში მონაწილეობისთვის აუცილებელია. **„E.ON რუსული ენერგეტიკული პროექტებითაა დაინტერესებული, ამიტომ „გაზპრომს“ სანაცვლოდ შეუძლია „E.ON“-ს ამაში დაეხმაროს,“** - განაცხადა სუვოროვმა. ანუ მოქმედებს პრინციპი: ხელი ხელს ბანს, ორივე კი - პირსო. E.ON-ს კი აცხადებს: **„თუ „იუკოსის“ გაზის აქტივები ბაზარზე გამოჩნდება, ჩვენ მათი ყიდვის საკითხს განვიხილავთ.“**

ცნობისათვის, „იუკოსის“ გაზის აქტივებში „არქტიკგაზი“, „ურენგოილ ინკ“ და „გეოილბენტის“ აქციების 34 პროცენტი შედის. ანალიტიკოსების აზრით, „იუკოსის“ აქტივები საინტერესო იქნება არა მარტო E.ON-თვის, არამედ, თვით „გაზპრომისთვის“, „ბიპისთვის“, „ლუკოილისთვის“, „სიბნეფტისთვის“ და „როსნეფტისთვის“. რუსული პრესის ცნობით, ნავთობკომპანიებმა კომენტარისაგან თავი შეიკავეს, არგუმენტად კი არაეთიკური საქციელი მოიყვანეს. **„ეს აქტივები ჯერ არ იყიდება, ასე, რომ კომენტარის გაკეთებაც შეუძლებელია,“** - განაცხადეს „ლუკოილის“ პრესსამსახურში. კომენტარზე „იუკოსიც“ უარს ამბობს.

თუმცა, არის კიდევ ერთი ვარიანტი - შესაძლოა, „იუკოსის“ გაზის საწარმოები სახელმწიფო ორგანოებმა იყიდონ საგადასახადო პრეტენზიების მოსახსნელად, მით უმეტეს, რომ საგადასახადო დავალიანებების მოცულობამ უკვე 20 მილიარდს გადააჭარბა, „იუკოსის“ შვილობილი ნავთობგადამამუშავებელი კომპანიების ღირებულება კი, შესაძლოა, არ იყოს ვალების გასასტუმრებლად საკმარისი.

რუსულ ენერგობაზარზე „ურთიერთდახმარების“ კიდევ ერთი მაგალითი დაფიქსირდა. გაზის მოპოვების მოცულობის ვარდნის გამო „გაზპრომი“ იძულებულია, იგი თურქმენეთისგან ან დამოუკიდებელი მწარმოებლებისგან იყიდოს. ერთ-ერთმა მათგანმა, კომპანია „ლუკოილმა“ ამ დღეებში განაცხადა, რომ ძალაში შევიდა უზბეკეთში ხელშეკრულება ნავთობსაბადოებში მიღებული პროდუქციის გაყოფის შესახებ, რომლის თანახმადაც „გაზპრომი“ „ლუკოილის“ მიერ მოპოვებულ უზბეკურ გაზს იყიდის.

დღეს „გაზპრომი“ ვერ აკმაყოფილებს გაზზე შიდა ბაზრის მოთხოვნილებას. **„მაშინაც კი, თუ კომპანია თავის მოპოვებას წელიწადში 540 მილიარდ კბ.მ-ზე დააბალანსებს, რუსულ გაზზე ევროპის ქვეყნების და თურქეთის მზარდი მოთხოვნილების გათვალისწინებით, ჩვენ გაზის მოპოვების დეფიციტს მივიღებთ. ასე რომ, დამოუკიდებელი მწარმოებლების და თურქმენეთის გარეშე „გაზპრომი“ გამოუვალ სიტუაციაში ვარდება,“** - ამბობს ენერგეტიკული პოლიტიკის ინსტიტუტის პრეზიდენტი ვლადიმირ მილოვი.

იდეაში, „გაზპრომი“ დამოუკიდებლად უნდა გასულიყო შუა აზიაში, როგორც ეს „რაო-ეესმა“ გააკეთა. თუმცა, „გაზპრომს“ თავისუფალ კაპიტალთან დაკავშირებით დაძაბული მდგომარეობა აქვს. ეტყობა ამიტომაც, უზბეკეთის გაზით სწორედ „ლუკოილი“ დაკავდება. კომპანიის პრეზიდენტის ვაგიტ ალეკპეროვის განცხადებით, ინვესტიცია ერთ მილიარდ დოლარს შეადგენს.

ექსპერტები „ლუკოილის“ უზბეკეთში მოსვლას ლოგიკურს უწოდებენ. მათი თქმით, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რამდენად ეფექტურია კომპანიისათვის კანდიმის რესურსების დამუშავება. **„პროექტი ძვირიანია და 800 მილიონის მოცულობის პირდაპირ ინვესტიციას მოითხოვს. ტყუილად კი არ გამოვიდა „იტერა“ იქ მოქმედი პროექტიდან,“** - აცხადებენ ისინი.

„ლუკოილი“ გამოუვალ სიტუაციაში ვარდება. კომპანიას შესაძლოა, არ ეყოს საკუთარი სახსრები ინვესტიციისთვის, თუმცა „გაზპრომის“ იმედები აუცილებლად უნდა გაამართლოს, სესხის აღებაც რომ მოუწიოს. გამოთქმულ ვარაუდს რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც „ლუკოილმა“ მოსკოვის ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე 210 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები გაიტანა **„გაზის პროექტების ინვესტირებისათვის და კომპანიის ვალების რესტრუქტურიზაციისათვის“.** თუმცა, სხვა დამოუკიდებელი მწარმოებლებისაგან განსხვავებით, „ლუკოილს“ უპირატესობა გააჩნია - გაზის ტრანსპორტირებაში მას პრობლემები არ ექნება.

უზბეკეთის მთავრობას არ შეუძლია კანდიმური გაზის მთლიანად რეალიზაცია. ამაში მას „ლუკოილი“ დაეხმარება, ხოლო ამ უკანასკნელს - „გაზპრომის“ სიმძლავრეები. მორალი კვლავ იგივეა: ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირს. ხსენებული პროექტის განხორციელების შემდეგ „ლუკოილს“ მთავრობის პოლიტიკის სწორი გაგებისათვის დიდ მადლობას გადაუხდიან. ამაში ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ.

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**28 ნოემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ლაზოს, შუშის, ზაჰესის, სკოლის, ბიჭვინთის, რევოლუციის, ჯანჯღავას, კაჭარავას, მეხუთე ქუჩის, მიხაკო წერეთლის, ანდრონიკაშვილის, რიონის, სარაჯიშვილის, ლიბანის, ბარალეთის, ჩიქვანაიას, ბაღნარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**29 ნოემბერს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფელ კვესეთის(ნაწილობრივ) მოსახლეობას.

**29 ნოემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
მეგრელაძის, ჩიქოვანის, დელისის, ბუდაპეშტის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.

**29 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ლოტკინის სანერგე მეურნეობის, სუვოროვის, ლამისყანის, ხერთვისის, წერონისის, ლაითურის, ორბეთის, კლდეკარის, ზედამზის, ჟღენტის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# "ახალი გზა" ნარკომანიის პრობლემის გადასაჭრელად

*ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, დღეს საქართველოში 200 ათასამდე ნარკომანია, რაც მოსახლეობის ოთხ-ხუთ პროცენტს შეადგენს, მათი ნაწილი ინფიცირებულია შიდსის ვირუსით. 1997 წლიდან დღემდე შიდსით გარდაიცვალა 111 ადამიანი. მიმდინარე წელს აღმოჩნდა 150 ინფიცირებული, რაც 50 პროცენტით მეტია გასულ წელთან შედარებით. როგორც შიდსისისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში იუწყებიან, შიდსის გავრცელება მთელი საქართველოს მასშტაბით ფიქსირდება, პირველ ადგილზე თბილისია - 240, სამეგრელო - 98, აფხაზეთი - 23 (მათ შორის, სვანეთი და მთის რაჭა).*

ნინო ბერელიძე

საქართველოში შიდსის ინფექციის გარცელების ძირითადი წყარო ნარკომანიაა. ინფიცირებულთა 67 პროცენტი სწორედ ამ გზით დაავადდა, 27 - სექსუალური გზით. საქართველოში უკვე იბადებიან შიდსით ინფიცირებული ბავშვებიც. ამჟამად შიდსის ცენტრში ხუთი ასეთი ბავშვია აყვანილი აღრიცხვაზე. **„მდგომარეობა, მართლაც, საგანგაშოა და დროზე თუ არ ვიფიქრეთ ამაზე, ხვალ გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდებით,** - ამბობს ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრ „ახალი გზის" წარმომადგენელი დალი უშარიძე, - **ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანები ჩვენი საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ ეს ჯგუფი, გარკვეული თვალსაზრისით, დისკრიმინირებულია, რადგან ჩვენს ქვეყანაში ნარკოპოლიტიკა ემყარება დასჯით ტაქტიკას. მოქმედი კანონი მკაცრი და წინააღმდეგობრივია, რაც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების და ანგარებიანი მიზნებით გამოყენების საშუალებას აძლევს. შედეგად, იგნორირებულია ნარკოტიკების მომხმარებელთა ადამიანური უფლებები, დისკრიმინაციის მაღალ დონეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს - ესენია: საზოგადოების ნეგატიური აზრი მათ მიმართ; თავად ნარკომანების გაუცნობიერებლობა საკუთარი უფლებების თვალსაზრისით; იზოლირებისადმი მათი მიდრეკილება, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებასაც. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს გარკვეული ორიენტაცია და გარკვეული კურსი, რომ შეჩერდეს ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ გამოწვეული ზარალის ზრდა. ამისათვის კანონი უნდა გახდეს ლიბერალური და ჰუმანური, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაშია; დაისაჯოს რეალიზატორი და ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისროს მომხმარებელს. ეს ჯარიმა კი დიდი არ უნდა იყოს. დღეს ნარკომანების ხარჯზე ბევრი ორგანოს თანამშრომელი ითბობს ხელს. პორველ შემთხვევაზე აქტის შედგენის შემდეგ ოფიციალური გადასახადი 70-დან 105 ლარამდეა, მაგრამ ხალხს, ძირითადად, 2000-3000 დოლარს ახდევინებენ".**

1 დეკემბერს მთელ მსოფლიოში აღინიშნება შიდსის დღე. ამასთან დაკავშირებით შიდსისისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი რამდენიმე ღონისძიებას გეგმავს - შეხვედრები გაიმართება საქართველოს დიდ ქალაქებში; ამ დღეს თბილისის ქუჩებში ივლის საგანგებო ავტობუსი, საიდანაც ბუკლეტები დაურიგდებათ მოქალაქეებს; იქნება სატელევიზიო დებატები და გაიხსნება დიაგნოსტიკურ-საკონსულტაციო ცენტრი, რათა საზოგადოება საკუთარ უფლებებს უკეთ გაეცნოს.

# ორი დადგენილება - გუშინდელი და მოსალოდნელი ხმაურის მიზეზი

*11 დეკემბრისთვის თბილისის საკრებულოში დიდი აჟიოტაჟია მოსალოდნელი. თუკი ქალაქის მთავრობა ამ დრომდე მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამას ვერ შეიმუშავებს, პასუხი საკრებულოს ხელმძღვანელს მოეთხოვება. „ახალი მემარჯვენეები" ზაზა ბეგაშვილის იმპიჩმენტით იმუქრებიან. ხმაური არც გუშინდელ სხდომას აკლდა. საკრებულოს ოპოზიციურმა ნაწილმა „ნაციონალების" ფრაქციის ხელმძღვანელის ნანული ქაჩიბაიას მიერ გატანილი საკითხი ჩააგდო. ასეთი რამ კი არსებული საკრებულოს ისტორიაში არცთუ ხშირი მოვლენაა.*

ნანა ქადაგიშვილი

2004 წლის 21 სექტემბერს ჩატარებულ სხდომაზე საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ქალაქის მთავრობას 2005 წლის ბიუჯეტის მომზადებამდე მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავება დაევალა. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტი, თითქმის, მზად არის, აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა კი ჯერ არც დაწყებულა. გუშინდელ სხდომაზე საკრებულომ მიიღო ახალი დადგენილება, რომლითაც, ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგობის მიუხედავად, მთავრობას მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამის შესამუშავებლად ვადა 11 დეკემბრამდე გაუგრძელდა. **„მთავრობამ ორ თვეში ვერ შეძლო ამ პროგრამის შემუშავება და 10 დღეში რას მოახერხებს",** - აცხადებენ „მემარჯვენეები" და, საკრებულოს გუშინდელი დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობას საკრებულოს თავმჯდომარეს ზაზა ბეგაშვილს აკისრებენ.

არადა, დაზარალებული მოსახლეობის პრობლემის მოსაგვარებლად სწორი პოლიტიკისა შემუშავებაა საჭირო და ეს, გასულ წლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მიმდინარე წლის მაგალითიდანაც მშვენივრად ჩანს. ქალაქის 2004 წლის ბიუჯეტში ავარიული სახლების აღსადგენად გათვალიწინებული 15 მილიონი ლარიდან 8 მილიონი ბინების სარეაბილიტაციო სამსახურს გადაეცა, დანარჩენი თანხა კი რაიონებზე გადანაწილდა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. თუმცა, განაწილების ამ პრინციპმა არ გაამართლა. მეტი თანხა მიიღო არა იმ რაიონმა, სადაც მეტი ავარიული სახლი იყო, არამედ სადაც მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონმა ავარიული სახლების აღდგენაზე დახარჯა 1, 5 მილიონი ლარი, რითაც 11 სახლის შეკეთება და 30-ის გადახურვა ძლივს შეძლო.

ზემოთ აღნიშნულიგან განსხვავებით, საკრებულოს უმრავლესობამ გუშინდელ სხდომაზე მეორე დადგენილების პროექტის დამტკიცება უკვე ველარ მოახერხა. საკითხი 2002-2004 წლებში შეჩერებული მშენებლობების პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ღონიძიებების შესახებ სხდომაზე „ნაციონალების" თავმჯდომარემ ნანული ქაჩიბაიამ გაიტანა. თუმცა, ამ დადგენილების მეორე პუნქტმა ისეთი ხმაური გამოიწვია, ქაჩიბაიას დიდი წინააღმდეგობის მოუხედავად, საკითხი „ჩავარდა".

აღნიშნული დადგენილების პროექტის პირველი პუნქტი თბილისის მთავრობას (კონკრეტულად, პრემიერ ბიძინა ბრეგაძეს) 2000-2004 წლებში შეჩერებული მშენებლობების საპროექტო დოკუმენტაციის 3 თვის ვადაში შესწავლასა და, სათანადო დასაბუთების საფუძველზე, მშენებლობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ავალებს. მეორე პუნქტი კი, რამაც ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, პირველზე ბევრად „საინტერესო" აღმოჩნდა. **„იმ შემთხვევაში, თუკი შექმნილი ვითარება სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს და, ობიექტურ ფაქტორთა გამო, მშენებლობის ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა ვერ ხერხდება, ეთხოვოს თბილისის მერს, ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსს, ამგვარ მშენებლობებზე შესაბამისი ნებართვების დაშვების დავალება გასცეს",** - წერია დადგენილების მეორე პუნქტში. ე.ი. ქალაქის მერს ერთპიროვნულად შეუძლია, შეჩერებული მშენებლობების ბედი გადაწყვიტოს და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია, მისი მოთხოვნა შეასრულოს. **„ასეთი საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტა როგორ შეიძლება? თანაც, ვინ განმარტავს, რომელი საკითხი მოითხოვს სასწრაფო რეაგირებას და რომელი - არა. წესით, არქიტექტუტის სამსახურმა შეჩერებული მშენებლობების დოკუმენტაცია უნდა შეისწავლოს და საკითხი განსახილველად საკრებულოს წარუდგინოს",** - ოპოზიციური პარტიების ამ მოთხოვნას უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელიც შეუერთდა და, „ნაციონალების" ლიდერის თავგამოდების მიუხედავად, დადგენილების პროექტის განხილვა გადაიდო.

# „დილა„ ასი წლის გახდა

*გუშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიმართა საბავშვო ჟურნალ „დილას" დაარსებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება.*



იური ლობოდინის ფოტო

თამარ ჭაჭანიძე

ჩვენს ბავშვობაში ჟურნალი „დილა" პატარებისთვის, თითქმის, ყველა მშობელს ჰქონდა გამოწერილი. „ბოცოსა და გვანცას მოგზაურობა", დროის მანქანით საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ისტორიაში, ბავშვებისთვის ნახატების სახით წარმოდგენილი პირველი ფანტასტიკური ფილმის კადრები იყო. საბავშვო მოთხრობები, ზღაპრები, ლექსები, სახალისო გაკვეთილები, გასართობი და ათასი სხვა საინტერესო შემეცნებითი მასალით მდიდარი ჟურნალი დღესაც გამოიცემა. წელს მას დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტები, რომელთა უმრავლესობა სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალთან, დიდი სიამოვნებით ულოცავდნენ იუბილეს რედაქციის თანამშრომლებს და მის მთავარ რედაქტორს დოდო წივწივაძეს, რომელიც 1984 წლიდან რედაქტორობს ამ ჟურნალს.

საქართველოში ყველაზე დიდი ტრადიციების მქონე საბავშვო ჟურნალი „დილა" 1904 წელს დაარსდა „ნაკადულის" სახელწოდებით. ეს სათაური ჟურნალს თავად აკაკი წერეთელმა შეურჩია. მისი პირველი რედაქტორი მარიამ დემურია იყო. 1904 წლის ოქტომბრიდან გაზეთები „ცნობის ფურცელი" და „ივერია" ყოველდღე აუწყებდნენ მკითხველს: **„ახალი საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული" სურათებით გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის. თვეში სამი წიგნი: ორი - მცირეწლოვანთათვის და ერთი - მოზრდილთათვის, პედაგოგიური ფურცლის დამატებით".**

„ნაკადულმა" მრავალ ქარტეხილს გაუძლო. ხშირად ჩნდებოდა მისი დახურვის საშიშროება. 1928 წელს ჟურნალს სახელი შეუცვალეს და „ოქტომბრელი" დაარქვეს. 1947 წელს სწორედ ამ საბავშვო ჟურნალში გამოქვეყნდა სტალინის ლექსი სახელწოდებით „დილა", რის შემდეგაც მას ეს სახელი ეწოდა.

„დილას" მრავალი სახელოვანი რედაქტორი ჰყავდა. მათ შორის იყვნენ იოსებ ნონეშვილი, მუხრან მაჭავარიანი, მაყვალა მრევლიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვები.

თაობების საყვარელი ჟურნალი „დილა" ამჟამად ორ თვეში ერთხელ გამოდის სამიათასიანი ტირაჟით. წელს გამოიცა სპეციალური, საიუბილეო, ასი გვერდისგან შემდგარი ნომერი. ასი წლისთავს მიეძღვნა „დილას" „საყმაწვილო ბიბლიოთეკის" ოცტომეულის გამოცემა. „დილას" რედაქცია გამოსცემს საბავშვო ენციკლოპედიური წიგნების სერიასაც. დღეს „დილა" მაღალი პოლიგრაფიული დონითაც გამოირჩევა. მომრავლებულ საბავშვო პერიოდიკას შორის კი ის კვლავ პოპულარული და ყველასთვის საყვარელი ჟურნალია. „24 საათის" რედაქცია უერთდება იმ კეთილ სურვილებს, რაც გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში „დილას" მისამართით გამოითქვა და ულოცავს მას საიუბილეო თარიღს.

# უფრო სუფთა წარმოება

*ევროგაერთიანების ტასის-ის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში უფრო სუფთა წარმოების სტრატეგიაზე დაიწყო მუშაობა. უფრო სუფთა წარმოება - ანუ საწარმოო ნარჩენების ხელახალი გამოყენება და მათი მინიმუმამდე დაყვანა, მსოფლიოში გამოცდილი მეთოდია და, შეიძლება ითქვას, ბიზნესში საკმაოდ სერიოზული ადგილი უკავია. საქართველოში ის ჯერ იდეის დონეზეა და მისი გამოცდა მხოლოდ ორი პილოტური პროექტის ფარგლებში მოხდა.*

ოთარ ქირია

თავს დროზე, როცა საქართველოში პირველად გაისმა უფრო სუფთა წარმოების შესახებ, ბიზნესმენებმა მას ეჭვის თვალით შეხედეს, რამეთუ აღიქვეს, როგორც დამატებითი ხარჯები, გარემოსდამცველების პრეტენზიები და ა.შ. ეს გასაკვირი არც არის, ვინაიდან ანალოგიური გზა გაიარა ყველა განვითარებულმა ქვეყანამაც და დღეს ხშირად ვაწყდებით მაღაზიებსა თუ სალონებში, მაგალითად, დაწნეხილი ნახერხის, თხილის ნაჭუჭის (ე.წ. „ემდეეფი") ან სხვებისგან დამზადებულ ავეჯს ან აქსესუარებს. თუმცა, არც ვაცნობიერებთ, რომ ნივთები დამზადებულია წამოების პროცესში მიღებული ნარჩენების ხელახალი წარმოებით.

**„საქართველოში რომ ნახერხის რაოდენობა იყრება, მსგავსი არსად ხდება. უფრო სუფთა წარმოება ნიშნავს იმას, რომ საწარმოს მიერ გამოყენებული ნედლეულისაგან დარჩენილი მასალები, რომელსაც ვყრით, ხელახლა იქნეს წარმოებაში ჩაშვებული და ახალი პროდუქციისთვის გამოყენებული, რაც სასარგებლოა არა მარტო გარემოს დაცვისთვის, არამედ თავად წამოებისა და, ზოგადად, ბიზნესისთვის. საქართველოს პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ეს პროექტი თავისით არ ხორციელდება და მის დასანერგად საჭიროა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი მოქმედება. რაც შეეხება მთავრობას, მისი წვლილი უფრო სუფთა წარმოების დანერგვაში უნდა გამოიხატოს სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და გატარებაში - კერძოდ, უფრო სუფთა წარმოების ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მაგალითად, გამოცდილების გაზიარების ცენტრების გახსნა, წახალისების მოქმედი მექანიზმის ჩამოყალიბება, ინფორმაციული და მორალური მხარდაჭერა. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა პროექტი წარმატებით განხორციელდეს და უფრო სუფთა წარმოების პრინციპები მალევე გაიზიარონ ქართველმა მეწარმეებმა",** - აცხადებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი თამარ ლებანიძე.

პროექტის ფარგლებში აღნიშნული საქმიანობის დანერგვა საპილოტო გზით მოხერხდა და განხორცილდა ქაღალდის წარმოებასა და ხის მასალის გადასამუშავებელ ქარხანაში. ამ შემთხვევაში, მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა. თუმცა, ექსპერტების განმარტებით, ეს მაინც არ არის საკმარისი. **„კავკასიის გარემოს დაცვითი ცენტრი ამ პროექტის პარტნიორია და მისი უშუალო მონაწილეობა აისახება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში. ჩვენ შევკრიბეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად, რომელ სეგმენტში შეიძლება უფრო სუფთა წარმოების დანერგვა. მომავალშიც ვგეგმავთ რამდენიმე პროექტს ამ კუთხით, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს მხოლოდ გარემოს დაცვის თვალსაზრისით არ არის მომგებიანი. ამასთან, ჩვენ დიდი ბარიერი არ გვაქვს გადასალახი. არსებობს უზარმაზარი გამოცდილება, რომელსაც ევროგაერთიანება და ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები დახმარების სახით გაგვიზიარებენ",** - აცხადებს კავკასიის გარემოს დაცვითი ცენტრის ხელმძღვანელი ნატო კირვალიძე.

რაც შეეხება თავად ევროგაერთიანებას, მისი წარმომადგენელი და ევროკომისიის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჟაკ ფანდომე, რომელიც, ასევე, ესწრებოდა მეტეხში გამართულ კონფერენციას, აცხადებს: **„პროექტი ამ ეტაპისთვის წარმატებულად მიმდინარეობს და აუცილებლად გაგრძელდება, თუმცა მომავალში მეტ ყურადღებას გავამახვილებთ მთავრობის მხარდაჭერაზე, საკანონმდებლო და იურიდიული ბაზის დახვეწის თვალსაზრისით".**

*ფოსტა*

# რა აშფოთებს საპატრიარქოს?!

ბოლო დროს საზოგადოების ყურადღება მიიქცია გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნებულმა წერილმა, სადაც სტატიის ავტორები ეკლესიაში არსებული კორუფციის შესახებ წერენ. სტატიაში მოხსენიებული იყო პატრიარქის მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი, როგორც დიდი გავლენის მქონე პიროვნება საპატრიარქოში. გაზეთში სტატიის გამოქვეყნებას მოჰყვა სწრაფი რეაგირება საპატრიარქოს მხრიდან, რაც გამოიხატა დასახელებული ფაქტების სრულ უარყოფასა და, ასევე, ქალბატონ შორენა თეთრუაშვილის გამართლებაში, რითაც საპატრიარქო კიდევ უფრო აღრმავებს დღეს ქართულ ეკლესიაში არსებულ კრიზისს და, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს მართლმადიდებლური ეკლესიის გახლეჩას.

გაზეთ „24 საათში" დაბეჭდილი მასალის ავტორები ახალგაზრდები არიან - ის მომავალი თაობა, რომელმაც სცადა, ხმა აემაღლებინა და მართალი სიტყვა ეთქვა დღეს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებზე. სტუდენტებს კი ეს გულისტკივილით ნათქვამი, ლამის, სასულიერო აკადემიიდან გარიცხვის ფასად დაუჯდათ - ისინი პირობით დატოვეს. პირობით დატოვებაც საზოგადოების გამოხმაურებამ განაპირობა. სასულიერო აკადემიის სტუდენტებს ხომ არ აქვთ უფლება, პრესასა და ტელევიზიაში გამოთქვან თავიანთი აზრი რექტორის ლოცვა-კურთხევის გარეშე; მით უმეტეს, თუ ეს აზრი განსხვავებულია. ისმის კითხვა: რას ნიშნავს ეს კურთხევა? კურთხევა დიქტატორული მმართველობისათვის საჭირო ატრიბუტია თუ საღვთო მადლმოსილების გამოხატულება?!

დემოკრატია კაცობრიობის მონაპოვარია, ხოლო საპატრიარქომ განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება არა მარტო სასულიერო აკადემია-სემინარიის სტუდენტებს ჩამოართვა, არამედ სასულიერო პირებსაც. სამაგიეროდ აქადაგდნენ ჯონდი ბაღათურია, შალვა ნათელაშვილი, გურამ შარაძე, რომლებსაც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ქართველი ხალხის დამოძღვრის მორალური უფლებაც კი არ აქვთ. მათ მიერ განხილული „პროექტები ეკლესიის დაშლის შესახებ" წარმოადგენს ეკლესიის დღევანდელი პრობლემების აღიარებისა და განხილვისთვის თავის არიდების მცდელობას. წლების განმავლობაში დაგროვილ უარყოფით მოვლენებს გაკიცხვა და აღმოფხვრა უნდა, მათ შორის - კორუფციასაც. ნუთუ კორუფციასთან ბრძოლა თითოეული მოქალაქის ვალი არ არის? ამ ვალდებულების უპირველესი დამცველი ეკლესია არ უნდა იყოს? არ მგონია, მისი დაცვა გამოიხატებოდეს თავისუფალი აზრის და სიტყვის შეზღუდვით, ან სტუდენტებისათვის ერისა და ეკლესიის ღალატში ცილის დაწამებით. თუ ყოველივე ეს შეგნებულად კეთდება, მაშინ სწორედ ესაა დანაშაული და ღალატი არა მარტო სასულიერო პირთა, არამედ ქრისტესმიერ გზაზე ძლივს შემდგარი ქართველი მრევლის წინაშე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საპატრიარქომ ყველაზე სწრაფი რეაგირება მოახდინა კორუფციისა და ქალბატონ შორენა თეთრუაშვილის შესახებ დაწერილ სტატიაზე და დუმილით შეხვდა რამდენიმე თვის წინ გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ჩვენი ქვეყნის მოქმედი მღვდელმთავრები: მეუფე აბრაამი, გრიგოლი და ზენონი საქართველოს იუდებად იყვნენ მოხსენიებულნი. ამის შესახებ საპატრიარქოს არც პრესით და არც ტელევიზიით თავისი აზრი არ გამოუთქვამს. ნუთუ შეიძლება ქვეყნის მოქმედ მღვდელმთავრებს იუდა უწოდონ და ამაზე ეკლესია არ აღშფოთდეს; მეტიც, სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა წერილი გამოაქვეყნეს გაზეთ „24 საათში", სადაც დაგმეს ეს ფაქტი, რის შემდეგაც საპატრიარქოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა სტუდენტებს მისცა შენიშვნა, რომ მათ, ისევ ზემოთ მოხსენიებული ლოცვა-კურთხევის გარეშე, არ ჰქონდათ უფლება, გამოსარჩლებოდნენ თავისი ქვეყნის სამ მღვდელმთავარს.

საპატრიარქოს დუმილი ჩვენთვის გაუგებარია მაშინაც, როცა ღამის კურიერში ინტერვიუს მიცემის შემდეგ ერთი სასულიერო პირი მეორე სასულიერო პირზე ანგარიშსწორებას ახდენს მანქანის დაჯახებით. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოცემულ გაზეთებში იბეჭდება აუარებელი როგორც საღვთისმეტყველო, ასევე, ზნეობრივად დამახინჯებული სტატიები. მაგალითისათვის გამოდგება გაზეთ „მრევლში" გამოქვეყნებული სტატია, რომლის ერთი ციტატა რუსეთისა და მისი მთავრობის განდიდებას ეთმობოდა და, პარალელურად, სირცხვილის ღირსად აცხადებდა საქართველოს და მის მთავრობას. გაზეთი „ერი და ბერი" ასახელებს ანტიქრისტეს სახელსა და გვარს. ჟურნალი „კარიბჭე" გვაცნობს მოძღვარს, თითქმის, მითოლოგიური წარსულით, რომელმაც დედის საშოშივე იცოდა, რომ დიდი მოძღვარი იქნებოდა; ახალგაზრდობაში, სანამ ეკლესიური გახდებოდა, წმ. გიორგი მას მათრახით სცემდა. „საპატრიარქოს უწყებანი" დიდი გატაცებით მოგვითხრობს პრივილეგირებული მღვდელმთავრების მოგზაურობის შესახებ ათონის მთაზე, იერუსალიმში, იტალიაში და ა.შ. ყოველივე ამას კი კითხულობს ცხოვრებისაგან გატანჯული, ნახევრადმშიერი, შიშველ-ტიტველი მრევლი, რომლის ერთადერთი იმედი ღმერთია და არა სასულიერო პირი, რომელსაც აქვს ყველაფერი, რასაც მოისურვებს და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ მან ბევრი ილოცა და ღმერთმა მისცა; ან ღმერთმა მატერიალური ხვავი და ბარაქა იმიტომ მოიღო მასზე, რომ ღვთის სიტყვის მისატანად არ დაბრკოლდეს მატერიალურზე ფიქრით - მრევლს არა უშავს, მატერიალური, თუ გინდ, ნუ ექნება, ხომ ცოცხლობს მოძღვარსდამონებული მისივე „მაღალზნეობრივი" ქადაგებებით.

საპატრიარქო, რომელიც გატაცებულია ძვირფასი ავეჯის შეძენით და დიდი ბანკეტების გადახდით, რა პასუხს გასცემს იმ შემაძრწუნებელ ფაქტს, ან რით ანუგეშებს თავის მრევლს, რომელსაც ბავშვი ნაგავსაყრელზე ეწამლება, ან სახლში შიმშილით უკვდება.

სასულიერო პირების მიერ ნაქადაგები წმ. იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებები მარტო მრევლის დასამოძღვრადაა საჭირო, თორემ წმ. მამების საპატრიარქო ცხოვრება სულ არ წააგავს ჩვენი უმაღლესი სასულიერო იერარქების საპატრიარქო და სამღვდელმთავრო ცხოვრებას. დღევანდელობით გამოწვეული აუცილებლობაა უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებთან შეხვედრები და მისი ლოგიკური დასასრული - ბანკეტები, რომლისთვისაც საჭირო სკამები და მაგიდები სასულიერო აკადემია-სემინარიის მშიერმა სტუდენტებმა უნდა ზიდონ.

ამ ყოველივეზე საპატრიარქო დუმს თავისი ჩვეული სიმშვიდით.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, რომელიც მსხემობს საქართველოში, აქვს უდიდესი დამსახურება ქართული კულტურის, სახელმწიფო თვითშეგნების ჩამოყალიბება-გადარჩენაში. არ შეიძლება, თითოეულ ქართველს, რომელიც თავს მართლმადიდებლად თვლის, არ ტკიოდეს ეკლესიაში არსებული პრობლემები. „საპატრიარქოს უწყებანის" სტატისტიკური მონაცემებით, ასეთ ადამიანთა რიცხვი საქართველოში მოსახლეობის 83 პროცენტია. პროცენტული მაჩვენებელი მეტყველებს, რომ საქართველოს უდიდესი ნაწილი ეკლესიის წევრია. ამრიგად, ეკლესიაში არსებული პრობლემა მთელი ერის ტკივილია.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ჰყავს დიდი პატრიარქი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის ბეწვის ხიდზე გატარებაში, ქართველ ხალხში ეროვნული სულისკვეთების ჩასახვასა და გაღვივებაში. თავისი დამსახურების, ნიჭის, ღირსების, სულიერების, თავმდაბლობის და მიმტევებლობის გამო, იგი შეიძლება შევადაროთ ბიბლიურ აბრაამს და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ამ უმძიმეს ჟამს დავდგეთ მის გვერდით, რადგან ეკლესიაში კრებითობას აქვს დიდი ძალა. ეკლესიის წიაღს მოვაცილოთ ის ადამიანები, რომლებიც ჩრდილს აყენებენ ეკლესიასა და პატრიარქს.

*იღუმენი კირიონი*
*(ზეინკლიშვილი)*
*ზემო ბეთლემის ღვთისმშობლის*
*შობის სახელობის ტაძრის*
*მღვდელმსახური*

**სამუშაო ადგილი: გალის რაიონი - საბერიო; წალენჯიხის რაიონი - ფოცხო-ეწერი;**

ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი აცხადებს ვაკანსიას სამი უმცროსი ინჟინრის თანამამდებობაზე (ჰიდრო-მექანიკოსი ინჟინერი, ინჟინერ-ელექტრიკოსი და მშენებელი ინჟინერი).

**მოვალეობა:**

- ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე და კაშხალზე მიმდინარე საინჟინრო სამუშაოების მონიტორინგი და კოორდინაცია;
- პერიოდული ანგარიშების მომზადება სამუშაოების მიმდინარეობასა და კონტრაქტორების მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით;
- კონტრაქტორების მიერ ჩატარებულ საინჟინრო ტესტებზე ანგარიშების მომზადება;
- პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების და ტექნიკური მასალების თარგმნა ინგისურიდან ქართულზე და პირიქით;
- ნახაზების ანალიზი, გადახრების ან დარღვევების აღმოჩენა და შესაბამისად ანგარიშის წარდგენა;
- პროექტთან დაკავშირებული გარემოს დაცვითი და უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგი;

**მოთხოვნები:**
**კანდიდატები უნდა ფლობდნენ შემდეგს:**

- უმაღლესი განათლება ჰიდროენერგეტიკის დარგში;
- მინიმუმ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება ჰიდროენერგეტიკულ სფეროში, ჰიდროელექტროსადგურების პროექტირების, მშენებლობის და ექსპლუატაციის სათანადო ცოდნა;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების კარგი ცოდნა MS Office, MS Project, Power Point, AutoCad;

**შერჩეული ინჟინრებისგან მოთხოვნილი იქნება:**

- ენგურის ობიექტზე გრძელვადიანი პერიოდებით დარჩენა;
- ნაყოფიერი და გუნდური შრომა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენაზე) შემდეგ მისამართზე enguripiu@caucasus.net - (მიუთითეთ "ვაკანსია").

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 9 დეკემბერი.

მხოლოდ კვალიფიცირებული კანდიდატები იქნებიან მოწვეული ინტერვიუზე. ინტერვიუები გაიმართება თბილისში, 2004 წლის 12-14 დეკემბერს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოში სარჩელი შეიტანა უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებისა და მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ცნობით, სტრასბურგის სასამართლოში ჯავახიშვილის უფლებებს მათი ორგანიზაციის ადვოკატები დაიცავენ. მათივე ინფორმაციით, ადვოკატებმა ჯავახიშვილის საქმეში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს, რამაც, შესაძლოა, პროკურატურა სერიოზულ სკანდალში გახვიოს. არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიციით, ჯავახიშვილის მიმართ დარღვეულია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ისეთი ფუნდამენტალური უფლებები, როგორიცაა ადამიანის უფლება, არ გახდეს წამებისა თუ სხვა არაადამიანური, ღირსების დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი. გარდა ამისა, დარღვეულია უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება და ადამიანის უფლება ეფექტურ დაცვაზე. „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ევროსასამართლო ჯავახიშვილის საქმეს პრიორიტეტს მიანიჭებს და დაიწყებს საქმის სწრაფი ტემპით განხილვას, რადგან იგი ციხის აუტანელ პირობებში, უკანონო პატიმრობაში იმყოფება. როგორც ცნობილია, ნოდარ ჯავახიშვილი ორი წლის წინ მის მიერ მომხდარი ავტოავარიის გამოა დაკავებული, რომელსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**საჩხერე.** საჩხერის პოლიციამ სოფელ სავანეთის მეფრინველეობის ფაბრიკის გაქურდვის საქმე გახსნა და ეჭვმიტანილები დააკავა. მეფრინველეობის ფაბრიკა სამი დღის წინ გაიქურდა. ბოროტმოქმედებმა დიდი ოდენობით ქონება გაიტაცეს. დაკავებულებს - სოფელ სავანეთში მცხოვრებ ვალერი გეგეშიძეს, გიორგი ლობჟანიძეს, ანდრო ქავთარაძეს და ვასილ ქიმაძეს სამართალდამცველებმა ფაბრიკიდან წაღებული სხვადასხვა საქონელი საკუთარ საცხოვრებელ სახლებში აღმოუჩინეს. ოთხივე პიროვნების მიმართ სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლის I ნაწილით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაცია „ენა, მამული, სარწმუნოების“ თავმჯდომარე, ყოფილი პარლამენტარი გურამ შარაძე თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, 15 დღეს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს N1 იზოლატორში გაატარებს და ჯარიმის სახით 2.400 აშშ დოლარს გადაიხდის. როგორც ცნობილია, სასამართლომ შარაძეს თავისუფლება ხულიგნობის მოტივით აღუკვეთა. გურამ შარაძე სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ მისი ქმედება იყო „სრულიად გამჭვირვალე და გასაგები, რასაც არავითარი სანქციები და სასამართლო პროცესების გამართვა არ სჭირდება“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყალბი დოკუმენტების გამოყენების ფაქტზე სარფის საბაჟოზე ხაშურში მცხოვრები ქალი დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლისას ნანული ღამბაშიძემ საბაჟოზე ნაილი ფერაძის სახელზე შევსებული ყალბი პასპორტი და პირადობის მოწმობა წარმოადგინა. ღამბაშიძის მიმართ ყალბი დოკუმენტების გამოყენების მუხლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26 ნოემბერს თბილისში, იოსელიანის ქუჩაზე მცხოვრებმა, 38 წლის ნოდარ გოგლიძემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ნოდარ გოგლიძე საცხოვრებელი სახლის მე-13 სართულიდან გადმოხტა, შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ჯგუფს ის გარდაცვლილი დახვდა. როგორც ნოდარ გოგლიძის მეზობლები ამბობენ, გარდაცვლილს ადრეც ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, მაშინ მისი გადარჩენა მოახერხეს. **მედია-ნიუსი**

# დიპლომატიური კორპუსი შსს-ში მიმდინარე რეფორმით კმაყოფილია

*საქართველოს შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა პოლიციაში მიმდინარე რეფორმის შესახებ ანგარიში საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს ჩააბარა.*



ბესო გულაშვილის ფოტო

*ირაკლი ოქრუაშვილის მოხსენებით, ანუ სტრუქტურაში მიმდინარე რეფორმით დიპლომატიური კორპუსი კმაყოფილი დარჩა.*

პოლიციის საზოგადოებასთან დაახლოება, ადამიანის უფლებების დაცვა, შსს-ს გარდაქმნა სამოქალაქო უწყებად, საპოლიციო სტრუქტურების ოპტიმიზაცია და შემცირება, პოლიციის ორგანოების სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით საზოგადოებრივი საბჭოების სისტემის შექმნა, პოლიციის ორგანოების ეტაპობრივი დეცენტრალიზაცია და დემილიტარიზაცია, მუნიციპალური პოლიციების შექმნა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შსს-ს სტრუქტურებში ინტეგრაცია, შინაგანი ჯარის რეორგანიზაცია და მოქნილი ჟანდარმერიის სისტემის ჩამოყალიბება, ერთიანი საგამოძიებო სტრუქტურის შექმნა, შსს-ს საკადრო სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და, რაც მთავარია, რეფორმის უმთავრესი მონაპოვარი - საპატრულო პოლიციის შექმნა და მისი ეფექტურად ამუშავება, - ასეთი გახლავთ მოკლე ჩამონათვალი იმ დიდი სარეფორმო გეგმისა, რომლის პრეზენტაციაც რეფორმის დამწყებმა შს მინისტრმა დიპლომატიური კორპუსისთვის გამართა.

ირაკლი ოქრუაშვილის მოხსენებით, ანუ სტრუქტურაში მიმდინარე რეფორმით დიპლომატიური კორპუსი კმაყოფილი დარჩა. „ეს არის წარმატებული რეფორმა,“ - უცხოელ დიპლომატთა მიერ ასე შეფასდა ქართულ პოლიციაში მიმდინარე მასშტაბური ცვლილება, რომლის შემდგომი დაფინანსების თაობაზე უცხო ქვეყნის ელჩებმა დაპირებები არ დაიშურეს.

რეფორმის რევოლუციური შედეგების გამო, პირველი პრაქტიკული დახმარება საქართველოს შსს-მ ამერიკის მთავრობისგან უკვე მიიღო. ახალი პროექტის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის სასწავლო პროგრამები და შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები ამერიკის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. შეკეთდება აკადემიის ტერიტორიაზე მდებარე ორი სასწავლო შენობა და ორი ყაზარმა. გარდა ამისა, ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებიც უკვე თბილისში იმყოფებიან, აკადემიის კურსანტებს მოამზადებენ.

საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის განცხადებით, ამერიკა შენობების რეკონსტრუქციისთვის 1 მლნ დოლარს გაიღებს, ხოლო ახალი პროგრამების შედგენა-განხორციელებისათვის - 500 ათას დოლარს.

*24 საათი*

# ადვოკატი გამოძიების ობიექტურად წარმართვას ითხოვს

ფოთიდან ჩამოსულმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გუშინ ჟურნალისტის სახლში პრესკონფერენცია გამართეს და ფოთისა და სენაკის პროკურატურები გამოძიების ტენდენციურად წარმართვაში დაადანაშაულეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავშირი დემოკრატიული საქართველოსთვის“ ბრალდების საფუძველს შპს „იზავერის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის თემურ წულაიას საქმე წარმოადგენს. ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, შარშან 7 ივნისს თემურ წულაია მისივე პარტნიორმა რეზო ლულუამ და კრიმინალურმა ავტორიტეტებმა გაიტაცეს იმისათვის, რომ წულაიას უარი ეთქვა შპს „იზავერში“ თავის კუთვნილ წილზე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, თემურ წულაიამ და რევაზ ლოლუამ შპს „იზავერი“ 1997 წელს დააფუძნეს. ფირმა გადაზიდვებზე მუშაობდა. ერთ თვეში, ისე, რომ თემურ წულაიამ არაფერი იცოდა, რევაზ ლოლუამ 50-პროცენტიანი წილი მას შეუმცირა და მხოლოდ 25 პროცენტი დაუტოვა, 2002 წელს კი ლოლუამ და ახალმა მეწილემ აკაკი ლეკვეიშვილმა წულაიას „იზავერი“ საერთოდ დაატოვებინეს.

თემურ წულაიამ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო გარკვევა, რატომ გამოაძევეს ის მომგებიანი საწარმოდან. წულაიას ადვოკატის დავით კაკუბავას განცხადებით, ამის გამო თემურ წულაია გაიტაცეს და 2003 წლის 7 ივნისს მისივე პარტნიორმა რევაზ ლოლუამ და კრიმინალური წრის წარმომადგენლებმა იძულებით მოაწერინეს დოკუმენტზე ხელი, რომელშიც აღნიშნული იყო, თითქოს ის უარს აცხადებს შპს „იზავერის“ წილზე.

ადვოკატისვე ნაამბობის თანახმად, ყოველივე ამის შემდეგ თემურ წულაიამ მიმართა ფოთის პროკურატურას, რათა აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე რევაზ ლოლუას წინააღმდეგ, რაც დაკმაყოფილდა, მაგრამ გამოძიება მიმდინარეობდა ტენდენციურად, სწორედ ამის გამო ფოთის პროკურატურას აცილება მიეცა და საქმე სენაკის პროკურატურას გადაეცა. თუმცა, დაზარალებული მხარის მტკიცებით, ამას გამოძიების პროცესში არსებითი ცვლილება არ შეუტანია, გარდა იმისა, რომ :

**„მოპასუხე მხარე ეწევა მანიპულირებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარით კოტე კემულარიათი და ჯემალ ინაიშვილით და ემუქრება დაზარალებულს, რომ ისინი ვერაფერს გახდებიან, ვინაიდან კოტე კემულარია მათი ახლობელია. საქმეში ასევე ჩართული არიან ერთ-ერთი უმსხვილესი გადამზიდავი კომპანია „ბარვილ ჯორჯიას“ დირექტორი აკაკი ლეკვეიშვილი და სავაჭრო სამრეწველო პალატის მთავარი ექსპერტი ფოთში სოსო წულაია. ყოველდღიურად გრძელდება დაზარალებულის მიმართ ფსიქოლოგიური ტერორი, დაშინება, სატელეფონო მუქარა. თემურ წულაია 4 თვეა, ახლობლებთან აფარებს თავს,“** - აცხადებს ადვოკატი დავით კაკუბავა.

მანვე წარმოადგინა ის დოკუმენტები, რომელზეც წულაიას ხელი იძულებით მოაწერინეს.

ადვოკატის განცხადებით, გამოძიებამ საქმეში არსებული თითქმის ყველა დოკუმენტი გააყალბა და პროკურორები საქმის სამართლიანად შესწავლას არ აპირებენ. მისივე თქმით, ყოველდღიურად გრძელდება დაზალარებულების მიმართ ფსიქოლოგიური ტერორი და სატელეფონო მუქარა.

ორგანიზაცია „კავშირი დემოკრატიული საქართველოსათვის“ მოითხოვს, რომ სენაკის პროკურატურას საქმის აცილება მიეცეს და იგი გენერალურ პროკურატურას გადმოეგზავნოს.

*24 საათი*

# კორუფციასთან მებრძოლი, კორუფციაში ამხილეს

*გუშინ უშიშროების სამინისტროს კახეთის რეგიონულმა განყოფილებამ, კორუფციასთან მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, ამასთანავე ადგილობრივი პროფკავშირების ორგანიზაციის თავმჯდომარე და ტრანსპორტისა და გზების რესპუბლიკური კომიტეტის რწმუნებული კახეთის მხარეში, საგარეჯოელი გივი რევაზიშვილი დააკავა. მის მიმართ საქმე თაღლითობის მუხლით აღიძრა.*

ზვიად რუაძე
კახეთი

კახეთის რეგიონში პირველი შემთხვევა არ არის, როცა სამართალდამცველების სამიზნედ სწორედ ისეთი ადამიანები ხდებიან, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასა და კორუმპირებული ჩინოვნიკების გამოვლენას თავადვე იჩემებენ. გუშინ, უშიშროების სამინისტროს კახეთის განყოფილების თანამშრომლებმა საგარეჯოს რაიონის სოფელ ზაგრამის მკვიდრის, ვუგარ რადიგოვის განცხადების საფუძველზე, საგარეჯოს რაიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციული და ადამიანის უფლებების დაცვის კავშირის“ წევრი გივი რევაზიშვილი თაღლითობაში ამხილეს. სამართალდამცველებმა რევაზიშვილი სწორედ მაშინ დააკავეს, როცა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი რადიგოვისგან ქრთამს იღებდა.

**„დაზარალებულმა ვუგარ რადიგოვმა განცხადებით მიმართა უშიშროების სამინისტროს საგარეჯოს განყოფილებას, რომ მას ანტიკორუფციული ორგანიზაციის წევრი გივი რევაზიშვილი იძულებით და მოტყუებით სძალავდა ფულს. განმცხადებლის თქმით, რევაზიშვილი მას ეუბნებოდა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ რადიგოვი რევაზიშვილს ყოველთვიურად 500 ლარს გადაუხდიდა, პრობლემა არ ექნებოდა. ბოლოს კი ისინი 200 ლარზე შეთანხმდნენ,“** - აცხადებს უშიშროების სამინისტროს კახეთის განყოფილების უფროსის მოადგილე საშა გახარია.

საგულისხმოა, რომ დაზარალებულ რადიგოვს სოფელ იორმუღალნოს სასოფლო სამეურნეო ბაზრობასთან სასადილო აქვს გახსნილი. რაც შეეხება დანაშაულში ეჭვმიტანილ გივი რევაზიშვილს, იგი, გარდა იმისა, რომ ანტიკორუფციული არასამთავრობო როგანიზაციის წევრია, ადგილობრივი პროფკავშირების რაიონული ორგანიზაციის თამჯდომარეც გახლავთ და ტრანსპორტისა და გზების რესპუბლიკური რწმუნებულიც კახეთის მხარეში. არასამთავრობო ორგანიზაციაში კი რევაზიშვილი რამდენიმე კვირაა, რაც გაწევრიანდა.

„ანტიკორუფციული და ადამიანის უფლებების დაცვის კავშირის“ თავმჯდომარე ნიკო ოსიყმაშვილი რევაზიშვილის დაკავებას მავანთა პირად ინტერესებს უკავშირებს და ამბობს, რომ მისი ორგანიზაციის წევრი უსაფუძვლოდ არის დაკავებული. ოსიყმაშვილის თქმით, რევაზიშვილის დაკავების ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ მათმა ორგანიზაციამ რამდენიმე ხნის წინ რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე და სოფლის თავკაცები კორუფციაში ამხილა: **„გივის დაკავებას სწორად ამას ვუკავშირებ, რადგან პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩვენ, ამ ორგანიზაციაში მომუშავეებს, გამგეობიდან და საკრებულოდანაც არაერთხელ დაგვიპირისპირდნენ. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ გივი ჩვენი არასამთავრობოს სახელით მოქმედებდა, უსაფუძვლოა, რადგან მე მას შევხვდი და მითხრა, რომ ვუგარ რადიგოვი თავისი სურვილით უხდიდა რევაზიშვილის თანხას პროფკავშირებში გასაწევრიანებლად,“** - ამბობს საგარეჯოს „ანტიკორუფციული და ადამიანის უფლებების დაცვის კავშირის“ თავმჯდომარე ნიკო ოსიყმაშვილი.

დანაშაულში მხილებული გივი რევაზიშვილი ამ დროისთვის კვლავ უშიშროების სამინისტროს საგარეჯოს რაიონის განყოფილებაში იმყოფება. მის მიმართ კი საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიძრა.

# პარლამენტმა "პატიმრობის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები მიიღო

საქართველოს პარლამენტის დღევანდელი გადაწყვეტილებით, საპყრობილეები 400 პატიმრით განიტვირთება. პარლამენტმა დღეს მესამე მოსმენით მიიღო „პატიმრობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ადგილს განსაზღვრავს.

მოქმედი კანონმდებლობით, დაპატიმრებულის მოთავსება შესაძლებელია მხოლოდ საპყრობილის სპეციალურ საპატიმრო განყოფილებაში. როგორც ცვლილებათა პროექტის ავტორები აცხადებენ, დღეისათვის საპატიმრო განყოფილებებში მოთავსებულ პატიმართა რაოდენობა ბევრად აჭარბებს დასაშვებს და ეს საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. კანონპროექტის ავტორებს მაგალითად N1 საპყრობილეში შექმნილი მდგომარეობა მოჰყავთ, სადაც პატიმართა რაოდენობა 1000-ით აღემატება ნორმას.

დღეიდან შესაძლებელი გახდება საპატიმრო განყოფილებებიდან იმ პატიმრების გადაყვანა, რომელთა საქმეები უკვე განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ და რომლებმაც სასამართლო განაჩენი გაასაჩივრეს. ამით თავიდან იქნება აცილებული სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმის განხილვისას პატიმრის თვეობით გაჩერება საპატიმრო განყოფილების მძიმე პირობებში. სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში გადაყვანილ პატიმარს კი შეუნარჩუნდება ის პირობები, რაც პატიმრობაში ყოფნისას ჰქონდა დადგენილი.

კანონპროექტის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, წერილობითი პროტესტით შეაჩეროს პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.

კანონპროექტი მოქმედებს მხოლოდ 2007 წლის 1 იანვრამდე, სანამ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უცხოელი დონორების დახმარებით სასჯელაღსრულების დაწესებულებების მშენებლობას დაასრულებს. ამ დაწესებულებების ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი გახდება ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარება.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აღნიშნული კანონპროექტი ერთ-ერთმა ავტორმა - გიგა ბოკერიამ წარადგინა.

*ინტერ-პრესი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

## ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგეტიკა

## გუშინ, დღეს, ხვალ

# საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულებით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციები

საქართველოს მთავრობის მიერ, 2004 წლის 21 მაისის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულება, რომელიც სახელმწიფო დოკუმენტს წარმოადგენს ქვეყნის ენერგოსექტორში სისტემური სახელმწიფოებრივი მართვის განასახორციელებლად.

ენერგეტიკის სამინისტრო საბიუჯეტო ორგანიზაციაა, რომლის დაფინანსების წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს.

სამინისტროს მმართველობის ამოცანას წარმოადგენს, ენერგეტიკის სექტორის ეფექტური ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება და დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ, მათი განხორციელების კოორდინაცია; ენერგეტიკის, როგორც ერთიანი ტექნიკურ-ეკონომიკური კომპლექსის, სისტემური სახელმწიფოებრივი მართვა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სექტორის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, მისი მდგრადი ფუნქციონირება და ენერგოდამზოგავი პოლიტიკის განხორციელება.

ენერგეტიკაში პრიორიტეტული დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და კომპეტენციის ფარგლებში მისი განხორციელების ზედამხედველობა.

მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად, ენერგეტიკის სექტორში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

ენერგეტიკის დარგის თავისებურებათა გათვალისწინებით რესტრუქტურიზაციისა და რეფორმების პოლიტიკის შემუშავება; პრივატიზების პროცესის ოპტიმალურად წარმართვისა და პრივატიზების ერთიანი გეგმის შემუშავების მიზნით ენერგეტიკის სექტორში პრივატიზების დარგობრივი პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.

მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

დარგის ფუნქციონირებისა და განვითარების შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფისათვის ხელშეწყობა და კოორდინაცია.

ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება და დადგენილი წესით განხორციელება.

განახლებადი ენერგიის ათვისებისა და გამოყენების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა და დარგის განვითარების ხელშეწყობა.

ენერგეტიკის სექტორის ლიცენზიატებსა და უცხო ქვეყნების ელექტროენერგეტიკულ საწარმოებს შორის ურთიერთობის დამყარებისა და ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სატრანზიტო და ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობათა ხელშეწყობა.

ენერგეტიკის სექტორში საგარეო კავშირ-ურთიერთობების დამყარება კომპეტენციის ფარგლებში.

ენერგეტიკის დარგში რესტრუქტურიზაციისა და ძირეული ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და შესაბამისად, საქართველოს ენერგორესურსების ბაზარზე კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა. დარგში პრივატიზების გეგმის შემუშავებასა და საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განსაზღვრაში მონაწილეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

საგანგებო სიტუაციებისათვის სახელმწიფო ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავება.

ენერგეტიკის სექტორში განსაკუთრებული მნიშვნელობის დარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების, ენერგოდაზოგვის, ეკოლოგიური და ენერგოუსაფრთხოების საკითხების საერთო კოორდინაცია.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე, პრეზიდენტთან შეთანხმებით ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. მინისტრი უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

მინისტრი, როგორც სამინისტროს ხელმძღვანელი, უზრუნველყოფს სამინისტროს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას, წარმართავს და კოორდინაციას უწევს სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა საქმიანობას, აწესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს.

პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, კანონების, პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებაზე.

პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ბიუჯეტის პროექტზე, იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზნობრივად შესრულებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხარჯთა ნუსხას, ახორციელებს მისი შესრულების კონტროლს და, აუცილებლობის შემთხვევაში, იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ.

ადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა სტრუქტურასა და საქმის წარმოების წესს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დადგენილია მინისტრის ბრძანების ზემდგომი სამართლებრივი აქტებით.

პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს.

ასრულებს მისთვის კანონმდებლობით, პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

პერსონალურად აგებს პასუხს საქართველოს მთავრობის წინაშე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, ასევე პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესრულებისათვის, რომლებიც სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება.

კანონით განსაზღვრული წესით თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ზედამხედველობს მათ შესრულებას.

დადგენილი წესის მიხედვით ამტკიცებს სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა დებულებებს, რომელთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს მთავრობის სპეციალურ რეესტრში.

მინისტრს შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებებით და განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი.

კომისია იქმნება სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხების მოსამზადებლად. კომისიის ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს კომისიის შექმნისას განსაზღვრავს მინისტრი.

კომისია იქმნება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება კომისიის ამოცანები, თავმჯდომარე (საჭიროების შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე) და წევრები, ამოცანის შესრულების ვადა და მომსახურე სტრუქტურული ქვედანაყოფი.

კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს სხვა სამთავრობო დაწესებულების მოსამსახურე ამ დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობით. კომისიის მუშაობაში შეიძლება თავიანთი თანხმობით ჩაბმულ იქნენ პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები.

სამინისტროს შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

ა) ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტი;

ბ) საერთაშორისო ურთიერთობისა და სატრანზიტო პოლიტიკის დეპარტამენტი;

გ) მომპოვებელ დარგთა დეპარტამენტი;

დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ე) ენერგეტიკული პროექტების საფინანსო დეპარტამენტი;

ვ) ეკონომიკური დეპარტამენტი;

ზ) კანონშემოქმედებისა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი;

თ) "საქნახშირის" დეპარტამენტი;

სამინისტროს გამგებლობას დაქვემდებარებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა "ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი".

ენერგეტიკის სამინისტროს დებულების ძირითად პუნქტებს იმიტომ ვაქვეყნებთ, რომ საზოგადოებამ იცოდეს, რა ფუნქციები გააჩნია და რა შედის სამინისტროს კომპეტენციაში.

# რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს ზამთარში ელექტროენერგიის გარეშე დარჩენა ემუქრება

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ამ მთიანი რეგიონების მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხს, სასიცოცხლო მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ზამთარში ენიჭება, რადგან დიდთოვლობის გამო, სოფლების უმეტესობა ბარს მოწყვეტილია.

სამწუხარო და გულდასაწყვეტია ის გარემოება, რომ ხალხის შრომით, წლების მანძილზე, ურთულეს რელიეფურ პირობებში გაყვანილი ელექტროგადამცემი ხაზები, უყურადღებობისა და მოუვლელობის გამო სავალალო მდგომარეობაშია.

გარდა იმისა, რომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, მოსახლეობა, ელ.ენერგიის უმწვავესი დეფიციტის გამო, უმკაცრეს გრაფიკზეა, ახლა, გადამცემი ხაზების ავარიულობის გამო, შესაძლოა, მთელი რეგიონი, საერთოდ, შუქის გარეშე დარჩეს მთელი ზამთრის განმავლობაში. ამის თქმის უფლებას, ახლახან, ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმება გვაძლევს, რის შედეგადაც, საკმაოდ მძიმე სურათი დაიხატა.

ენერგეტიკის მინისტრის დავალებით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში შესწავლილ იქნა შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კუთვნილი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების უკიდურესად ავარიული მონაკვეთების ტექნიკური მდგომარეობა. ეს ობიექტებია 1. 35 კვ-ის ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ) "წესი" (ქ/ს "ამბროლაური" - ქ/ს "სორი"); 2. 110 კვ-ის ეგხ "ქვიშარი" (ლაჯანურჰესი - ქ/ს "ჭრებალო"); 3. 35 კვ-ის ეგხ "მური" (ქ/ს "ცაგერი" - ქ/ს "ლენტეხი"); 4. 35 კვ-ის ეგხ "ტვიში" (ლაჯანურჰესი - ქ/ს "მექვენა"); 5. 35/10 კვ-ის ქ/ს "სადმელი"; 6. 35/10 კვ-ის ქ/ს "ცაგერი"; 7. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის კუთვნილი, ქ/ს "მექვენადან" გამომავალი 10 კვ-ის ეგხ.

მდგომარეობა იმდენად კრიტიკულია, რომ 2004-2005 წ.წ. ზამთრის პერიოდში მოსალოდნელია მათი დაზიანება, რომლის შედეგადაც ელექტროენერგია შეუწყდებათ ცაგერის, ლენტეხის, ონის და ნაწილობრივ, ამბროლაურის რაიონებს, რის შესახებაც 2003-2004 წლებში, არაერთხელ არიან ინფორმირებულები "ელექტროსისტემის" რაჭის ფილიალისაგან, მათი ზემდგომი ქართველი და ირლანდიელი ხელმძღვანელები, მაგრამ მათ რაიმე გადაწყვეტილება, აღნიშნული ავარიული კერების აღმოსაფხვრელად, არ მიუღიათ. კონკრეტულად, ტექნიკური მდგომარეობა ზემოთ მოყვანილ ობიექტებზე ასეთია:

**1.** 35 კვ-ის ეგხ "წესი" (ქ/ს "ამბროლაური" - ქ/ს "სორი"). ამ ელ.გადამცემი ხაზის N2 ანძა დგას მეწყრულ ზონაში; ორი ფუნდამენტი ფერდობის მხარეს, თითქმის, ჰაერშია. ანძა ორჯაჭვაა: ერთი 35 კვ-იანი, ხოლო მეორე კი 10 კვ-იანი, რომელიც კვებავს ამბროლაურის რაიონის სადისტრიბუციო კომპანიის სოფლებს სოფ. წესამდე. ამ ანძის დაზიანების შემთხვევაში, ელ.ენერგია შეუწყდებათ ონისა და ამბროლაურის რაიონების სოფლების ნაწილს. ფუნდამენტი სასწრაფოდ მოითხოვს გამაგრებას.

**2.** 110 კვ-ის ეგხ "ქვიშარი" (ლაჯანურჰესი - ქ/ს "ჭრებალო"). ამ ხაზით, ძაბვის ქვეშ დგება 110/10 კვ-ის ქვესადგური "ჭრებალო", რომელიც ელ.ენერგიით კვებავს ამბროლაურის რაიონის ნაწილს. ავარიული მდგომარეობაა N16 ანძაზე, რომელიც მდებარეობს ქუთაისი - ამბროლაურის საავტომობილო გზის სოფ. საირმის მონაკვეთზე. ანძა ასდ-110 ტიპისაა, კუთხურია, ფუნდამენტი მორყეულია, ადგილი დამეწყერილია, რის გამოც ანძა გადახრილია 20-25 გრადუსით. ამ ანძის წაქცევით, გარდა იმისა, რომ ელ.ენერგია შეუწყდება "ჭრებალოს" ქვესადგურს, შეიძლება უბედური შემთხვევაც მოხდეს. საჭიროა, ფუნდამენტის გამაგრება, ანძის გასწორება და საპროექტო ორგანიზაციის გადაწყვეტილება, ანძის გადატანის შესახებ.

**3.** 35 კვ-ის ეგხ "მური" (ქ/ს "ცაგერი" - ქ/ს "ლენტეხი"). აღნიშნული ხაზით ძაბვას მთელი ლენტეხის რაიონი იღებს, ქ/ს "ჯახუნდარას" ჩათვლით, რადგანაც 110 კვ-ის ეგხ "მუაში" (ლაჯანურჰესი - ქ/ს "ჯახუნდარა") შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დისპეტჩერიზაციის სამსახურს სულ გამორთული აქვს. ამ ხაზის N67 ანძა, რომელიც მდებარეობს ცაგერიდან ლენტეხისკენ მე-18 კმ-ზე "პ"-ს მაგვარია, მისი საყრდენის ორ ფეხს შორის გადის ცაგერი - ლენტეხის საავტომობილო გზა. ანძა ხისაა, გადახრილია და ეყრდნობა ფერდობს; თოვლიანი ზამთრის პირობებში იგი წაიქცევა. საჭიროა, სასწრაფოდ, საპროექტო და საამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად, მიღებული იქნას სპეც. გადაწყვეტილება N66-67-68 ანძების ამ უბანზე შეცვლის შესახებ.

**4.** 35 კვ-ის ეგხ "ტვიში" (ლაჯანურჰესი - ქ/ს "მექვენა"). ამ ხაზით იკვებება ცაგერისა და წყალტუბოს რაიონის სოფლები. იგი აშენებულია მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე, შედგება 86 საყრდენისაგან, რომელთა შორის 69 საყრდენი ხისაა. აქედან 50 საყრდენი დამპალია და მათი ექსპლოატაცია დაუშვებელია. ლაჯანურჰესიდან გამომავალი, სოფ. ალპანის ტერიტორიაზე "პ"-ს მაგვარი ანძა დახრილია 60 გრადუსამდე. მოსალოდნელია ზამთარში მისი წაქცევა, რის გამოც ძაბვა შეუწყდება ლეჩხუმის 15 სოფელს. N197 ანძა ქუთაისის გზაზე, სადისტრიბუციო კომპანიის ქვესადგურთან, კუთხურია, ანკერები მავთულითაა დაქაჩული, საყრდენებს შორის კავშირი გახსნილია, ზოგიერთი დამწვარია. ამავე ტერიტორიაზე, მთის ფერდობზე მდებარე N196 ანძის ტრავერსა გატეხილია, საყრდენი ავარიულია. N202 ანძა უკიდურესად კრიტიკულ მდგომარეობაშია, ტრავერსები ნახევრად დამწვარია, ფაზაში ოთხი იზოლიატორიდან - სამი დამსხვრეულია, ყოველ წუთს, ამ მიზეზით, მოსალოდნელია ხაზის ავარიული გამორთვა, იზოლატორების გირლიანდა, ხის სიდამპლის გამო, დამაგრებულია მავთულით.













**5.** 35/10 კვ-ის ქ/ს "სადმელი" - 35 კვ-ის ეგხ "ძირაგეულზე", რომელიც აღნიშნულ ქვესადგურს აკავშირებს ამბროლაურის ქვესადგურთან, დაზიანებულია ზეთიანი ამომრთველი, რის გამოც, ეს ხაზი, ყრუდ არის მიერთებული 35 კვ-ის სალტეზე, შესუსტებულია ამ კვანძის იმედიანობა. საჭიროა შპს ძსაქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" გამოყოს სატრანსფორმატორო ზეთი ამომრთველისათვის, ხოლო ადგილობრივმა სპეციალისტებმა შეასრულონ სარემონტო სამუშაოები.

**6.** 35/10 კვ-ის ქ/ს "ცაგერი"; 35 კვ-ის მხარეზე არ დგას ძაბვის ტრანსფორმატორი, არ არის მისთვის არც ფუნდამენტი და არც რაიმე კონსტრუქცია; თუმცა დასაყენებელი ადგილი ტერიტორიაზე არის. ამის გამო უკონტროლოა ლენტეხის რაიონის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობა - რაოდენობა, რადგანაც 35 კვ-ის ეგხ "მურზე" დაყენებულ ელ.ენერგიის მრიცხველს ძაბვა მიეწოდება ძალოვანი, 10 კვ-ის ძაბვის ტრანსფორმატორიდან. ტრანსფორმატორის გამორთვის ყველა შემთხვევაში, მრიცხველს ძაბვა აღარ მიეწოდება და ჩერდება, აღურიცხავი რჩება ლენტეხის რაიონის ქვესადგურებზე მიერთებული სოფლების მიერ მოხმარებული ელ.ენერგია. საჭიროა შპს ძსაქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" უმოკლეს დროში გადაწყვიტოს ეს პრობლემა.

ელექტროენერგიის აღრიცხვაა მოსაწყობი ქ/ს "ჯახუნდარაში" 110 კვ-ის ეგხ "მუაშზე", რადგანაც ლაჯანურჰესიდან კვების შემთხვევაში გაკონტროლდეს ლენტეხის რაიონის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია.

**7.** სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის კუთვნილი 10 კვ-ის ეგხ-ის N2 ანძა (ქ/ს "მექვენიდან" გამომავალი), რომელიც ეკუთვნის წყალტუბოს რაიონის ენერგოკომპანიას, ავარიულ მდგომარეობაშია, ხის ტრავერსა დამწვარია, ბალახებისაგან გასაწმენდია.

**8.** სადისტრიბუციო კომპანიის კუთვნილი 10 კვ-ის ეგხ-ის, ანძა ფორაშის ჭალასთან, რომელიც კვებავს ცაგერის რაიონის სოფლებს, ხისაა, მორყეულია და გადახრილია 30 გრადუსით. ზამთრის პირობებში, დიდთოვლობის დროს, მოსალოდნელია მისი წაქცევა, რის გამოც მასზე მიერთებული მომხმარებელი დარჩება ძაბვის გარეშე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სემეკის 2002 წლის სექტემბრის N13 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2002 წლის 5-დან 25 დეკემბრამდე შემოწმდა ელ.ენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიების პირობების მოთხოვნათა შესრულება, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი დეპარტამენტის სპეციალისტები. დაიწერა აქტი - მიწერილობა და დასახული იქნა შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა დამთავრებულიყო 2003 წელს. "ელექტროსისტემის" მაშინდელმა ხელმძღვანელობამ და მართვაში მოსულმა უცხოელებმა, არათუ 2003 წელს, არამედ დღემდე ვერ მოახერხეს დასახული ღონისძიებების შესრულება, რის გამოც კვლავ მძიმე მდგომარეობაში რჩება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ელექტრომომარაგება.

*მოწოდებული მასალების საფუძველზე გვერდი მოამზადა ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა*



სერენადები კამერული ორკესტრის თანხლებით

B2



რა ხდება "რეალის" თავს?

ივან ელგერა გვარწმუნებს, რომ საშიში არაფერია

B4



რევოლუციას სიყალბე საიდან შეეპარა?!

B6

ნომრის სტუმარი

# ტენდენცია - რევოლუციის სახელით - უნდა დასრულდეს

პირველი გვერდიდან

**- რა არის თქვენთვის თელავი?**

- როგორც ჰემინგუეი პარიზზე წერდა - განუყრელი დღესასწაული. ბევრი საუკეთესო მეგობარი მყავს თელავში. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იქ შემორჩენილი სატახტო კულტურაა. ეს იგრძნობა ყველაფერში - დიზაინიდან დაწყებული, ცხოვრების წესით დამთავრებული. თელავს ჯერ არ დამუქრებია და არც დაემუქრება ის, რაც თბილისს დაემართა - სტაფილოსფერი კედლები, შუშის ავეჯი, წერტილოვანი განათება, კმაყოფილი სახეები და სახვითი ხელოვნების რამდენიმე ნიმუში იმის დასტურად, რომ ხელოვნების მსახურია...

**- როცა თელავში არ ხარ, სად ხარ?**

- ვარ სახლში, ვმუშაობ ახალ წიგნზე, რომელსაც "სალვე" დავარქვი. ეს სიტყვა ჩემი ძველი სახლის სადარბაზოში ეწერა. წიგნის მხატვარი გუგა კოტეტიშვილის ვაჟი ტატოა - ახლგაზრდა ფოტოხელოვანი. კიდევ, ჩემს უფროს მეგობრებთან ერთად გამომცემლობა "მერანში" ვმუშაობ. მხარი მინდა დავუჭირო უკვე არსებულ პროექტებს. ერთ-ერთი ასეთი ვახუშტი კოტეტიშვილს აქვს - ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშების გამოცემა და თუ შევძელით, უკანასკნელი 30 წლის მონაკვეთის ქართული პოეზიის ანთოლოგიის შედგენაც გვინდა.

**- გარდა პერიოდიკისა, თუ გაქვთ საგამომცემლო საქმიანობის გამოცდილება? გაუძლებთ ამ ბიზნესში არსებულ კონკურენციას?**

- კონკურენციაში ჩაბმის განზრახვა არც მაქვს. ზოგ გამომცემლობას, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ - ჩემთვის მიუღებელი ხასიათის გამოცემები აქვს. შეიძლება, ეს შემოსავლიანია, მაგრამ არ მინდა, რომ ამ გამოცემებით დავინტერესდე. მირჩევნია, გამომცემლობამ თავი შეინახოს და თანამედროვე საზოგადოებას სულიერი საზრდო, ჭეშმარიტი ფასეულობები მიაწოდოს, ვიდრე ბულვარით, ან ეროტიკით დავინტერესდე...

ამ გამომცემლობამ იმდენი არამომგებიანი წიგნი გამოსცა, რომ კიდევ ერთი წიგნი, რომელიც თავის თავს ვერ აანაზღაურებს, გამომცემლობას დაანგრევს.

**- ახალი ჰიმნი ხალხისგან დამოუკიდებლად აღარ არსებობს. ის ბევრმა სხვადასხვა სტილის მომღერალმა შეასრულა და ის დღეს პოპულარულია. არის ეს ის, რაც საკუთარ თავს ჰიმნის ტექსტზე მუშაობისას მოსთხოვე?**

- ბევრი ქვეყნის ჰიმნები შევისწავლე. მიმაჩნია, რომ სწორია, როდესაც საქართველოს ახალი დროშა კი არ შეუქმნეს, არამედ - აღადგინეს. გარდა ბრწყინვალე ესთეტიკური ფასეულობისა, დროშის აღდგენა მნიშვნელოვანი იმითაც არის, რომ ხაზს უსვამს ჩვენს დიდ სახელმწიფოებრივ ისტორიას. დროშა თავად აჩვენებს, რომ არ ვართ შემთხვევითი ქვეყნის შვილები.

ასევეა გერბიც - გამოცხადდა იდეა, რომ ახალ გერბს ძველი უნდა დადებოდა საფუძვლად. ვინაიდან საქართველოში სახელმწიფო ჰიმნს ღრმა ისტორიული ფესვები არა აქვს, ახალი უნდა შექმნილიყო. გადავწყვიტე, რომ ჰიმნი ქართული კულტურის საგანძურით დაწყებულიყო. ბევრი ვიფიქრე და ეს სტრიქონები, "ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა", მივიჩნიე მართებულად. ამაში როგორც ქართველის, ისე ზოგადად - ადამიანის ძალიან დიდი ფიქრი და სწორი პოზიცია ჩანს. შემდეგ დავყევი მოცემულობას და მუსიკალური ნაწარმოების მოთხოვნებს.

**- რა იპოვე საერთო განსხვავებული ისტორიისა და კულტურის ქვეყნების ჰიმნებს შორის? რამდენად ჩანს აწმყო ამ ტექსტებში და მომავალსაც თუ შეესატყვისება ეს ჰიმნი?**

- ამის თქმა, სამუდამოა თუ არა ეს ჰიმნი, ნამდვილად არ შემიძლია და არც ის ვიცი, რამდენ წელს გაუძლებს. რაც თავად განვიზრახე, ის ერთ დღესა და ერთ წელიწადზე არ არის გათვლილი. ტექსტი დროსა და სივრცეში უნდა ყოფილიყო გავრცობილი და მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მონაკვეთის ამსახველი სტრიქონები არ უნდა ყოფილიყო. არ ვიცი, როგორ წარიმართება საქართველოს წუთისოფელი, მაგრამ თუ გაგრძელდა ასეთი "სვლა მამულისა", ცვლილება არ დასჭირდება.

სხვა ქვეყნის ჰიმნებთან აერთიანებდა ის, რომ ტექსტი მარტივი, ადვილად დასამახსოვრებელი უნდა ყოფილიყო. შეიძლება, პოეზიაში არის ტექსტი, რომელიც ძალიან ღირებული და გენიალურია, მაგრამ ჰიმნისთვის არ არის გამოსადეგი. რა თქმა უნდა, ყველა ჰიმნში დევს არა მხოლოდ მომავლის, არამედ აწმყოს რწმენა და წარსულის განცდაც. შეგნებულად გამოვიყენე "ორ ზღვას შუა". თავისი გენიალურობის გამო საბავშვო ტექსტივით ჟღერს და ამ ფრაზით გაჟღენთილია ქართველი. მერე მისაყვედურეს - აღარ არის ორ ზღვას შუაო - მე არ დამიწერია, რომ არის კიდით კიდემდე-მეთქი. საქართველო დამცრობილი, მაგრამ ორ ზღვას შუა ისევ არის.

აი, ეს არის ჩემი ნაშრომი, ის, რაც ჰიმნისთვის ვარგისად მიმაჩნდა. ჩვენში, პოლიტიკაშიც, ხელოვნებაშიც - არიან ადამიანები, ვისაც აქვთ ვნება, რომ საქართველოს ისტორია მათით უნდა დაიწყოს. მაგრამ, ეს ასე არ არის - არსებობს კულტურული საგანძური და ისტორია. თუ არ დარჩა მარადიული ფასეულობები, ვაი, იმ საზოგადოებას და იმ დროებას. გარდა ამისა, განცდა - ჩემი დრო მოვიდა და სხვისი წავიდა - არაჯანსაღია. არავის დრო არ მიდის და არც არავისი მოდის - ჩვენ ყველანი ქრისტე ღმერთის დროში ვართ გავრცობილები და ლექსის პირველ სტრიქონად ამიტომ მოექცა აკაკი წერეთლის ეს სიტყვები.

**- ის, რაც ჰიმნის შექმნას მოჰყვა - კმაყოფილებაც და უკმაყოფილებაც, ქილიკიც და აგრესიაც - ალბათ, ბუნებრივია. ახლა, როდესაც ადამიანებმა ჰიმნი მიიღეს და მან სიცოცხლე შეიძინა, ოპონენტები გაჩუმდნენ?**

- ის აჟიოტაჟი კანონზომიერი იყო. ბოდიშს ვიხდი, არ მინდა, ვინმეს ხსოვნას ჩრდილი მივაყენო, მაგრამ არ შემხვედრია არც ერთი ნაცნობი, რომელმაც ძველი ჰიმნის ან ტექსტი იცოდა ან - მელოდია. გაჩნდა ჰიმნის დამახსოვრების "საფრთხე" და ყველა ერთნაირად რატომ უნდა აღტაცებულიყო? ბევრი ფაქტი მახსენდება - ჩვენში კარგ ძეგლსაც საპროტესტო აჟიოტაჟი მოჰყოლია, მაგრამ დრო რომ გადის, ადამიანი მას სხვა თვალით უყურებს. ჰიმნი შექმნის წუთიდან არ იწყებს არსებობას. ის ემოციურად რაიმე წარმატებას, გამარჯვებას, მნიშვნელოვან სიახლეს უნდა დაუკავშირდეს.

**- ჰიმნმა უნდა უმღეროს ქვეყანას. ემოციის ეს მუხტი დიდხანს გაჰყვება ხალხს, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობს?**

- რა თქმა უნდა, ემოცია ყოველდღიურ ცხოვრებას უნდა გაჰყვეს თან, ყოველთვის რევოლუციური პათოსით ცხოვრება საშინელება იქნება. რევოლუცია უნდა დამთავრდეს. იმ დღეებმა ემოციურად მომცა ის განწყობა, რომ ჰიმნზეც მემუშავა. კონკურსი ძველ ხელისუფლებას რომ გამოეცხადებინა, ნამდვილად არ მივიღებდი მონაწილეობას - უცვლელობის, დეპრესიულობისა და ჭაობის განწყობაში სურვილი არ მექნებოდა, რაიმე მონაწილეობა მიმეღო ჰიმნის შექმნაში.

შეიძლება, ბევრი რამ არ მოგვწონს, მაგრამ ცვლილებაში პროგრესი ნამდვილად დევს და არა მგონია, უცვლელობაში პერსპექტივის რაიმე ნიშან-წყალი ჩანდეს. ბოდიშს კი ვიხდი გამეორებისთვის, მაგრამ მართლა ასე მიმაჩნდა, რომ იმ ხელისუფლებას კონფლიქტი ჰქონდა კალენდართან. გარე სამყაროში სხვა საუკუნე იყო და ჩვენ სხვა საუკუნე გვედგა. ის, რაც საქართველოში ხდებოდა, ამორფული და ყოველგვარი სივრციდან ამოვარდნილი იყო. ცვლილებისკენ საზოგადოება თავად იყო მოწოდებული. საზოგადოებამ შეიძლება, ბევრი რამ მოითმინოს, დათმოს, აიტანოს, მაგრამ საათის გაჩერებას - არ აიტანს.

**- ამ სოციალურ-პოლიტიკურ რევოლუციას კულტურული რევოლუცია არ უნდა მოჰყვეს?**

- ვფიქრობ, რომ ეს იყო კულტურული რევოლუცია. როგორც წარმართავენ საქმიანობას პოლიტიკოსები და ეკონომისტები, ისე გამოჩნდა პერსპექტივა სოციალურ ყოფაში. სწორედ აქ არის გადასადგმელი რევოლუციური ნაბიჯები ან შეიძლება, ევოლუციური ნაბიჯებია საჭირო?!

შემთხვევითი არ იყო, რომ ავანგარდში არტისტული საზოგადოება გამოვიდა (არტისტულში არ ვგულისხმობ მხოლოდ იმას, ვინც ლექსს წერს, ან ხატავს, ან სცენაზე დგას - ვგულისხმობ ჩვეულებრივ ნიჭიერ ადამიანებსაც, რომლებიც საოცრად საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ). პოლიტიკოსები ადვილად ლანძღავენ და იმეტებენ ერთმანეთს. ჩემი აზრით, "ვარდების რევოლუცია" არტისტულმა მუხტმა, ემოციამ და ნიჭმა განაპირობა. თუ მაშინდელი ხელისუფლების სათავეში მდგომმა პოლიტიკოსებმა ვერ გაბედეს ისეთი ზომების მიღება, რომელიც ვარდებს გულზე დაგვაყრიდა, სწორედ არტისტული საზოგადოების გამო იყო, თორემ ერთმანეთს ადვილად გაუბედავდნენ.

**- ანუ, სამოქალაქო საზოგადოებად ქცეულ არტისტულ საზოგადოებას ვერ გაუბედეს?**

- არტისტულმა საზოგადოებამ შექმნა სამოქალაქო საზოგადოების ნიადაგი და ასპარეზი. პოლიტიკოსი იმით არის მახვილგონიერი და ალღოიანი, თუ როგორ ლავირებს არტისტული საზოგადოების ტენდენციებთან... არ ვგულისხმობ აპრიორულ მხარდამჭერებს, რომლებიც ყველა დროში არსებობენ და როგორც აღმოჩნდა, ბევრ მათგანს ცვლილება უნდოდა და ბევრს - ჩანაცვლება. ეს ცალკე განსჯის თემაა და ამისთვის არასდროს არ მოვიცლი. თავის ბედს ყველა გაჭედავს.

**- სამოქალაქო საზოგადოებიდან ბევრმა თანამდებობები მიიღო და ხელისუფლებაში გადაბარგდა. ზოგჯერ ეს ცუდი არ არის. რატომაც არა - სცადონ, მაგრამ გაჩნდა ვაკუუმი?**

- შეიძლება, გარკვეულ ეტაპზე გაჩნდა, რადგან მცირე გამონაკლისის გარდა, ახლანდელი ხელისუფლება ოპოზიციისგან დაკომპლექტდა. ახლა ეს ვაკუუმი აღარ არის, ნელ-ნელა ივსება და ეს აუცილებელიც არის იმიტომ, რომ ვაკუუმის ადგილს ხშირად პროფანები იკავებენ ხოლმე და ეს არ უნდა გახანგრძლივდეს.

**- ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებას ჩამოუყალიბდა იმუნინეტი, განასხვავოს, ვინ პროფანია, ვინ - არა.**

- ასეა. სამზარეულოსა და შუშაბანდებში ხალხი აღარ ჩაიკეტება. როდესაც რკინის ფარდა დაუშვეს, ხალხი დახვრიტეს, ან გადაასახლეს, ხოლო ვინც არ გადაასახლეს, საკუთარი სახლის სარდაფებში ჩაასახლეს. ამის მიუხედავად, ამ ხალხმა სამზარეულოში და შუშაბანდებში ჩურჩულით მუდმივი ფასეულობები საბჭოთა ქარცეცხლში გამოატარა და იმათი დამსახურებაა, თუ ოდესმე საზოგადოებას დავემსგავსებით. ახლა არავინ არსად აღარ შეიკეტება, ვინც არ უნდა მოინდომოს მათი შეკეტვა.

**- რას ამჩნევ, საზოგადოებრივი აზრის როგორი მიმღეობა აქვს ხელისუფლებას?**

- მათ ემოციური განცდა აქვთ და ეს სწორი არ არის. რაიმე საკითხის მიმართ, რომელიც სახელისუფლებო გადაწყვეტას ითხოვს, ჩვენ შეიძლება გვქონდეს ემოციური განცდა, მაგრამ ხელისუფლება კიდევ უფრო მძაფრი ემოციით არ უნდა გვპასუხობდეს. გონიერი ხელისუფლება საზოგადოების მიერ გამოთქმულ აზრზე დაფიქრდება. თუ ხელისუფლებაში ხარ, უნდა ამაყობდე, რომ იმნაირი ქვეყნის ხელისუფლებაში ხარ, სადაც კარგი საზოგადოება არსებობს.

**- კულტურის სფეროს ცვლილებების შესახებ რას იტყოდი?**

- ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა იმდენად დიდია თავისი მნიშვნელობითა და ღირებულებით, რომ ძალზე განვითარებული ქვეყნის დაფინანსებას საჭიროებს, ეს კი ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ჯერჯერობით, ღარიბი ქვეყანა ვართ, მემკვიდრეობა კი მდიდარი ქვეყნის მოსავლელი გვაქვს...

რაც მომეწონა - კულტურის სამინისტროში პერიოდული სალიტერატურო პრესის დასაფინანსებელი კონკურსი მოეწყო...

**- "ქომაგი" კონკურსში მონაწილეობდა?**

- არა, ვერ წარვადგინე, დრო არ მქონდა. თანამედროვე ქართულ ხელოვნებას ყურადღება რომ მიექცა, კარგია, ოღონდ ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი და იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება. ძალიან გააქტიურდა აგრეთვე ძეგლთა დაცვის საბჭოც. იყო პერიოდი, როცა ვეხვეწებოდი, შეკრებილიყვნენ და საკუთარი მოსაზრება გამოეთქვათ იმ სახელისუფლებო ტენდენციაზე, რომელიც აშკრად ვნებდა კულტურული მემკვიდრეობის საქმეს.

**- რევოლუციის მერე ჯერ ქალაქის მერობას გთავაზობდნენ, მერე - კულტურის მინისტრობას და კიდევ სხვა თანამდებობებსაც. რატომ არ დათანხმდი, ქალაქი და კულტურა - ორივეზე ხომ შეგტკივა გული?**

- ჩემს ხელისუფლებაში არწასვლას რამდენიმე არგუმენტი აქვს - თავისუფლებისთვის დრო მინდა და შეიძლება, ხასიათიც არის ასეთი - შემოთავაზებულ ჩარჩოებს ვერ ვეგუები. როცა პოსტზე მიდიხარ, ბუნებრივია, რაღაც წესი უნდა მიიღო. შემოქმედებისთვის საჭირო დრო ხელისუფლებაში ყოფნას მიაქვს. გამოცდილი მაქვს - საათობით ვიჯექი მთავრობის კრებებზე, სადაც ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი საკითხები იხილებოდა, ეს ჩემთვის კოშმარი იყო - არც ენერგეტიკის მესმის, არც ბოჭკოების. გარდა ამისა, ასეთი ხასიათიც მაქვს - შეიძლება, გამახსენდეს, რომ თელავში თოვლი მოვიდა და გიჟივით მომინდეს იქ გაქცევა. ყველა ჩემს გიჟურ წადილს ვერც პრეზიდენტს შევუთანხმებ, ვერც პარლამენტის თავმჯდომარეს და ვერც პრემიერს, ეს უხერხულია.

**- როცა იყავი მინისტრი და დეპუტატი, მაშინ როგორ ახერხებდი ამას?**

- ჰოდა, ვერ მოვახერხე. ერთი არგუმენტი ისიც არის, რომ მინდოდა, შექმნილიყო პრეცედენტი (თუ ამას ფასი აქვს) იმისა, რომ შეიძლება, სრულიად უანგაროდ ჩაება ბრძოლაში.

**- ეს წელი კარგი იყო, თუ ცოტა დროა გასული შეფასებისთვის?**

- ცოტაც არის და ბევრიც... ხელისუფლების მკაფიო პორტრეტის ჩამოყალიბებისთვის ეს ცოტა დროა. არის ტენდენციები, რომელიც არ მომწონს, მაგალითად - როცა ხელისუფლების მხრიდან ულმობლობას ვხედავ. შეიძლება, ადამიანი სრულიად მიუღებელი იყოს საზოგადოებისთვის, მაგრამ ხელისუფლება ვალდებულია, იმ ადამიანის მიმართაც იყოს სამართლიანი.

ზემოთ ვთქვი, რომ ეს კულტურული რევოლუცია იყო, რადგან საზოგადოებასა და ძველ ხელისუფლებას შორის კულტურული კონფლიქტი იყო, რამაც ეს "ვარდების რევოლუცია" ასაზრდოვა. დღეს ტენდენცია - რევოლუციის სახელით - უნდა დასრულდეს და უნდა გაგრძელდეს თვისობრივი, კულტურული ცვლილებები. გამოთქმას - "რევოლუციის მთავარი გმირი იყო ქართველი ხალხი" - ვიზიარებ, ოღონდ კიდევ უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ მთავარი მოქმედი პირი იყო ქართული საზოგადოება. ხელისუფლების მხრიდან ხალხზე აქცენტირება სახიფათოა - ხალხმა შეიძლება პიროვნება ჩაქოლოს, საზოგადოება კი პიროვნებას იცავს. თანაც საზოგადოება, რომელიც ფერფლიდან აღდგა და ათწლეულებიან ტერორს გამოტარებული ღირსება რევოლუციის დღეებში მთელი სიგრძე-სიგანით გააჟღერა. ხელისუფლების ფრაზეოლოგიიდან საზოგადოება არ უნდა გაქრეს.

როცა თვისობრივ ცვლილებაზე ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს მარადიული ფასეულობების ეჭვით ყურებას. მაგალითად, გოგებაშვილისეულ უნიკალურ მიგნებას, რომ ბავშვი "დედა ენის" შესწავლას ერთი ასო-ბგერით კი არ იწყებს, არამედ წინადადებით "აი ია", სამუდამო მოფრთხილება სჭირდება; და იმას, რომ ახალგაზრდა პროფანი მოხუც მასწავლებელზე უკეთესი არ არის იმით, რომ ის ახალგაზრდაა. ვერც უნიჭო ახალგაზრდა უსწრებს ნიჭიერ ასაკოვანს.

რევოლუცია უნდა დამთავრდეს. ვინ სად იდგა, მხოლოდ ეს არ არის კრიტერიუმი. იმიტომ, რომ შეგნებული საზოგადოება იქვე სვამს მეორე შეკითხვას - რისთვის იდგა?! ეს მეორე შეკითხვა უხერხულობას ბევრს შეუქმნის.

**- მაგრამ, რევოლუციის შემდეგ მტკიცე და რადიკალური ნაბიჯების გარეშე სიტუაცია კონტროლს აღარ დაექვემდებარება...**

- მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან სიმტკიცე და აგრესია. კულტურული სივრცე აგრესიის ერთადერთ გამოვლინებას - "კრავის აგრესია"-ს იცნობს. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიზარდოს მგლების აგრესიაში, რადგან ეს არა მარტო სცილდება კულტურულ გარემოს, არამედ მტრობს მას.

რაც მომწონს, ჯარისადმი დამოკიდებულების შეცვლაა. სულ მინდოდა, ქართველ ოფიცერს სიამაყით ეტარებინა მუნდირი და დღეს ხელისუფლებისგან ამის ინიცირება ხდება. ოფიცრობა ყოველთვის იყო ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი. მინდა, რომ საქართველოში სამხედრო არისტოკრატია შედგეს, რადგან არისტოკრატია მაინც სამხედროა. მე თუ ჩემი ქვეყნიდან რაიმე შემოსავალი ან მოსავალი მეკუთვნის, სიცოცხლის ფასადაც ვიცავ ქვეყანას და ეს წილი მართლა მეკუთვნის. დღეს ადამიანი გამჩენს არ წყევლის იმიტომ, რომ სამხედროა - მხოლოდ იმას არ ვგულისხმობ, რომ აქვს საკვები და ჩასაცმელი (ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს). სამხედრო კაცს დღეს ემოციური მუხტი აქვს და კიდევ მეტი მუშაობაა საჭირო, რათა საზოგადოებამ ისინი დააფასოს. წინა წლებში, ვისაც თავზეხელაღებული ნაბიჯის გადადგმა და თავგანწირვა შეეძლო, დავწყევლეთ, ყველა ერთ ქვაბში მოვხარშეთ და საფლავებში ცუდად ჩავძახეთ. გამოძახილიც შესაბამისი მოვიდა. ახლა იწყება იმის სწავლა, რომ სამხედრო სხვა მხნეობისა და სულიერების მატარებელი უნდა იყოს და საკვებთან და ჩასაცმელთან ერთად განათლებაც, სულიერებაც უნდა მივცეთ.

**- ერთი ბანალური შეკითხვა - რას გრძნობ, როცა ჰიმნს უსმენ?**

- ძალიან ემოციური განცდა მაქვს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის შექმნაში მივიღე მონაწილეობა. ყველაზე მძაფრი ემოცია ზვიადაურის გამარჯვებისას აჟღერებულმა ჰიმნმა მომცა. ნატალია ქუთათელაძემაც არაჩვეულებრივად შეასრულა ჰიმნი გიორგობას, პარლამენტის წინ. მომწონს კლიპიც - სკოლის მოწაფე რომ იწყებს და დიდი მომღერალი, პაატა ბურჭულაძე ასრულებს თავისი ხავერდოვანი ხმით. საესტრადო მუსიკოსებიც სერიოზულად მიუდგნენ ჰიმნის შესრულებას და ეს მახარებს - ეს ჰიმნია და ყველასია. ერთის თქმა ნამდვილად შემიძლია - დღეს საქართველოს ჰიმნი აქვს.

> ჰიმნი შექმნის წუთიდან არ იწყებს არსებობას. ის ემოციურად რაიმე წარმატებას, გამარჯვებას, მნიშვნელოვან სიახლეს უნდა დაუკავშირდეს.

> მხარდამჭერები ყველა დროში არსებობენ და როგორც აღმოჩნდა, ბევრ მათგანს ცვლილება უნდოდა და ბევრს - ჩანაცვლება.

> ხალხმა შეიძლება, პიროვნება ჩაქოლოს, საზოგადოება კი პიროვნებას იცავს. თანაც საზოგადოება, რომელიც ფერფლიდან აღდგა და ათწლეულებიან ტერორს გამოტარებული ღირსება რევოლუციის დღეებში მთელი სიგრძე-სიგანით გააჟღერა.

> ვინ სად იდგა, მხოლოდ ეს არ არის კრიტერიუმი. იმიტომ, რომ შეგნებული საზოგადოება იქვე სვამს მეორე შეკითხვას - რისთვის იდგა?! ეს მეორე შეკითხვა უხერხულობას ბევრს შეუქმნის.



ბესო გულაშვილის ფოტო

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 ქვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## გამოფენები

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა (ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე" (გამოფენა-გაყიდვა)

**TMS**
ნინო ყვავილაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ტექსტილი)

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქრისტიანობის 2000 წელიწადი"

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
"ზამთარი ჩვენს სახლებში"

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ალექსანდრე"
ფასი: 6-14 ლარი (სეანსების მიხედვით)
დას: 12:00; 15:00; 18:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ალექსანდრე"
ფასი: 6-14 ლარი (სეანსების მიხედვით)
დას: 12:00; 15:30; 19:00; 22:15 სთ.

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა
ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი
ფასი: 3-7 ლარი, ლოჟა 15 ლარი
დას: 12:00; 15:00 სთ.

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი
გაეტანო დონიცეტი
"დონ პასკუალე"
დას: 18:00 სთ.

## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რევაზ გაბრიაძე
"ჩვენი პატარა ქალაქი"
რეჟისორი: ზაზა მიქაშავიძე
დას: 18:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
(ოტია იოსელიანის "ექვსი შინაბერასა და ერთი მამაკაცის მიხედვით")
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
დევიდ გერი
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
ფასი: 5 ლარი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"გველის-მჭამელი"
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"მონადირე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3,5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"კარმენ!"
მარინა ჯანაშიას საავტორო სპექტაკლი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
მუსიკალური საღამო
დას: 18:00 სთ.

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
ემილ ზოლა
"ტერეზა რაკენი"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სერენადები კამერული ორკესტრის თანხლებით

მადი სერებრიაკოვა

*ლიანა ისაკაძის მოსმენა ბორჯომში არავის გაჰკვირვებია, თბილისში კი გამოჩენილი მევიოლინე საკმაოდ ძვირი მოსასმენია. წელს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი 40 წლისთავს აღნიშნავს და ეს თარიღი უკვე არაერთხელ იზეიმეს. გუშინდელი კონცერტიც ზეიმის გაგრძელება იყო. ამჯერად დღესასწაული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვიწრო წრეში აღინიშნა. საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი სამხატვრო ხელმძღვანელ ლიანა ისაკაძესთან და მთავარ დირიჟორ იუსტუს ფრანცთან ერთად წარდგა.*





გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის 40 წლის იუბილე უკვე არაერთხელ იქცა მითქმა-მოთქმის საგნად. საქმე იმაშია, რომ 40 წლის წინათ დაარსებული ორკესტრის ძირითადი შემადგენლობა ამჟამად გერმანიის ქალაქ ინგოლშტატში მოღვაწეობს. მათი ადგილი კი საქართველოში ახალმა ორკესტრმა დაიკავა, რომელსაც ლიანა ისაკაძემ ჩაუყარა საფუძველი და წლების მანძილზე დიდი მონდომებით ცდილობს ახალგაზრდა ორკესტრის შემოქმედებითი სახის დახვეწას. ორკესტრის ზრდას ბორჯომის ყოველწლიურ საერთაშორისო ფესტივალზე ვადევნებთ თვალყურს. ამ უკანასკნელს სწორედ საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი მასპინძლობს. ორი წლის წინათ, იუსტუს ფრანცი სწორედ ბორჯომის რიგით მეორე ფესტივალისთვის ჩამოვიდა საქართველოში და ცოტა ხნის შემდეგ, ორკესტრის მთავარი დირიჟორის თანამდებობაც შეითავსა.

სახელმწიფო კამერულ ორკესტრსა და იუსტუს ფრანცს მანამდეც ჰქონდათ შემოქმედებითი ურთიერთობა. 1990 წელს ლიანა ისაკაძემ ორკესტრი სწორედ იუსტუს ფრანცის დახმარებით წაიყვანა შლეზვიგ-ჰოლშტაინის ფესტივალზე. ფრანცი ამ უკანასკნელის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელიც გახლავთ.

გუშინდელი კონცერტის პირველი ნაწილი ტრადიციულ კლასიკურ პროგრამას დაეთმო: ბახის "ბრანდერდერბურგის კონცერტი" (N5) და მოცარტის კამერული კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. იუსტუს ფრანცი ტრადიციულად დირიჟორისა და პიანისტის ამპლუას ითავსებდა. "ბრანდერბურგის კონცერტის" შესრულებისას სოლისტებად ორკესტრის წევრები ხათუნა თუშმალიშვილი და ნუგზარ კიკნაძეც მოგვევლინენ.

მეორე განყოფილებაში ლიანა ისაკაძემ ტრადიციულად "რაღაც არატრადიციული" შემოგვთავაზა. ბერნსტაინის "სერენადა" პლატონის დიალოგების ("ნადიმის") მიხედვითაა შექმნილი და ოდნავ ჯაზური ჟღერადობითაც გამოირჩევა. ბერნსტაინმა და "სერენადას" ისაკაძისეულმა ინტერპრეტაციამ საკადრისი ეფექტი მოახდინა. მევიოლინემ ბისზე ბახის "ჩაკონას" ახლებური ვერსიაც შეასრულა, რომელიც თავად ისაკაძემ გადაამუშავა.

გუშინდელ კონცერტზე ლიანა ისაკაძე და კამერული ორკესტრი ტრადიციული სპონსორის "ბორჯომის" დახმარების გარეშე წარდგა ქართველი მსმენელი წინაშე. საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი ჩაენაცვლა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალიც გამოიცვლის მასპინძელსა და ფორმატს - ამას მომავალი გვიჩვენებს.

# „არიელით" გარეცხილი ბასტიენას მაქმანები

### კონსერვატორიის საოპერო სტუდია ორმაგ პრემიერას მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

*"არიელი", "ბლენდამედი", "ცივი ჩაი" ყაზბეგისგან... რა საერთო უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს მეთვრამეტე საუკუნის ოპერასთან? ამ კითხვაზე პასუხს მიიღებთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც 26 და 28 ნოემბერს პერგოლეზის "მოახლე ქალბატონისა" და მოცარტის "ბასტიენი და ბასტიენას" მიხედვით შექმნილი საოპერო კიჩის პრემიერა შედგება.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მახვილგონივრული გამოსავალი გამოუვალი სიტუაციიდან – "საოპერო კიჩი" პერგოლეზის "მოახლე ქალბატონის" თემაზე.*

ბოლო დროს კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში მუშაობა გაცხოველდა. ყოველ სეზონზე პრემიერის (ზოგჯერ არაერთის) გამართვის უფლებას ჯერჯერობით საოპერო თეატრიც ვერ აძლევს თავს, თუმცა, მასშტაბები, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. კონსერვატორიის საოპერო სტუდია სპექტაკლს, ფაქტობრივად, ცარიელ ადგილზე ამზადებს: 50 წლის წინანდელი დეკორაციებითა და კოსტიუმებით, რომელიც უკვე არც ერთ ეპოქას, არც ერთ სტილს და, საერთოდ, არანაირ თეატრალურ ესთეტიკას აღარ მიეკუთვნება. რაც შეეხება საოპერო სტუდიის დასს, ის მუდმივად ცვალებადი ორგანიზმია. უცვლელი, ძირითადად, მხოლოდ ორკესტრია. თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყველაზე მწვავედ სწორედ ამ ორკესტრის დეფიციტი იგრძნობა: არ ტარდება საკმარისი რაოდენობით რეპეტიციები, სტუდენტი-სოლისტები ვერ ასწრებენ ორკესტრთან შემღერებას და ა.შ.

ასეთი რესურსებით სრულფასოვანი სპექტაკლის შექმნა თითქმის წარმოუდგენელია, თუმცა, ზოგჯერ ეს მაინც ხერხდება. ახალგაზრდული ენთუზიაზმი, როგორც ჩანს, უფრო ძლიერია, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი რესურსები, უფრო სწორად, მათი ნაკლებობა. საშემოდგომო სეზონზე საოპერო სტუდიამ მორიგ პრემიერას უმასპინძლა. პერგოლეზის "მოახლე ქალბატონი" და მოცარტის "ბასტიენი და ბასტიენა" ერთ კონცეპტუალურ ჩარჩოში რეჟისორმა მაია გაჩეჩილაძემ გააერთიანა (თუმცა, ამ ორი სპექტაკლის ერთად შესრულების პრეცედენტები მანამდეც არსებობდა) და საკუთარი სპექტაკლი "საოპერო კიჩად" მონათლა. მახვილგონივრული გამოსავალი გამოუვალი სიტუაციიდან ასე დაგვირგვინდა: ბასტიენა მაქმანებს "არიელით" რეცხავს, ბასტიენი "ყაზბეგის" "ცივ ჩაის" სვამს, ორივე ერთად კი ბლენდამედით იხეხავს კბილებს. ხუმრობა იქით იყოს და, ეს ყველაფერი, უდავოდ, ღირს ნახვად.

სპექტაკლი იწყება კომიკური სცენით, რომელიც არც პერგოლეზის ეკუთვნის და არც მოცარტს. ეს კონსერვატორიის სტუდენტებისა და უფროსი კოლეგების საოპერო სტუდიაში მუშაობის ტიპური სცენაა: ზოგი წუწუნებს, ზოგი იცინის, ზოგს კი სიმღერა მოსწყურებია. სცენურ მოქმედებაში ერთვება თავად რეჟისორი, მას მომავალი სპექტაკლის შემსრულებლებიც ემატებიან. არც სარეკლამო პაუზა და ანონსები ავიწყდებათ. ბოლოს და ბოლოს, საქმეში პერგოლეზი ერთვება.

"მოახლე ქალბატონი" პერგოლეზის ყველაზე ცნობილი ოპერა და ერთ-ერთი პირველი ოპერა-ბუფაა. მუსიკალურ ნომრებს შორის არსებული რეჩიტატივები კონსერვატორიაში ქართულ ენაზეა წარმოდგენილი და დედნისგანაც განსხვავდება, მუსიკალური ნომრები კი, ტრადიციულად, იტალიურ ენაზე სრულდება. უბერტოს პარტიას ასრულებს საოპერო თეატრის სოლისტი ზაზა ხელაია, რომელიც სახასიათო, კომიკური როლების, მართლაც, არაჩვეულებრივი შემსრულებელია, ბოლო დროს კი კონსერვატორიის კომიკური რეპერტუარის ნამდვილ ვარსკვლავად იქცა. ეს მან გასული წლის პრემიერებზეც ("დონ პასკუალე" და "ფარული ქორწინება") დაადასტურა. უკვე გამოცდილ სოლისტს პარტნიორობას უწევენ კონსერვატორიის სტუდენტები რუსუდან ბარბაქაძე (სერპინა) და ვ. ნებუნიშვილი (ვესპონე). მას სპექტაკლში სამღერი არაფერი აქვს, თუმცა, სერპინას ცრუ-საქმროს უსიტყვოდაც ოსტატურად ასახიერებს.

რაც შეეხება სერპინას ცრუ-საქმროს, სპექტაკლის ქართული ვერსიის ავტორებმა არც აქ დაინდეს დედანი. კროატელი ოფიცრის ნაცვლად, აქ ვიხილეთ სპარსეთის შაჰინ-შაჰის მერვე თუ მეცხრე შვილთაშვილი, რომელმაც მუცლით მოცეკვავეთა დასიც თან მოიყოლა.

პერგოლეზის ოპერის ასეთ "გადაკეთებას" მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა და მომხრეებიც. მოწინააღმდეგეები რეჟისორულმა ნოვაციებმა გაალიზიანა, თუმცა ამ უკანასკნელმა წინასწარვე დაიზღვია თავი და, მეთვრამეტე საუკუნის ოპერის დადგმაზე კი არა, მის მიხედვით კიჩის შექმნაზე განაცხადა პრეტენზია. ეს კი მას, უდავოდ, გამოუვიდა. მაყურებელმა იმდენი იცინა, არა მგონია, ოპერა-ბუფას ერთ-ერთი ფუძემდებელი პერგოლეზი ამით უკმაყოფილო დარჩენილიყო.

მეორე განყოფილება მოცარტს დაეთმო. "ბასტიენი და ბასტიენა" მოცარტმა 11 წლის ასაკში დაწერა, თუმცა ერთ-ერთი პირველი ოპერის სახეები და მოტივები შემდეგ უფრო მასშტაბურ ნაწარმოებებშიც გამოიყენა. როგორც თავიდანვე გვაცნობეს, სპექტაკლის მიზანი მოცარტის საფლავის მოძიება იყო: **"ამ სპექტაკლის შემდეგ მოცარტი საფლავიდან წამოდგება და ყველა გაიგებს, სად იყო იგი დასაფლავებული"**. წამოდგომის რა მოგახსენოთ, მაგრამ საფლავში გადაბრუნება კი კომპოზიტორს ნამდვილად დაემუქრა, როდესაც ბასტიენისა და ბასტიენას პროვინციული იდილია "ბლენდამედისა" და "არიელის" რეკლამებით დაირღვა. ასეთ რეკლამაში მის მწარმოებლებს ფულიც რომ გადაეხადათ, კონსერვატორიის საოპერო სტუდია გვარიანად გამდიდრდებოდა.

მართალია, ნაწარმოების სახელწოდებიდან გამომდინარე, მთავარი გმირები ბასტიენი და ბასტიენა უნდა იყვნენ, მაგრამ ცენტრალურ ფიგურად, ისევ და ისევ, ზაზა ხელაიას გმირი - კოლასი მოგვევლინა. თავის დროზე ნაწარმოები დოქტორ ანტონ მეზმერის შეკვეთით დაიწერა. ალბათ, ამიტომაც შეეცადა მოცარტი, რომ მკურნალ-ჯადოქრის - კოლასის ფიგურისთვის განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭებინა. საოპერო სტუდიის სპექტაკლში კოლასი ინდიელი ბელადის სახით გვევლინება, რომელიც ლაზღანდარობით ახალისებს ახალგაზრდა მწყემსების საკმაოდ ბანალურ სასიყვარულო ისტორიას. ახალგაზრდა ტენორმა მიშა შეშაბერიძემ და სოპრანომ სოფო გორდელაძემ საინტერესო დუეტი შექმნეს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს, ფაქტობრივად, მათი სასცენო დებიუტი იყო.

პერგოლეზისა და მოცარტის თემებზე შექმნილი საოპერო კიჩის დამდგმელი გახლავთ დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე. გუშინდელ სპექტაკლსაც ის დირიჟორობდა. სპექტაკლის მუსიკალურ მხარეში განსაკუთრებული ნოვაციები არ აღინიშნებოდა და ეს, ალბათ, კარგიც იყო. კვირას საოპერო კიჩის კიდევ ერთ საპრემიერო წარმოდგენას სხვა სოლისტები შემოგვთავაზებენ. პერგოლეზისა და მოცარტის თანამედროვე "ბუფონადა" კი კვლავ ძალაში დარჩება. ასე რომ, ვისაც ოპერის გარშემო ცხარე კამათი მოგწყურებიათ, ეს შანსი ხელიდან არ გაუშვათ.

# ნიჟარების სამყაროში

ნანა ბასილაშვილი

გამოფენის გახსნაზე მიმავალს, ვიდრე ვაკის საცობს თავს დავაღწევდი, ნახევარი საათი დამაგვიანდა. შევეგუე იმას, რომ ვერნისაჟი უჩემოდ ჩაივლიდა. აღმოჩნდა, რომ საჩქარო არაფერი ყოფილა. გამოფენას არც არანაირი ოფიციალური გახსნა არ ჰქონია. უფრო მეტიც: თავდაპირველად ვიფიქრე, რომ მისამართი შემეშალა. მაჩაბლის ქუჩაზე ცნობილ გალერეა-ბარ "სახლში" ჩვეული, ბარისთვის დამახასიათებელი სიტუაცია იყო. აქ შესაფერის, მაგრამ გამოფენისთვის სრულიად შეუფერებელ ნახევრად ჩაბნელებულ, ვიწრო სივრცეში წარმოდგენილი ნამუშევრები არცთუ კარგად აღსაქმელი იყო. ამის მიუხედავად, ლალი დათიაშვილის ნამუშევრებს თავისი დამთვალიერებელი მაინც ეწვია. თუმცა, ვფიქრობ, შესაფერის გარემოში მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა.



იური ლობოდინის ფოტო

*ადამიანის ნიჭი და ფანტაზია რომ უსაზღვრო და ამოუწურავია, ამას კიდევ ერთხელ ამტკიცებს ლალი დათიაშვილის გამოყენებითი ხელოვნება.*

ლალი დათიაშვილი ქუთაისის მკვიდრია, პროფესიით მხატვარ-დიზაინერი. კოსტიუმების დიზაინის გარდა, იგი სიამოვნებით მუშაობს ფერწერაშიც. მაგრამ, გუშინდელ გამოფენაზე მას არც კოსტიუმები და არც ფერწერული ტილოები არ ჰქონდა წარმოდგენილი. მსგავს ნამუშევრებს, რომლებიც მხატვარმა "სახლში", პერსონალურ გამოფენა-გაყიდვაზე გამოიტანა, ვერც ერთ გალერეაში ვერ იხილავთ, რადგან, როგორც მხატვართა კავშირში უთქვამთ, მას ანალოგი არა აქვს. ორი წლის წინათ ლალი დათიაშვილმა ნიჟარებით შესრულებული ორიგინალური ნამუშევრები პირველად მხატვართა კავშირში გამოფინა. ქუთაისისა და ბათუმის საგამოფენო დარბაზების შემდეგ კი კვლავ თბილისელი დამთვალიერებლის "დაპყრობა" გადაწყვიტა.

ის, რომ ადამიანის ნიჭი და ფანტაზია უსაზღვრო და ამოუწურავია, ამას კიდევ ერთხელ ამტკიცებს ლალის გამოყენებითი ხელოვნება. ნატურმორტები, ლარნაკი, კალათი, მაგიდა, მხოლოდ ჩვეულებრივი, უბრალო ნიჟარებითაა შექმნილი. დამხმარე კომპონენტებად მხატვარი, მაგალითად, ნატიურმორტისთვის ტილოსა და ტირიფის ტოტებს, ლარნაკისთვის ხეს, მაგიდისთვის კი ბზას იყენებს. საბოლოოდ კი იქმნება ფერის თვალსაზრისით ერთფეროვანი, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად მრავალფეროვანი საგნები, რომლებსაც ნატურალური, ბუნებრივი ელფერი აქვს, რადგან ნიჟარების დასამუშავებლად და ფორმის მისაცემად მხატვარი დამხმარე საშუალებებს არ იყენებს (თუ არ ჩავთვლით ჩაქუჩსა და ბრტყელტუჩას).

"ყველა ნამუშევარს გასაყიდად ვერ ვიმეტებ. მაგალითად, ერთ-ერთი სარკისთვის, რომელსაც, ასე ვთქვათ, ნიჟარების ყვავილი შემოვავლე, 2 ათასი ნიჟარის დამუშავება დამჭირდა. ახლა მას ვერაფრით ვერ ვიმეტებ. თუმცა, ზოგიერთთან მაინც მიწევს გამომშვიდობება", - ამბობს ლალი დათიაშვილი. გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი ნიჟარებისგან შექმნილი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა ფასი 100 დოლარიდან იწყება. რამდენიმე მათგანი მხატვარმა უკვე მათ ახალ მფლობელებს გადაულოცა. სხვათა შორის, მათი უმრავლესობა უცხოელია. თუმცა, გამოფენის დასრულებამდე, კიდევ რამდენიმე დღეს, გაყიდული ნამუშევრები "სახლში" დარჩება.

თვალსაზრისი

# ქვით ნაგები გზავნილი მომავალში

## არქიტექტურული გლობალიზაცია, იმპერიალისტური ამბიციები თუ ეპიზოდები ჩვენი ისტორიიდან



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სოფო კილასონია

ჩემთვის ის ერთ მშვენიერ დღეს დაიბადა და ზემოდანაც გადმომხედა. მისი არსებობის ფაქტის წინაშე უეცრად აღმოვჩნდი, როცა კოლმეურნეობის მოედანზე მიმავალმა ოდნავ ზემოთ ავიხედე და იმ მაღლობზე უფრო დიდი ფორმა დავინახე, რაზეც თავად იდგა. მას შემდეგ ჩვენი ერთმანეთთან შეგუების ხანგრძლივი პროცესი დაიწყო, რაც, უნდა ვაღიარო, რომ ჯერაც არ დასრულებულა. შეიძლება, სწორედ ამიტომ უკვე სრულქმნილ ტაძარს, არა გიორგობა დღეს, როგორც უმრავლესობა დაინტერესებული, არამედ მისი კურთხევიდან სამი დღის შემდეგ ვესტუმრე, რათა მასთან შეხვედრის რიტუალი მშვიდად და აუღელვებლად ჩამეტარებინა.

ჩემს ინტერესს სამების სახელობის ახალი საკათედრო ტაძრის მხატვრული დონე, არქიტექტურული რაობა, ანსამბლის სახე იწვევდა, რადგანაც მის რელიგიურ დატვირთვაზე საუბარი ნებისმიერი ქრისტიანი ქართველისთვის ზედმეტი უნდა იყოს, ხოლო მისი მნიშვნელობა ერისთვის - ეჭვგარეშე. მანამდე და ამ სამი დღის განმავლობაში მრავალი რამ ითქვა ამ ტაძრის არქიტექტურული ღირებულებისა და საერთოდ მისი მნიშვნელობის შესახებ, მრავალი ურთიერთგამომრიცხავი და განსხვავებული, თუმცა ერთიცა და მეორეც ითქვა და ამიტომ მეც ამ აზრებითა და ემოციებით გადავწყვიტე ტაძრამდე მიმავალ გზას გავყოლოდი.

მისი მშენებლობა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების ეპოქაში დაიწყო და ამიტომაც იმ პლაკატებზე აღმოჩნდა, რომლითაც ერთ დროს მმართველი პარტია, რევოლუციის გამომწვევი არჩევნების წინ საქართველოს ნათელი მომავლის დემონსტრაციას ახდენდა. ეს ის ასოციაციაა, რომელიც უკვე კარგად დავიწყებული უახლესი წარსულიდან მოგვყვება. თუმცა, ასოციაციები სხვაც მრავალი იქნება...

გრანდიოზული და აქედან გამომდინარე დიდებული - არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, თუმცა, ეს ერთადერთი შეფასებაა, რასაც ხმამაღლა ამბობენ. დანარჩენს ერიდებიან. აზრი და კითხვა მრავალია, რაც არაერთმა ხელოვნებათმცოდნემ და არქიტექტორმა გამანდო, თუმცა მხოლოდ გამანდო, მათი გამჟღავნება და პასუხების პოვნა მე მომანდო. პასუხების რა გითხრათ, თუმცა საკუთარსა და სხვათა ფიქრსა და განწყობას ფრთხილად და აუჩქარებლად გაგიზიარებთ.

მანამ, სანამ კომპლექსის სამთაღიან შესასვლელს მივადგებით, ელიას უბანს უნდა ჩავუაროთ და "არაჩვეულებრივი" ყოფითი სცენებით დავტკბეთ. თუმცა, ნუ ვიდარდებთ, სასიარულო ცოტაა და სადაცაა პატარა ზომის თეთრი, სიმპათიური, ოთხაფსიდიანი - ტეტრაკონქის ტიპის ტაძარი შემოგვეგებება, იგი სამთაღიან კარიბჭეს ადგას თავზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოვედით და უკან დარჩა ფიცრული სახლები და ხის ჩამტვრეული კიბეები. სახე, მართლაც, გაგვინათდება, რადგანაც გავივლით თუ არა კარს ჯერ ერთი, მალე კი ორი წყვილი შადრევნიანი აუზი შემოგვეგებება, მას შემდეგ იწყება სამეტაპიანი, თითო თექვსმეტსაფეხურიანი კიბე. ეს, უბრალოდ, ცნობისთვის, მაგრამ ინფორმაცია მაინც საყურადღებოა. ეს ხომ ის კიბეა, რომლის იქითაც ახალი საკათედრო ტაძარი დგას, ტაძარი, რომელიც მხოლოდ ჩვენთვისაა სიახლე, მალე კი მას ისტორია მიიღებს, უფრო სწორად, ჩაიბარებს და ქვეყნის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად აქცევს. ესაა ტაძარი, რომელმაც ჩვენს "მშობლიურ" ტაძრებს, დიდ კათედრალებს სამივე განზომილებაში გაასწრო და ახლა ისიც ელის მომავალს, რათა იბრძოლოს როგორც იაკობმა და საუკუნეებს გაუძლოს. მერე კი სულ სხვა ქართველებს უთხრას: ვინ ვიყავით, რას და რატომ ვაშენებდით, რა გვინდოდა, რაზე ვფიქრობდით. გამოდის, რომ ეს კიბე მთელი გზაა, სადაც რაღაც მოვიტანეთ და კიდეც ვაგზავნით. და თუ ამას პირველ საფეხურამდე გავიაზრებთ, ალბათ, ნელა ავალთ მასზე და ტაძარსაც შიგადაშიგ ავხედავთ, ფრთხილად დავაკვირდებით ჩვენს გზავნილს მომავალში. ამას გარდა, კიბეზე დავტოვებთ ყველა კითხვასა და თეორიას ქართული ხუროთმოძღვრების ადათ-წესებზე, რათა ტაძარში მშვიდი გონებითა და წრფელი გულით შევიდეთ.

ანსამბლი, რომელიც მრავალ დიდ და მცირე ტაძარს აერთიანებს, უცხოა შუა საუკუნეების საქართველოში. თუ არის, იქ აუცილებლად საერო ნაგებობაც მოიაზრება და ტაძრები კი სხვადასხვა პერიოდში ემატებოდა ერთს - პირველს და ძირითადს. თუმცა, არქიტექტურულ კომპლექსში ამა თუ იმ ერთი ნაგებობის აქცენტირება, მსგავსი პროპორციული "ამოვარდნით" არასოდეს ხასიათდებოდა. საქმე სხვა რამეშია: ელიას მთაზე არქიტექტურული ანსამბლი არაა შემდგარი, როგორც ჩანს, ასეთი მიზანიც არ ყოფილა. სამების ტაძრის გარშემო პატარა ტაძართა განლაგება უსისტემოა, ან, უბრალოდ, მშენებლობათა დაუსრულებლობის გამო, კომპლექსური ჩანაფიქრი ჯერ არ იკითხება. თუმცა, ეს როდია ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენ საუბარი არქიტექტურის მთავარი ღერძით უნდა დაგვეწყო. ნაგებობის პროპორციული შეხამება გარე მასშტაბთან - ამით უნდა იწყებოდეს ცნება - ხუროთმოძღვრება. როგორ შეუხამა ავტორმა ახალი კათედრალი არა მარტო გარშემო არსებულ ანსამბლს, არამედ საერთოდ ქალაქს? რატომ ეჩვენება უმრავლესობა სპეციალისტს, რომ მისმა სიმაღლემ და გაბარიტებმა არა თუ ასწია აღქმის საერთო დონე, არამედ პირიქით სიმძიმედ დააწვა ისედაც დამძიმებულ განაშენიანებას? საქმე გადამეტებულ სიდიდესთან, თუ საერთო პროპორციათა შეუსაბამობასთან გვაქვს? ჩემს ნებისმიერ კითხვას კითხვითვე პასუხობენ არქიტექტურაში მომუშავე მეცნიერები. ამიტომაც საუბარი იმაზე გადამაქვს, რასაც აშკარად ვხედავთ.

ტაძარი მრავალსაფეხურიანია. ორკალთა და ცალფრთიან გადახურვებს ბოლო არ უჩანს. მსგავსი ტენდენციები სამების არქიტექტორისთვის, არჩილ მინდიაშვილისთვის საერთოდ უცხო არ არის. საკმარისია, გავიხსენოთ თბილისში აგებული მისი მცირე ეკლესიები, თუნდაც წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი გურამიშვილის გამზირზე, წმ. გიორგისა - საბურთალოს სასაფლაოს ძმათა პანთეონთან, წმ. ბარბარეს სახელობისა ვაჟა-ფშაველას გამზირზე, რათა კარგად დავინახოთ ფორმათა თამაში, მისი მისწრაფება შექმნას ცალკე გადახურვის მქონე დამატებითი მოცულობები. შევხედოთ ტაძარს, ავიდეთ კიდევ ერთ საფეხურზე - რას "ემსახურება" აქ ეს კიბისებრი საფეხურები? ფორმას ასრულებს და კრავს, თუ პირიქით შლის მას? თუ კითხვა მცდარია, საიდან ფასადთა ასეთი დანაწევრება? თუმცა, გამომდინარე ზომის მასშტაბურობისა, სხვა გზა არც იყო, ალბათ. ფაქტია, საქმე ფორმათა დეკორატიულობასთან, არქიტექტურულ მრავალსიტყვიანობასთან, მრავალნაწილიანობასთან გვაქვს, რომელთა ერთიანობაში აღქმაც თავიდან საკმაოდ უჭირს ადამიანის თვალს.

დეკორატიულობის ხსენებამ ერთი ნაბიჯით მაღლა აგვწია და ფასადთა დეკორამდე მიგვიყვანა. აქ ყველაფერია, რაც ოდესმე სხვადასხვა ეკლესიათა კედლებზე შეგვინიშნავს. მათი ანალოგიური თუ მსგავსი რელიეფები. ბოლნური ჯვრები, ისე ჯვრები, მცენარეული, ხვეული ორნამენტები და რაღა თქმა უნდა, მდიდრული თაღედი. სწორედ რომ მდიდრული, მისი სიმრავლისა და მრავალლილვიანობიდან გამომდინარე. არასოდეს არ მოუბნევია ამდენი დეკორი ერთად ქართველ ოსტატს, თანაც ყველა ერთი მნიშვნელობით. ის, რითიც უწინ, ერთი მხრივ, აქცენტირებას ახდენდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, კედლის სისადავეს უსვამდნენ ხაზს - აქ ერთიანობაშია გაშლილი. გრანდიოზული ტაძრის იერი არქიტექტურულ კონსტრუქციათა სიმრავლეზეა დაფუძნებული, რომელიც აშკარა რაოდენობრივ მონუმენტალიზმს ქმნის, ხოლო რაც შეეხება მის პერანგს, იგი ჩვენი წარსულის ეპიზოდებითაა მორთული. სამების უზარმაზარმა ფასადებმა, ხომ ყველაფერი აითვისა, რაც ბოლნისის სიონიდან სამთავისამდე და კიდევ აქეთ, ქვათა წყობას სამკაულად უტარებია.

ავდივართ კიდევ ერთ საფეხურზე, ვუყურებთ მის ფასადებს, იმას, თუ როგორ შეგვიფუთავს ჩვენი საჩუქარი მომავლისთვის და ბევრს ამოვიცნობთ. იმდენი რამაა ერთად, ამაყნი ვართ, თან ტაძრის კალთებს ვითვლით და ვირევით - ხუთია, ოთხია, აქედან თუ იქიდან, ზემოდან თუ ქვემოდან, სულ რამდენია? - ბევრია, დიდია, რამოდენაა, რა კარგია! - გვესმის და თავადაც შეუძლებელია ეს არ აღვნიშნოთ. წინ და წინ ვიწევთ და უფრო ამაყი და კმაყოფილი ქართველები ვხდებით. ამას კი გარდაუვალი აზრები მოსდევს, ანუ ჩვენი "ქართველთა დიდებისა და ძლიერების დროს აგებული" დიდი კათედრალები გვაგონდება. აქ კი ვჩერდებით და ვადარებთ, უკეთეს შემთხვევაში, განწყობას ვიგონებთ და სადღაც უსიამოვნო კითხვა გვაწუხებს: როგორ ვაჯობეთ, მათ ვაჯობეთ? და თუ ოდესმე მართლმადიდებლური ტაძრის ხასიათსა და მის ფენომენზე გულდასმით დავფიქრებულვართ, ყველაზე რთულ კითხვასაც დავსვამთ და ერთი საფეხურით მაღლაც ავალთ: როდიდან გვახარებს ზომასა და გაბარიტებზე დამყარებული დიდებულება? არც ალავერდი, არც ბაგრატი, არც ოშკი და სვეტიცხოველი, არც ერთი მათგანი არ შექმნილა მხოლოდ მასშტაბურობისთვის, არც ერთი ქართველთა სიამაყე-ტაძრის დიდებულება სიგრძე-სიგანით არ დაწყებულა. ფორმა - ლაკონური, იერი - სადა, მსუბუქი და ლაღი და მხოლოდ აქედან გამომდინარე - დიდებული. არა მაღალი, არამედ აზიდული, არა განიერი, არამედ სივრცეში გაშლილი. აქ რა ხდება? საიდან განცდა სხვაგვარი? ამაზე პასუხი არსებობს. ჩვენ, ხომ XXI საუკუნის ქართველების მიერ აგებულ ახალ ტაძარს ვუმზერთ. სწორედ - ახალი ქართველის ახალ ქმნილებას. აქ კი მოგონებები - ქართული ტაძარი ქართველს ჰგავს, იგი, ქვაში ნაკვეთი მისი ხასიათი და რწმენააო - მითხრეს ადრე და ამიტომაც ჩვენი ხასიათისა და მისი შედარება გადავწყვიტე, თუმცა ჩემ წინ წამომართულ მდიდრულ და "ამბიციურ ფორმებს" ავხედე და დღევანდელ ქართველზე ჩაფიქრებას მოვერიდე.

ადამიანსა და მის ხასიათზე ფიქრმა ეკლესიის ინტერიერის ასოციაციები აღძრა. საკვირველიც არაა. მართლმადიდებლის სულიერებისა და ტაძრის შიდა სივრცის ცნებათა ერთიანობაში მოაზრება ახალი არაა. ამას გარდა სწორედ, რომ შიდა სივრცე არის და იყო მართლმადიდებლური ეკლესიის არსის მთავარი გამომხატველი. იმ იდუმალებისა და გარკვეული საკრალურობის მატარებელი, რაც ასე რიგად განასხვავებს მას კათოლიკური, თუ ქრისტიანული სხვა კონფესიებისგან. ფორმები, ტაძართა დაგეგმარება, მუდამ იცვლებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ დაიბადებოდა სხვადასხვა და მრავალფეროვანი არქიტექტურული ტიპები, რომელთაც ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება მოიცავს. თუმცა, ყოველი მათგანი ერთი არსის მატარებელია, იმისა რაც სიტყვით ბოლომდე ვერ გამოითქმის, თუმცა ნებისმიერი ქართველი მას - "საკუთარი" ტაძრის გარემოს - ყველასგან გამოარჩევს.

"ქვათა ღაღადი", განათება, რომელიც ხან აბნელებს, ხანაც ანათებს, ხაზს უსვამს მთავარსა და გარდამავალს, სივრცეთა მონაცვლეობა - გამოკვეთილი ცენტრი და მისი განშტოებანი, შეკრული და მწყობრი სივრცული მოცულობები - ეს ყველაფერი განსაზღვრავს მსვლელობის რიტმს, განწყობას, საერთოდ დამოკიდებულებას. ამას ვართ შეჩვეულნი და შეიძლება სწორედ ამიტომ გაკვირვებული რჩება ყველა, ვინც ახალი ტაძრის ზღურბლს გადააბიჯებს და პრიალა იატაკზე, მოსრიალე-მორბენალ ბავშვებს, ქართული ტაძრისთვის აქამდე უცხო ბრწყინვალებას, სიკაშკაშესა და ერთნაირად განათებულ მდიდრულ სივრცეებს შეავლებს თვალს.

"უცნაური გარემოა, ძალიან მდიდრულია, თითქოს მართლმადიდებლურს არ ჰგავს", "დიდებულია, ძალიან ლამაზი, ყველაფერი ბრწყინავს", - ასეთი იყო ჩემთვის გაზიარებული შთაბეჭდილებები. უცნაური და მდიდრული გარემო, უპირველეს ყოვლისა, იმიტომაა, რომ იატაკი, კედლები, სვეტები ნაირფეროვანი მარმარილოთია მოპირკეთებული. ეს კი აქამდე უცხო იყო ჩვენთვის. არამართლმადიდებლური გარემოს ასოციაციებიც ამიტომ გვრჩება, თუმცა აქ პატარა უზუსტობაა, მართლმადიდებლურს, რა თქმა უნდა, ჰგავს, თუმცა სიმდიდრე, "ფუფუნება" და მეორე სართულის, სამმხრივი, თაღოვანი პატრონიკე-აივნები ბიზანტიურ ტაძრებთან ავლენს ყველაზე საგრძნობ მსგავსებას. აქვე გავბედოთ და აღვნიშნოთ, - მწვანე, თეთრი და ყავისფერი მარმარილოს მონაცვლეობა, რასაც სამების ტაძრის ინტერიერში ვხედავთ, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან კათოლიკური ტაძრისთვისაა ყველაზე ახლობელი.

ერთი საფეხურით მაღლა, ფიქრით კი შორს, - როდის და სად იგება ასეთი მასშტაბის ტაძრები? ამ კითხვაზე იოლად და დაუფიქრებლად მიპასუხეს - იმპერიებში, იმპერიალისტური ამბიციებით, თუმცა ეს არ გამოგვადგება. მარტივად ვთქვათ, დიდ და ძლიერ სახელმწიფოებში, მაშინ როცა რწმენის გარდა, საკუთარი სიძლიერისა და ძლევამოსილების დემონსტრირება სურდათ. ვერც ეს პასუხი მოვარგეთ ჩვენს შემთხვევას. ასე რომ, ამას თავი დავანებოთ ან იმედი დავიტოვოთ, რომ იბერია სულ მალე გაბრწყინდება და ეს დიდებულებაგრანდიოზულობაც მალე პოვებს სათანადო ადეკვატურობას ისტორიასთან.

მართლაც, ამ მასშტაბური ნაგებობის გეგმა (თავისუფალი ტრიკონქის ტიპი) დიდი ოსტატობითაა ჩამოყალიბებული, იგი არაერთ მცირე ეკლესიას აერთიანებს, ხოლო რვა ბურჯზე აღმართული დიდი გუმბათი, მინდიაშვილის მიერ, სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში აგებულ ტაძარს მოგვაგონებს. ამის შესახებ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, რაც მრავალ ასოციაციაპარალელს დაბადებს და თუ არქიტექტურაზე შეყვარებულ ერთ ადამიანს დავესესხები, ეს "არქიტექტურული გლობალიზაცია", პირდაპირი თუ ირიბი გაგებით, შორსაც წაგვიყვანს. ჩვენი მიზანი კი ამჯერად კიბის ბოლო საფეხურზე ასვლა იყო და სხვა არაფერი, მეტის პრეტენზია არ გვქონია, რადგანაც "საუკუნის მშენებლობას" საუკუნე და კიდევ მეტი დასჭირდება, რათა მისი როლი და ადგილი ბოლომდე განვსაზღვროთ, მისი მხატვრული ღირებულება კი სათანადოდ შევაფასოთ.

ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| 15 [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |




### საუკეთესო ალბომების ათეული ევროპაში ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | ალბომის სახელწოდება | ხმის ჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| [illegible] | საუკეთესო ჰიტები | [illegible] |
| [illegible] | Encore | |
| [illegible] | საუკეთესო ჰიტები My Prerogative | [illegible] |
| [illegible] | საუკეთესო ჰიტები | [illegible] |
| [illegible] | საუკეთესო ჰიტები | [illegible] |
| [illegible] | Allow Us To Be Frank | [illegible] |
| R.E.M. | Around the Sun | [illegible] |
| [illegible] | Remixes 81-04 | [illegible] |
| [illegible] | 10 Years of Hits | [illegible] |
| [illegible] | საუკეთესო 1991-2004 | [illegible] |



### ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობები | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 35,142,554 | 35,142,554 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 32,018,216 | 32,018,216 |
| Incredibles | [illegible] | [illegible] | 26,323,802 | 177,685,480 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 15,668,101 | 51,443,202 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 10,844,890 | 21,811,480 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5,075,085 | 19,200,384 |
| "Ray" | [illegible] | [illegible] | 4,545,210 | 59,192,218 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,612,121 | 164,623,630 |
| Seed of Chucky | [illegible] | [illegible] | 3,241,211 | 13,459,639 |
| Saw | [illegible] | [illegible] | 2,982,575 | 50,255,671 |

# დააყენეთ ბექჰემი მარჯვნივ



*როგორც ამბობენ, დევიდ ბექჰემსა და ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს საკმაოდ თბილი და, შეიძლება ითქვას, მამაშვილური ურთიერთობაც კი აქვთ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საჭიროების შემთხვევაში ერიქსონი მუდამ დევიდის გვერდით დგას...*

ნინო ტიკარაძე

ამ ბოლო დროს ესპანური ჟურნალ-გაზეთები უკმაყოფილებას გამოთქვამენ მადრიდის "რეალის" ინგლისელი ლეგიონერის დევიდ ბექჰემის თამაშის გამო. ისინი აცხადებენ, რომ მან ფორმა დაკარგა და ამიტომ მოედანზე მაქსიმალურად ველარ იხარჯება. შესაბამისად, ვერ ახერხებს, ესპანურ გუნდს წარმატების მოპოვებაში დაეხმაროს.

ბექჰემის გაკრიტიკებამ, ბუნებრივია, გულგრილი არ დატოვა მის მიმართ კეთილად განწყობილი ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი. ამ ფაქტის გამო მან აღშფოთება ვერ დამალა და ფეხბურთელის რეჟიმიდან ამოვარდნის მთავარ მიზეზად ის დაასახელა, რომ ბექჰემს მადრიდის "რეალში" მარჯვენა ფლანგზე თამაშის უფლებას არ აძლევენ, რის გამოც ის მოედანზე მაქსიმუმს ვერ აკეთებს.

მოკლედ, ბექჰემი რეჟიმიდან ამოვარდნილია. ეს კი, ბუნებრივია, არც ინგლისის ეროვნული ნაკრებისთვის გახლავთ სახარბიელო ამბავი. ახლო მომავალში ერიქსონი ფეხბურთელთან შეხვედრასა და ამ საკითხზე დალაპარაკებას გეგმავს. "დამეთანხმებით, ადვილი არ არის, ითამაშო მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში. მადრიდისთვის თამაში დიდ პასუხისმგებლობასა და ძალისხმევას მოითხოვს. მადრიდის "რეალზე" დიდ იმედს ამყარებენ. ფიქრობენ, რომ მან ყველა მატჩი 5:0 უნდა დაამთავროს, თუმცა, ეს გუნდი ამ სეზონზე მაინცდამაინც კარგ თამაშს ვერ აჩვენებს. ამას ცალკეულ ფეხბურთელებს აბრალებენ და არა მთლიანად გუნდს. სულაც არ ვაპირებ, "რეალის" თამაშის ტაქტიკა განვიხილო, მით უმეტეს, რომ ეს მე არ მეხება, თუმცა, ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: დევიდი რომ მარჯვენა ფლანგზე ათამაშონ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტის გაკეთებას შეძლებს. არ მჯერა, რომ მან თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა. თებერვლამდე აუცილებლად შევხვდები და დაველაპარაკები ამის შესახებ," - განაცხადა ერიქსონმა.

შეგახსენებთ, რომ 9 თებერვალს ინგლისში გაიმართება ამხანაგური მატჩი, რომელშიც ინგლისის ნაკრები ჰოლანდიის ნაკრებს შეხვდება.

ერიქსონი დიდ იმედს ამყარებს დევიდ ბექჰემზე. იგი დარწმუნებულია, რომ თებერვლამდე ინგლისელთა კაპიტანი აუცილებლად შეძლებს ჩვეული ფორმის დაბრუნებას.

### პატრიკ კლუივერტი:

# "შესანიშნავ ფორმაში ვარ"



ის, რომ ჰოლანდიელ პატრიკ კლუივერტს კარგი ცხოვრება უყვარს, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამ კვირის დასაწყისში "ნიუკასლ იუნაიტედის" ფორვარდმა საქველმოქმედო აუქციონზე 40 ათას ევროდ შეიძინა გიტარა ჯგუფ U2-ის ავტოგრაფით. უფრო ადრე კი გუნდის ქომაგები გაახარა მაღალი კლასის თამაშით, რისთვისაც სერ ბობი რობსონს თავის დროზე მოუვიდა თვალში და ის "კაჭკაჭების" შემადგენლობაში მიიპატიჟა.

თუმცა, კლუივერტის შეძენამ ინგლისის ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს ვერაფრით უშველა და წლევანდელი სეზონის პირველი ოთხი ტურის შემდეგ რობსონი იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა. გუნდში გრემ სუნესის მოსვლას კლუივერტი სულაც არ დაუთრგუნავს. ინგლისური პრემიერლიგის უკანასკნელ მატჩში კლუივერტმა ქუსლით გაიტანა გამარჯვების გოლი ლონდონის "კრისტალ პალასის" კარში. როგორც ჩანს, ჰოლანდიელი ფორვარდი იბრუნებს იმ ფორმას, რომელიც 5 წლის წინათ შიშის ზარს სცემდა ევროპელ მცველებს.

"მე ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ "კრისტალ პალასის" კარი დავლაშქრე, მაგრამ საქმე მხოლოდ გოლის ეფექტურობაში როდია. მთავარია, რომ ბურთი გადამწყვეტ და დაძაბულ მომენტში კარში აღმოჩნდა, - განაცხადა კლუივერტმა, - ფლანგიდან ჩამოწოდების შემდეგ ბურთი ჩემს ზურგს უკან აღმოჩნდა. მე ასეთ დარტყმებს ვარჯიშებზე არ ვამუშავებდი. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ფორვარდის ინსტინქტს მივენდე".

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა კლუივერტმა გოლეადორის ალღო გამოავლინა. "მე ზედიზედ შვიდი მატჩი გავმართე და შესანიშნავ ფორმაში ვარ, - აღნიშნა ჰოლანდიელმა, - უფრო სხარტად დავიწყე მოქმედება. ახალი მატჩები მხოლოდ ძალ-ღონეს მმატებენ. თუმცა, მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. იმედი მაქვს, კიდევ მოვუმატებ". ალან შირერის არყოფნაში კლუივერტი მინდორზე, ალბათ, კრეიგ ბელამისთან წყვილში ითამაშებს.

ფეხბურთი

# რა ხდება "რეალის" თავს?

## ივან ელგერა გვარწმუნებს, რომ საშიში არაფერია

*თითქოსდა, "რეალმა" კრიზისი გადალახა და კვლავ დაადგა წარმატებების გზას, მაგრამ მადრიდელთა ოპტიმიზმი ნაადრევი აღმოჩნდა. ესპანეთის ჩემპიონატის ფარგლებში რამდენიმე გამარჯვებას ბარსელონაში განცდილი სამარცხვინო წაგება (0:3) მოჰყვა. ამის შემდეგ იყო ჩემპიონთა ლიგის მატჩი ლევერკუზენის "ბაიერთან", რომელიც "რეალმა" საკუთარ სტადიონზე ვერ მოიგო და დიდად გაირთულა ჯგუფიდან გასვლის საქმე. ის კი არა, "ბაიერთან" მატჩისას მადრიდელი გულშემატკივარი სტუმარი გუნდის ბრაზილიელ მცველს როკე ჟუნიორს რასისტული შეძახილებით უმასპინძლდებოდა. ამ ფაქტის გამოძიებას ახლა უეფა აპირებს. სამეფო კლუბში არსებული პრობლემების მიუხედავად, გუნდის ერთ-ერთი ვეტერანი ივან ელგერა ირწმუნება, რომ სანერვიულო არაფერია და დასკვნების გაკეთება სეზონის ბოლოს სჯობს.*

**- რას ფიქრობ იმაზე, რომ უეფა "ლევერკუზენთან" მატჩისას მადრიდელი გულშემატკივრების რასისტული გამოხდომების გამო გამოძიების ჩატარებას აპირებს?**

- ამის შესახებ არაფერი მსმენია. ვფიქრობ, ყველაფერი ცოტათი გადაჭარბებულია, ისევე როგორც ერთი კვირის წინათ ინგლისის ნაკრებთან მატჩის შემდეგ. იტალიაში უარესიც მინახავს. ზოგიერთ სტადიონზე ჩემთვისაც მოუყენებიათ შეურაცხყოფა, მაგრამ ამის გამო არავითარი გამოძიება არ ჩატარებულა. უსამართლობაა, რომ ყოველთვის, როდესაც მადრიდში რომელიმე უცხო ქვეყნის გუნდი ჩამოდის, ჩვენ რასისტებს გვიწოდებენ.

**- ხომ არ გეჩვენება, რომ ზოგიერთებს უნდათ, მადრიდის "რეალის" ჩავარდნა ნახონ?**

- ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, "ბარსელონასთან" წაგება ძალიან მძიმე გადასატანი იყო ჩვენთვის. მაგრამ ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში ჩვენ მაინც მეორე ადგილზე ვართ და ჩემპიონთა ლიგაშიც ვინარჩუნებთ წარმატების შანსს. არ ვფიქრობთ იმაზე, რომ შესაძლებელია "რომასთან" ჩვენი დამარცხება. ახლა კი მხოლოდ "ლევანტესთან" მომავალ მატჩზე ვართ კონცენტრირებული.

**- ბევრს მიაჩნია, რომ "რეალის" წარმატებული ციკლი დასრულდა...**

- ამას სეზონის ბოლოს ვნახავთ. თუმცა, მგონია, რომ ისინი, ვინც ასე ფიქრობენ, ძალიან ცდებიან. ამ ადამიანების უმრავლესობას საერთოდ არ ესმით ფეხბურთი. დასკვნები სეზონის ბოლოს გავაკეთოთ, როდესაც ჩვენ მოვიგებთ ან წავაგებთ ტიტულებს.

**- ესე იგი, ფიქრობ, რომ კრიტიკა უსამართლოა?**

- დიახ. ახლა ჩვენ ძალიან ბევრ მატჩს ვატარებთ. ხან კარგად ვთამაშობთ, ხან - არც ისე კარგად. მაგრამ სეზონის ბოლომდე დასკვნების გაკეთება არ ღირს. ხანდახან უპატივცემულოდ მოიხსენიებენ იმათ, ვინც, მართლაც, ბევრი გააკეთა მადრიდის "რეალისთვის". ამ გუნდმა მთელი ეპოქა შექმნა და ფეხბურთში მისი გზა ჯერ არ დასრულებულა.

**- არ გიკვირს, რომ ხალხი უკვე დაგცინით?**

- რა არის ამაში გასაკვირი? ასეთია რეალობა. ჩვენი ყოველი წაგება კოშმარად იქცევა. გასული სეზონი ისევე კარგად დავიწყეთ, როგორც "ბარსამ" დაიწყო მიმდინარე სეზონი, მაგრამ ჩვენ ამდენს არ გვაქებდნენ. მთავარია არა ის, თუ როგორ დაიწყებ, არამედ ის, თუ როგორ დაამთავრებ.



*ივან ელგერა: "ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, "ბარსელონასთან" წაგება ძალიან მძიმე გადასატანი იყო".*

**- ანგარიში 3:0 თქვენსა და "ბარსელონას" შორის კლასში განსხვავებას ასახავს?**

- ეს ანგარიში "ბარსელონასთან" შვიდი ქულით ჩამორჩენაში აისახა. თუმცა, არავინ კამათობს იმაზე, რომ მათ უკეთესად ითამაშეს და მოგება დაიმსახურეს.

**- ამბობენ, რომ "ბარსას" თქვენზე მეტად სურს ტიტულების მოგება.**

- დიახ, ეს, მართლაც, გვაღელვებს, თუმცა, "რეალი" მუდამ იყო ტიტულებზე დაგეშილი. ეს რომ არა, ჩვენ ვერაფერს ვერ მოვიგებდით.

**- შეგიძლიათ, რომ შვიდი ქულის დანაკლისი აინაზღაუროთ?**

- ეს არც ისე ადვილია, მაგრამ ბოლო სეზონში ჩვენ თვითონ წავაგეთ უკანასკნელი ექვსი თამაში. წინ კიდევ დიდი დროა. მაშინ, იანვარში, ჩვენ 18 ქულით წინ ვიყავით, თუმცა, ისინი მაინც დაგვეწიენ. მომავალ მატჩს ჩვენ საკუთარ მოედანზე ვატარებთ, ისინი - სტუმრად. იმედი მაქვს, კარგად თამაშს ველარ გააგრძელებენ.

**- "ლევერკუზენთან" მატჩის შემდეგ გარსია რემონმა თქვა, რომ ფეხბურთელები ძალიან დათრგუნულები იყვნენ.**

- შესაძლოა, "ბარსასთან" განცდილი მარცხი ძნელი გადასატანი იყო ჩვენთვის. მეტოქეც ძლიერი იყო. ჩვენ კარგად გვახსოვდა გერმანიაში გამართული პირველი მატჩი. მას შემდეგ, რაც "ლევერკუზენმა" გოლი გაგვიტანა, თამაში ძალიან გაგვიჭირდა.

**- როგორ მოგწონს ვალტერ სამუელის გვედრით თამაში?**

- შესანიშნავია. ასეთი დონის ფეხბურთელებთან თამაში ყოველთვის მსიამოვნებს. სამუელი შესანიშნავი მოთამაშეა და ის კიდევ ბევრს დაამტკიცებს. შესაძლოა, აქამდე არ უმართელბდა. დარწმუნებული ვარ, ის ბევრ ტიტულს მოიგებს "ბერნაბეუზე". წარუმატებელი დებიუტი კი სხვა დიდ ფეხბურთელებსაც ჰქონიათ.

**- ფეხბურთელები ახლა "რომასთან" მატჩზე ფიქრობენ.**

- დიახ. ეს მატჩი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ მანამდე "ლევანტესთან" ვთამაშობთ. 8 დეკემბრამდე ესპანეთის ჩემპიონატის ფარგლებში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები გველის და მათი დავიწყება არ ღირს.

ჩოგბურთი

# მოსალოდნელი ფინალი

მოსკოვში მიმდინარეობს ფედერაციის თასის გათამაშების ფინალური ეტაპი ჩოგბურთში ქალთა გუნდებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში გავიდნენ საფრანგეთისა და რუსეთის ნაკრები გუნდები. სწორედ ისინი გაითამაშებენ ტურნირის მთავარ პრიზს.

ეს გუნდები შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ფრანგებმა ნახევარფინალში დაამარცხეს რუსები. მაშინ საფრანგეთის ნაკრები თავისი ლიდერის ამელი მორესმო გარშემო იყო შემოკრებილი. წლეულს საფრანგეთის გუნდი ამ ფუფუნებას მოკლებულია. მორესმომ უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე იმ მოტივით, რომ სურს, რაც შეიძლება კარგად მოემზადოს მომავალი სეზონისთვის.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ნახევარფინალური ბარიერი ორივე გუნდმა წარმატებით დაძლია. ფრანგებმა ესპანელები გაანადგურეს - 5:0, ხოლო რუსებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს ავსტრიელები. თუმცა, იმ დროს, როცა ჩოგბურთელები ფინალის საგზურისთვის იბრძოდნენ, კორტებს მიღმა ნამდვილი სკანდალი მოხდა.





*"თუ შარაპოვას ნაკრებში მიიწვევენ, მე გუნდში აღარ ვითამაშებ" - ამბობს ანასტასია მისკინა.*

ოთხშაბათს რუსეთის ნაკრების ლიდერმა ანასტასია მისკინამ განაცხადა, რომ თუ ნაკრებში მარია შარაპოვას მიიწვევენ, ის ეროვნული გუნდის ღირსებას აღარ დაიცავს. "მე არ ვითამაშებ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც პატივს არ მცემენ, - თავისი სიტყვები დაადასტურა ანასტასია მისკინამ, - რატომ უნდა ვიყო მათთან ერთად საზოგადოებაში, ჩემთვის გაუგებარია". ნახევარფინალში გამარჯვების შემდეგ მისკინასა და ვარტუშის პრესკონფერენციაზე რუსეთის ნაკრების ლიდერს კვლავ დაუსვეს შეკითხვა, რომელიც მარია შარაპოვას ნაკრებში შესაძლო მიწვევას ეხებოდა.

მთელი სეზონის განმავლობაში მისკინა არცთუ კეთილგანწყობილი იყო თანამემამულის მიმართ. მეტიც, ის შარაპოვას თანამემამულედ არც კი მიიჩნევს. არ შეიძლებოდა, ასეთი დამოკიდებულება შარაპოვასთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო და მანაც დაიწყო რეაგირება მისკინას უპასუხისმგებლო განცხადებებზე. მისკინამ გარკვევით თქვა, რომ არ ითამაშებს გუნდში, თუ იქ მარია შარაპოვასაც მიიწვევენ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მასში გუნდის კაპიტანი შამილ ტარპიშევიც ჩაერია. ტურნირის დაწყებამდე ტარპიშევმა განაცხადა, რომ ნაკრებში შარაპოვას მიწვევას ჯერჯერობით არ აპირებს. "მაშა გუნდში პირდაპირ ავიყვანო?.. რამდენად სამართლიანი იქნება ეს დანარჩენი გოგონების თვალში? მათ თვალში, ვინც ნაკრებშია და იმათ თვალშიც, ვისაც ჯერ ეროვნული გუნდის ღირსება არ დაუცავს?.." ამიტომ შარაპოვა კიდევ კარგა ხანს ვერ დაიცავს რუსეთის ნაკრების ღირსებას.

ამასობაში ადვილი შესაძლებელია, ფინალში მისკინას ორმა მატჩმა გადაწყვიტოს კიდეც გამარჯვებულის ბედი. ტურნირის ორგანიზატორებმა პარასკევი თავიდანვე შეარჩიეს დასვენების დღედ. ტურნირი ოთხშაბათს დაიწყო და კვირას დასრულდება. ჩოგბურთელები გუშინ კორტებზე არ გამოსულან, მაგრამ 26 ნოემბერს მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის ფინალური მატჩის კენჭისყრა გაიმართა.

ჯერ გუნდის კაპიტნებმა შემადგენლობები დაასახელეს. რუსეთის ნაკრებში ცვლილებები არ მომხდარა. ტარპიშევის რჩეულები არიან: ანასტასია მისკინა, ვერა ზვონარევა, სვეტლანა კუზნეცოვა და ვერა ლიხოვცევა. ცვლილება არც საფრანგეთის ნაკრებში შეინიშნება. თუმცა, გარკვეული ინტრიგა შემადგენლობაში, რომელიც გი ფორჟეს უნდა დაესახელებინა, მაინც არსებობდა. საქმე ის არის, რომ ფრანგები იმედოვნებდნენ, ამელი მორესმოს უარის შემდეგ გუნდში ნაკრების პირველი ნომერი მარი პირსი ეხილათ. მათი გათვლით, პირსი კვირის ბოლოს მწყობრში უნდა ჩამდგარიყო. თუმცა, ფრანგთათვის სამწუხაროდ, პარასკევისთვის პირსმა ვერ შეძლო ტრავმის მოშუშება. ამიტომ, ისევე როგორც ნახევარფინალში, მის ადგილს კლასით შესამჩნევად დაბალ საფეხურზე მყოფი ემილი ლუა დაიკავებს. რუსეთის ნაკრების სამი დანარჩენი მეტოქე იქნება: ნატალი დეში, მარიონ ბარტოლი და წარმოშობით მოსკოველი ტატიანა გოლოვინი.

დღეიდან კორტებზე ჩოგბურთელები ასეთი თანმიმდევრობით გამოვლენ: შაბათს პირველად სვეტლანა კუზნეცოვა და ნატალი დეში ითამაშებენ. მათ შემდეგ იქნებიან ანასტასია მისკინა და ტატიანა გოლოვინი. კვირის საჩოგბურთო პროგრამას გახსნიან მისკინა და დეში, ხოლო შემდეგ კუზნეცოვა და გოლოვინი გამოვლენ. ფედერაციის თასის ფინალურ შეხვედრას დააგვირგვინებს წყვილთა შეჯიბრება. ერთმანეთს შეხვდებიან რუსეთის მხრიდან ვერა ზვონარევა-ელენა ლიხოვცევას წყვილი და ფრანგთაგან ემილი ლუა-მარიონ ბარტოლის დუეტი.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ წყვილთა შეხვედრა, ალბათ, არ იქნება გადამწყვეტი გამარჯვებულის გამოვლენის თვალსაზრისით. მორესმოსა და პირსის გარეშე ფრანგებს ძალიან გაუჭირდებათ რუსეთის საუკეთესო ჩოგბურთელებთან პაექრობა. მეტიც, სპეციალისტთა აზრით, ეს წარმოუდგენელიც კი იქნება. ტურნირის გამარჯვებული შეიძლება გამოვლინდეს უფრო კვირის პირველივე მატჩის შემდეგ, როდესაც ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან ანასტასია მისკინა და ნატალი დეში. ასეთ მატჩებში - 3:0 უკვე დამარცხებაა და დარჩენილი ორი მატჩი უფრო ფორმალური ხასიათის ხდება ხოლმე. რუსებს იმედი აქვთ, რომ ფინალის სცენარი სწორედ ასე განვითარდება და მათი გუნდი პირველ სამ შეხვედრას მოიგებს. თუმცა, ჯობს, მოვლენებს ნუ გავუსწრებთო, ამბობენ რუსი ჟურნალისტები. ფრანგებმა თავისი ძალა უკვე აჩვენეს, როცა ნახევარფინალში - 5:0 გაანადგურეს ესპანელები.

ფინალის კენჭისყრის პარალელურად გაიმართა ფედერაციის თასის მომავალი გათამაშების წილისყრაც. მომავალი ტურნირი უფრო განსხვავებული ფორმატით გაიმართება, ვიდრე წლევანდელი. "ოთხთა ფინალი" წლევანდელის მსგავსად აღარ ჩატარდება. ნახევარფინალი და ფინალი სხვადასხვა დროს გაიმართება: ნახევარფინალი - ივლისში, ხოლო ფინალი - სექტემბერში.

რუსეთის ნაკრები პირველ ნომრად არის განთესილი. მეორე საფრანგეთია, მესამე - აშშ, მეოთხე - ესპანეთი. ამ ნაკრებთა მეტოქე უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი განუთესელთაგანი - არგენტინის, ავსტრიის, ბელგიისა და იტალიის გუნდებიდან. რუსებს იტალიასთან შეხვედრა ხვდათ წილად.

რაგბი

# რუსული რაგბი ორად გაიყო

პაატა თოთაძე



რუსულ რაგბიში სკანდალის მიუხედავად, "დათვები" პორტუგალიის დამარცხებას მაინც შეეცდებიან.

ჩვენში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიივიწყეს ცოტა ხნის წინათ რუსეთთან მოგებული მატჩი. რუსეთში კი ჯერაც დიდი კამათია იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია მათი გუნდის მარცხი ქართველებთან.

რამდენადაც აქედან ჩანს, რუსების მთავარი პრობლემა კრასნოიარსკსა და მოსკოვს შორის დაპირისპირებაა. არცთუ დიდი ხნის წინათ რაგბის კავშირიც კრასნოიარსკში იყო და ნაკრებიც, ძირითადად, კრასნოიარსკელებით იყო დაკომპლექტებული. ერთი სიტყვით, რუსეთის რაგბის ცენტრად ეს ქალაქი ითვლებოდა. მაგრამ შეიცვალა კავშირის ხელმძღვანელობა, მერე - ნაკრების თავკაციც და ცენტრმაც ნელ-ნელა მოსკოვისკენ გადაინაცვლა. როგორც ჩანს, კრასნოიარსკში ამას დიდი სიხარულით არ შეხვდნენ და არეულობაც აქედან დაიწყო. ბუნებრივია, ამაზე ოფიციალურად არავინ საუბრობს, მაგრამ... მთავარი პრობლემაც, რუსთა აზრით, სწორედ ეს განხეთქილებაა.

"წინა სეზონში პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ გადავწყვიტე, ნაკრებიდან წავსულიყავი, მაგრამ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ არ დააკმაყოფილა ჩემი განცხადება. მერე მოხდა ავარია, რის გამოც ვერ შევძელი ნაკრების გაწვრთნა და ეს საქმე მირონოვს დაევალა. ახლა როგორ იქნება, არ ვიცი, კავშირის გადასაწყვეტია. თუმცა, ამ თამაშის შემდეგ მეც შემეცვალა აზრი. ვგრძნობ, ისევ შემიძლია ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა. დღეს გუნდში ისეთი მორაგბეები არიან, რომელთაც წარმატების მოტანა შეუძლიათ, მათი პოტენციალი კი გამოუყენებელი რჩება", - ეს რუსთა ყოფილი მწვრთნელის ალექსანდრ პერვუხინის სიტყვებია.

"არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მე ამ გუნდის მწვრთნელი ვარ და მომავალშიც გავატარებ იმ რეფორმებს, რომელსაც საჭიროდ ვთვლი. აქ სამუშაოდ ჩამოვედი და არა არაკომპეტენტური ხალხის აზრის გასაზიარებლად", - ეს უკვე იგორ მირონოვია, რუსეთის ნაკრების ახლანდელი თავკაცი.

როგორც ამბობენ, ეს დაპირისპირება ყოფილა იმის მიზეზი, რომ რამდენიმე მოთამაშე ნაკრებში არ გამოიძახეს. "ვფიქრობ, ის სწორად ვერ არჩევს მორაგბეებს. განა საფრანგეთში არ გამოჩნდა, ვინ რისი მაქნისი იყო? თანაც, გაუგებარია, რატომ აურია მოთამაშეებს პოზიციები", - ესეც ალექსანდრ პერვუხინია.

"ერთი რამ ზუსტად ვიცი. შემადგენლობას აყენებს მწვრთნელი და შედეგზე პასუხსაც ის აგებს. ახლა კი ვიტყვი იმას, რის გამოც დავმარცხდით. მოთამაშეებმა არ შეასრულეს მწვრთნელის დავალება. სანამ ასე იქნება, ვერავის ვერ მოვუგებთ. მწვრთნელი იმიტომ ჰყავს გუნდს, რომ შეარჩიოს სათამაშო ტაქტიკა, სტრატეგია. ურჩიოს მოთამაშეებს, თუ რა უნდა აკეთონ მოედანზე. როცა ეს არ სრულდება, წარმატებაზე საუბარი ზედმეტია. რაც შეეხება გამოუძახებელ მოთამაშეებს, ისინი ჩემს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ", - აცხადებს მირონოვი.

რატომ არ სრულდება მწვრთნელის დავალებები? რა არის ამის ბრალი - მირონოვის დაბალი კვალიფიკაცია თუ მოთამაშეების დაბალი კლასი? იქნებ ყველაფერი იმ დაპირისპირების ბრალია, რომელზეც საუბრობენ? ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი ჩვენს ჯგუფშია და ამ გუნდისგან პორტუგალიელთა დამარცხებას ველით, უინტერესო ნამდვილად არ უნდა იყოს.

"ვერ გეტყვით, რატომ ვერ შეასრულეს მოთამაშეებმა ჩემი დავალება. თვითონაც არ იციან, რატომ მოხდა ეს. თამაშის მერე რამდენიმემ მითხრა, რომ არ იცოდა, რა სჭირდა იმ დღეს. ძალიან ადვილია, თქვა, ვერ ვთამაშობ და არ ვიცი რატომ. საქმეც ისაა, რომ უნდა ითამაშო, ანდა იცოდე, რატომ ვერ თამაშობ, რომ მომავლისთვის მაინც გაითვალისწინო. ეს ერთი. მეორე ისაა, რომ ჩვენი მოთამაშეები რობოტებივით არიან. მათთვის არავის უსწავლებია აზროვნება მოედანზე. მწვრთნელი ზოგად მითითებებს იძლევა, მაგრამ მას არ შეუძლია, მოთამაშეს თითოეული ნაბიჯი უკარნახოს. ჩვენებს კი დამოუკიდებლად ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლიათ. ერთადერთი გრაჩოვი თამაშობდა. დანარჩენები - ვერ გავიგე, რას აკეთებდნენ. აქცენტი ისედაც ახალგაზრდებზე მქონდა გადატანილი, ახლა კი დავრწმუნდი, რომ შემადგენლობა სასწრაფოდ შესაცვლელია. გუნდი უნდა გაახალგაზრდავდეს", - აღნიშნა მირონოვმა.

როგორც ხედავთ, მწვრთნელებს ნაკრების მომავალზე სრულიად სხვადასხვა შეხედულება აქვთ - პერვუხინი ისევ ამ შემადგენლობით აპირებს მსოფლიო თასზე მოხვედრას, მირონოვს კი ეს შეუძლებლად მიაჩნია. გაურკვეველია კავშირის პოზიციაც. ჯერჯერობით არაა ცნობილი, მირონოვი დარჩება ამ პოსტზე თუ ადგილის დათმობა მოუწევს? იმასაც ამბობენ, პერვუხინი ნაკრებში ინტრიგებს ხლართავს და მირონოვს ამიტომაც არ გამოუვა არაფერიო და კავშირისგან უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანას ითხოვენ.

კალათბურთი

# გრანდი გრანტი

სანდრო ნავერიანი



გრანტ ჰილი ხუთი ოპერაციის შემდეგ მაინც დაბრუნდა.

ოთხშაბათს "ორლანდო მეჯიქმა" წლევანდელ სეზონში პირველი შეხვედრა წააგო თავის მოედანზე. პორტლენდელებმა "მეჯიქი" 89:83 დაამარცხეს. ორლანდოელთა ლიდერმა გრანტ ჰილმა სულ რაღაც 11 ქულა მოაგროვა, რაც 11,3 ნაკლებია მის საშუალო მაჩვენებელზე. თუმცა, გრანტ ჰილმა რვა საგოლე გადაცემა გააკეთა და დაიმსახურა 13438 გულშემატკივრის აპლოდისმენტები.

"მე აღფრთოვანებული ვარ მისით, - ამბობს "ტრეილ ბლეიზერსის" მთავარი მწვრთნელი მორის ჩიქსი. - გასაკვირი მარტო ის კი არ არის, რომ გრანტ ჰილი კარგად თამაშობს, არამედ ის, რომ საერთოდ თამაშობს".

ასეთ სიტყვებს საკმაოდ ხშირად გაიგონებთ გრანტ ჰილის მისამართით. "დეტროიტ პისტონზის" გენერალური მენეჯერი ჯო დუმარსი, რომელიც გრანტ ჰილთან ერთად ხუთი სეზონი თამაშობდა, გაზეთ USA TODAY-სთან ინტერვიუში ამბობს: "გრანტს ისე ვქომაგობ, როგორც არავის. მისნაირი კალათბურთელები საჭიროა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში". "პისტონზის" გენერალურმა მენეჯერმა ასევე თქვა, რომ გრანტ ჰილი მისაბაძია ყველა იმ ახალგაზრდისთვის, ვინც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კარს შეაღებს. 2001-2002 წლების ყოველკვირეულმა ჟურნალმა "სპორტინგ ნიუზმა" გრანტ ჰილი დაასახელა "სპორტის სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე კარგ ბიჭად". ახლა კი, როდესაც ხუთი მძიმე ოპერაციის შემდეგ გრანტ ჰილი დაუბრუნდა კალათბურთს და ისევ მაღალ დონეზე თამაშობს, არ არის გამორიცხული, რომ გახდეს წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი გმირი.

გრანტ ჰილი თავის პირველივე სეზონში ვარსკვლავი გახდა. 1994 წლის ზაფხულში "დეტროიტ პისტონზმა" გრანტ ჰილი აირჩია დრაფტის პირველ რაუნდში. ჰილმა დეტროიტში ექვსი სეზონი გაატარა. ამ პერიოდში მას რეგულარულად ირჩევდნენ ყველა ვარსკვლავის აღმოსავლეთ კონფერენციის შემადგენლობაში. 2000 წლის ზაფხულში ჰილმა კონტრაქტი გააფორმა "ორლანდო მეჯიქთან". მას შემდეგ, რაც ორლანდოში გადაბარგდა, სულ რაღაც 47 მატჩი ჩაატარა. შარშან კი ერთხელაც არ უთამაშია. როდესაც გრანტ ჰილი "ორლანდო მეჯიქში" გადავიდა, უკვე ტრავმირებული იყო. 2000 წელს მას ოპერაცია გაუკეთეს. იმ წელს მან მხოლოდ ოთხ მატჩში ითამაშა. ამის შემდეგ ის კვლავ აღმოჩნდა საოპერაციო მაგიდაზე. მეორე ოპერაციის შემდეგ 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო 2001 წელი. მომდევნო წელს 29 შეხვედრა კი ჩაატარა, მაგრამ მისი შემხედვარე გულშემატკივარიც კი გრძნობდა, თუ როგორ ტკივილს განიცდიდა კალათბურთელი. ამის შემდეგ ჰილმა ისევ გაიკეთა ოპერაცია, უკვე მესამედ. 2004 წლის მარტში მას მეოთხე ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ დაეწყო მაღალი სიცხეების ციკლი. ტემპერატურა 40 გრადუსის ქვევით არ იწევდა. სასწრაფო დახმარებამ ის საავადმყოფოში გადაიყვანა. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ნაოპერაციებ ჭრილობაში ინფექცია შეჭრილიყო. ჰილს მეხუთედ გაუკეთეს ოპერაცია. უკვე იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ მისი სპორტული კარიერა დასრულებულია. მაგრამ, როგორც ხედავთ, ჰილის ვარაუდი არ გამართლდა.

გრანტ ჰილის მამა კალვინ ჰილი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო. მან სამჯერ მიიღო ტრავმა, თანაგუნდელებმა სამჯერ გადაუსვეს წითელი ხაზი, მაგრამ მან შეძლო, აქტიურ სპორტს დაბრუნებოდა. ახლა, როდესაც საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ წვალობდა მისი შვილი, აცხადებს: "ჩემთვის ორჯერ უფრო საამაყოა ის, რომ მე მაჯობა. მან სპორტში დაბრუნების არაჩვეულებრივი ჟინი გამოამჟღავნა".

გრანტ ჰილმა ისიც განაცხადა, რომ შეიძლებოდა, წლევანდელი სეზონიც გამოეტოვებინა: "აქტიურ სპორტს მაშინ უნდა დაუბრუნდე, როდესაც არაფერი გაწუხებს და დარწმუნებული ხარ, პირველი მეოთხედის შემდეგ არ დაგჭირდება, მწვრთნელს სთხოვო, გამომცვალეო. გრანტ ჰილი გამუდმებით ვარჯიშობდა ინდივიდუალურად. ის ყოველდღე, დღეში ორჯერ დადიოდა შაკილ ო`ნილის სახლში და ვარჯიშობდა. შაკილ ო`ნილმა ეს სახლი "ორლანდო მეჯიქში" თამაშის პერიოდში შეიძინა და, როდესაც "ლეიკერსში" გადავიდა, სახლი არ გაუყიდია. გრანტ ჰილი კი, მას შემდეგ, რაც ორლანდოში გადავიდა, შაკილ ო`ნილის გვერდით დასახლდა. შაკმა გრანტ ჰილს თავისი სახლის გასაღები მისცა და უთხრა: ივარჯიშე რამდენიც გინდა. ჩემი სახლის სპორტული დარბაზი ყოველთვის ღიაა შენნაირი ადამიანებისთვის.

შარშანდელ სეზონში "ორლანდო მეჯიქის" კულუარებში ალაპარაკდნენ იმის შესახებ, რომ გრანტ ჰილს დრაფტზე დააყენებდნენ. თუმცა, ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, რომ კლუბი ჰილს პენსიაზე გაშვებას უპირებდა. "ორლანდო მეჯიქის" გენერალურმა მენეჯერმა ჯონ ვაისბროდმა განაცხადა, რომ გრანტ ჰილის პენსიაზე გაშვებას არავინ აპირებდა, რაც შეეხება დრაფტზე მის დაყენებას, ეს საკითხი, მართლაც, განიხილებოდა კლუბის დირექტორატის მიერ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჰილი საოცრად კარგად ათამაშდა და მე პირველი ვარ, ვინც ამას მიესალმება. ამიერიდან კლუბის დირექტორატი მხოლოდ იმაზე იმსჯელებს, თუ როგორ გავუგრძელოთ გრანტ ჰილს კონტრაქტი. ის ხელშეუხებელია.

ეს განცხადება ვაისბროდმა ჯერ კიდევ რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე გააკეთა. როგორც ხედავთ, ვაისბროდი არ შემცდარა - ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის შეფობამ გრანტ ჰილი გასული კვირის აღმოსავლეთ კონფერენციის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელა.

"დაგეხმარათ თუ არა შაკის სპორტულ დარბაზში ვარჯიში?" - ჰკითხა გრანტ ჰილს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა. "როგორც კი გავიგე, შაკი "მაიამი ჰიტში" ითამაშებდა, მაშინვე დავუბრუნე სახლის გასაღები. ჩვენ და "ჰიტი" ერთ დივიზიონში გამოვდივართ და როგორ შეიძლება, მტერთან ერთად, ერთ დარბაზში ივარჯიშო?" - მხიარულად უპასუხა გრანტ ჰილმა. თუმცა, შემდეგ მთელი სერიოზულობით დაამატა: "ულრმესი მადლობა შაკილ ო`ნილს. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ აქტიურ სპორტს დავუბრუნდი".

32 წლის გრანტ ჰილი მოვლენებს არ უსწრებს. კითხვაზე, თუ როგორი შედეგი ექნება წლევანდელ სეზონში "ორლანდო მეჯიქს", პასუხს თავს არიდებს. მით უმეტეს, არ პასუხობს კითხვაზე, თუ როგორ ითამაშებს თავად გრანტ ჰილი. "ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, ის არის, რომ თუ კიდევ ერთხელ მომიხდა საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა, მაშინ ჩემი სპორტული კარიერა დამთავრდება".

მძლეოსნობა

# მდინარაძე ვერ ღალატობს სპორტის დედოფალს

ბიგა ბურასაშვილი

*ქართული მძლეოსნობის სამყაროში რეკორდი დამყარდა. სპორტის დედოფალს ახალი, მაგრამ კარგად ნაცნობი პრეზიდენტი ჰყავს. თამაზ მდინარაძე 1989 წლიდან უდგას სათავეში საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას. რეკორდიც სწორედ ეს არის. საქართველოს სპორტულ ფედერაციათაგან თამაზ მდინარაძე ერთადერთია, ვინც 15 წელიწადი განაგებს სარბენ ბილიკებს.*

ერთხელ ცხონებულ იტალიელს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ პრიმო ნებიოლოს მდინარაძისთვის უკითხავს: მართლა ასეთი მაგარი ხარ, რომ ამდენ ხანს ინარჩუნებ პრეზიდენტის სავარძელსო? მდინარაძეს უპასუხია: ჩემზე ძლიერი ადგილს მითმობს და სუსტებს ისედაც ვერევიო!

ერთი სიტყვით, თამაზ მდინარაძეს მეექვსე ვადით ჩააბარეს ქართული მძლეოსნობა.

გუშინ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სააქტო დარბაზმა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის საანგარიშო-სარჩევნო ყრილობას უმასპინძლა. მასპინძელმა და მომხსენებელმა თამაზ მდინარაძემ 53 დელეგატსა და სტუმარს თითქმის ერთსაათიან მოხსენებაში სარბენი ბილიკების წარსული და აწმყო შეგვახსენა. თუმცა, ვიდრე საქმეს შეუდგებოდა, გვითხრა: დაწერილი მოხსენების კითხვა ადვილია. მაგრამ მირჩევნია, ის ვთქვა, რასაც ვფიქრობო. მოგვიანებით, როდესაც ხანგრძლივი გამოსვლა დაასრულა, დასძინა, მოხსენება რომ წამეკითხა, აქამდე მოვრჩებოდიო.

ახლა იმაზე, რაც თქვა. თავდაპირველად ბოდიში მოგვიხადა, 16 წლის განმავლობაში ერთ ადამიანს უყურებთ, მაგრამ რა ვქნა, ამაში ისევ თქვენ ხართ დამნაშავეო, - შესჩივლა ყრილობის დელეგატებს.

"ჩემი ხელმძღვანელობისას რთული და მძიმე პერიოდი გადავიტანეთ. განსაკუთრებით 1991-2000 წლებში. მძლეოსნობის ფედერაცია ამ ხნის განმავლობაში სასაცილო ბიუჯეტით ფინანსდებოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ დამოუკიდებლობის ხანა იოლი არ იქნებოდა. ეს კიდევ არაფერი. ყველაზე საშინელება ის იყო, რომ მძლეოსნობა სრულიად იგნორირებული აღმოჩნდა. 2000 წლის შემდეგ, რაც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ირაკლი მეძმარიაშვილი ჩაუდგა სათავეში, მივხვდით, რომ საჭირო ვყოფილვართ. რაღაც წარმატებებზე ფიქრიც კი დავიწყეთ. ზოგიერთ საერთაშორისო ასპარეზობაზე გარკვეულ შედეგებს მივაღწიეთ. საფუძველი ჩაეყარა მაია აზარაშვილის სახელობის ბორჯომის საერთაშორისო კროსს. წლეულს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე სამი სპორტსმენით ვიასპარეზეთ. მართალია, ზოგიერთებს საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მიერ მოპოვებული ოთხი მედალიც არ მიაჩნიათ წარმატებად და, შესაბამისად, ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, თუ რა ქილიკის საგანი ვხდებით, მაგრამ... რა შედეგებზე შეიძლება საუბარი, როდესაც ჩვენი ბირთვის მკვრელზე მაია ქევხიშვილზე სამი ათასი დოლარი დაიხარჯა მომზადებისთვის, იმდენი, რამდენსაც სერგეი ბუბკას უხდიდნენ მხოლოდ ტაქსისთვის, რომ ჭოკი სარბიელამდე მიეტანა. ჩვენი სამხტომელი იულია დუბინა კი სულაც პირველად გავიდა საერთაშორისო სარბიელზე, თანაც, ოლიმპიურ თამაშებზე, რომელსაც ასი ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალყურს. მიკვირს, ამდენი ადამიანის დანახვაზე საერთოდ როგორ არ გაიქცა ოლიმპიური სტადიონიდან; დავით ილარიანმა 33-ე ადგილი დაიკავა. არაა კარგი შედეგი, მაგრამ მაშინ, როდესაც გარეთ უფრო თბილა, ვიდრე მძლეოსნობის მანეჟში, მაშინ როდესაც გარეთ წვიმს და შიგნით კიდევ ხუთი დღე გრძელდება წვიმა, ასეთი პირობებიდან ოლიმპიურ სარბიელზე რომ მოხვდები, რისი იმედი უნდა გქონდეს?!

...არ მესმის, რატომ არა აქვს "ლოკომოტივის" სტადიონს სარბენი ბილიკები? როგორ შეიძლება ფეხბურთი სირბილის გარეშე? ამიტომაცაა, რომ კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ.

ერთი სიტყვით, მძლეოსნობას ყურადღება არ ექცევა. მალე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. აქვე გეტყვით, არც ერთ მდიდარ კაცს მხარს არ დავუჭერ, რისი მწარე გამოცდილებაც მაქვს. მინდა, ვიცოდე, ვინც სეოკ-ის პრეზიდენტად მოვა, რას გააკეთებს მძლეოსნობისთვის".

თამაზ მდინარაძის სიტყვისა და სარევიზიო კომისიის გამოსვლის შემდეგ იმის დროც დადგა, რისთვისაც გუშინ სპორტის აკადემიაში შევიყარეთ. მდინარაძემ ავანსცენა დატოვა და ქვევით ჩამობრძანდა. დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში ქართული მძლეოსნობა უთავკაცოდ დარჩა. აქვე გეტყვით, რომ გუშინდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ერთადერთი კანდიდატი ჰყავდა. კენჭისყრა ღიად ჩატარდა. ყრილობის 53 დელეგატმა მდინარაძე ერთხმად აირჩია. პრეზიდენტის სავარძელი კვლავაც მის მფლობელობაში გადავიდა. როგორც უკვე გითხარით, ის მეექვსე ვადით აირჩიეს!

"თუ ვინმეს უნდა პრეზიდენტობა, მოვიდეს. ქუჩა-ქუჩა დავდივარ და ხალხს ვეკითხები, ვინმეს ხომ არ გინდათ პრეზიდენტობამეთქი. მსურველი ვერავინ ვნახე".

ყრილობის დელეგატებს პირველი ვიცე-პრეზიდენტიც უნდა აერჩიათ. პირდაპირ გეტყვით: ასევე ერთადერთი კანდიდატი ყარამან საბანაშვილიც ერთხმად აირჩიეს, ისევე როგორც ფედერაციის მოქმედი გენერალური მდივანი მაია აზარაშვილი - მოცილე არც მას ჰყოლია. შედარებით რთული იყო მეორე ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები, რადგან ორი კანდიდატი იყო - გივი ბედოშვილი და ვასო ბერიშვილი. აქ არჩევნები ფარული კენჭისყრით ჩატარდა. დაახლოებით ათ წუთში შედეგები გამოცხადდა: 36 ხმით 24-ის წინააღმდეგ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ბედოშვილს დარჩა.

TV-სპორტი

## შაბათი. 27 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:30 NBA TV. სეზონი 2001-2002. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "PHOENIX SUNS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. "დინამო" (უკრაინა) - "რომა"
14:10 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. პსჟ - "არსენალი"
16:05 თავისუფალი დარტყმა
16:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "მაინცი"
19:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლიონი" - "ოსერი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:00) - თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 "ფუტბოლისტიკა"
21:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მარსელი" - "ნანტი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ესპანიოლი" - "ატლეტიკო". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: მეჯიკ ჯონსონი
03:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:00 NBA TV - დღიური
04:30 NBA TV. "SAN ANTONIO SPURS" - "UTAH JAZZ". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**

09:00 "ჰარმონიის ფორმულა"
10:00, 13:30 პრესცენტრი
10:20 "ქრონიკა"
10:25 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
10:55 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
11:25 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:45 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
14:25 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "CUP OF RUSSIA". პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
23:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. შესვენებისას ():15) - ახალი ამბები
02:15 02:15-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ერიკ მორალესი - მარკო ანტონიო ბარერა. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**

10:30 სკელეტონი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
11:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
12:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
15:00 ფეხბურთი. 19 წლამდე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში
18:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში
20:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
22:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:15 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალი



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# საზოგადოებრივი სანიტარიის აუცილებლობა

მსოფლიოში ცნობილი პოლონური წარმოშობის ამერიკელი მხატვარ-პლაკატისტის რაფაელ ოლბინსკის შემოქმედებისადმი ქართული მასმედიის დიდი ინტერესიდან გამომდინარე, წერილის დაწერას აღარ ვაპირებდი. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის მიერ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სტუდენტებისთვის ჩატარებული მასტერკლასის, მისი შედეგების და თვით გამოფენის აღფრთოვანებული მოწმე ვიყავი, მაინც ჩავთვალე, რომ ჩემი აზრის გამოთქმა საჭირო აღარ იყო. მაგრამ, ორი დღის წინ ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გამოფენილი ოლბინსკის ნამუშევრების ბარბაროსულად განადგურების მიმართ გულგრილი ვერაფრით დავრჩებოდი. საქველმოქმედო მიზნით ჩამოტანილ-გამოფენილი ხელოვნების ნიმუშების ერთი ქართველი ვანდალის მიერ დახევა, მიმაჩნია, არაფერია, ჩვენი საზოგადოების სირცხვილისა და შეურაცხყოფის გარდა.

როდესაც გურამ შარაძე "ვეფხისტყაოსნით" სპეკულირებდა და "მაკდონალდსს" გამორჩენის, წიგნის დაბეჭდვის მიზნით აშანტაჟებდა - ქართული საზოგადოება დუმდა. როდესაც შარაძემ, პირველი, სულერთია რა შინაარსის, წიგნი საჯაროდ დაწვა, საზოგადოება დუმდა. როდესაც შარაძემ შეურაცხყოფის გარეშე არც ერთი სიწმინდე არ დაგვიტოვა - მაშინაც ვდუმდით. როდესაც, რელიგიიდან, რწმენიდან დაწყებული, საკუთარი შვილის ტრაგედიით დამთავრებული, ყველაფრით სპეკულირებდა - ვდუმდით. როდესაც შარაძემ ენა, მამული, სარწმუნოება შეგვილახა - ვდუმდით.

შარაძემ კი ამასობაში უმატა. და დღეს, როგორც ელემენტარული ნახატების დამხევი, ფიზიკურად გამანადგურებელი ხულიგანი მოგვევლინა. ესეც ჩვენი საზოგადოებრივი ლოიალობის შედეგი! ეტყობა, ადამიანის პიროვნული დეგრადირების პროცესი საკმაოდ მძიმე, შეუჩერებელი, უსასრულო და განუკურნებელი სენია. მგონი, დადგა დრო (თუ გვიან არ არის), რომ ვანდალს - ვანდალი, სპეკულანტს - სპეკულანტი, უზნეოს - უზნეო, შანტაჟისტს - შანტაჟისტი ვუწოდოთ, საზოგადოების სირცხვილი ერთხელ მაინც ვაღიაროთ და ერთხმად გამოვუტანოთ მკაცრი განაჩენი.

საზოგადოებრივ ნაგავს, პიროვნულ ხრწნას არანაკლებად მომწამვლელი სუნი აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ ნაგავს და მისი ადგილიც სანაგვეზეა. ეს იქნება ქართული საზოგადოების სანიტარული აქცია, რომელიც, მერწმუნეთ, აუცილებლად ჩასატარებელია.

# რევოლუციას სიყალბე საიდან შეეპარა?!

მართალი გითხრათ, გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ "ვარდების რევოლუციისადმი" მიძღვნილი წიგნი გამოუშვეს. ვერაფრით წარმომედგინა, ვის ან რა შეიძლება დაეწერათ. ამიტომ მერიაში წიგნის საზეიმო პრეზენტაციაზე მისულს, საკმაოდ მომეშვა. აღმოვაჩინე, რომ წიგნი "ვარდების რევოლუცია" სარეკლამო-საგამომცემლო კომპანია "ჯი ეი თი"-მ თავისთვის ჩვეული მაღალი ხარისხით დაბეჭდა და ბევრი ჩვენთაგანისთვის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური, დაძაბული, მღელვარე პერიოდის ამსახველ ფოტოქრონიკას წარმოადგენს. მერიის დარბაზის კედლებზე გამოფენილი და წიგნში გამოყენებული ფოტოების გადახედვისას, მივხვდი, რომ ერთი წლის წინანდელი განცდა, ემოცია სრულებითაც არ გამნელებია. ნოემბრის წვიმიანი დღეების ამსახველი ყველა კადრი დღესაც მწვავედ მახსოვს, გულგრილს არ მტოვებს. ახლად გამოცემული წიგნის რეტროსპექტული ჩანაფიქრი მოვლენების ზუსტ თანმიმდევრობას ასახავს. ორი ნოემბრის არჩევნების დილით იწყება და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პორტრეტითა და - "ღმერთი ჩვენთანაა, საქართველოს ნათელი მომავალი ექნება!" - სიტყვებით მთავრდება. ფურცლავ წიგნს და ნათლად ხედავ, როგორ იცვლებოდა ამინდი, თვალები, პორტრეტები, ემოციები. დაძაბულობა იზრდება. სიტუაცია მწვავდება. ხალხი ქუჩაში ყოველწამიერად მატულობს. კიდევ ერთ ფურცელს გადაშლი და დაძაბულობას გამარჯვების ზეიმი ცვლის. ყველა ზეიმობს.

მერიაში წიგნის დათვალიერებისას მიღებული ემოციის, მოგონების მიუხედავად, რევოლუციური დღეების ამსახველი უნიკალური კადრების, რომელთა ზღვა მასალა არსებობს, უკმარისობის გრძნობა გამიჩნდა. უცნაურია, მაგრამ, რატომღაც, რევოლუციისადმი მიძღვნილ წიგნში ბევრად მეტი ადგილი პოსტრევოლუციურ ეტაპს აქვს დათმობილი. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძის პორტრეტები, რევოლუციური ლიდერები, აქტივისტები, საახალწლო ზეიმი თბილისის ქუჩებში ზურაბ ჟვანიას ოჯახური იდილიის ფონზე, საპრეზიდენტო არჩევნები, პრეზიდენტის ოჯახის ფართო პორტრეტული გალერეა, მთავრობის ოფიციალური წარდგენა საზოგადოებისადმი და მიხეილ სააკაშვილის ათობით ძალიან კარგი ხარისხის ფოტო - დონალდ რამსფელდთან, პუტინთან, უბრალო ხალხთან, მისი პირველი ინტერვიუ, მისი სადილი, მისი პროფილი, ანფასი, ინაუგურაცია, ქუთაისი, აღმაშენებლის საფლავთან, კოლინ პაუელის ვიზიტი. ასლან აბაშიძესთან ერთად ბათუმში მიღებული აღლუმი. საპარლამენტო არჩევნებზე ურნასთან. ევროსაბჭოში, კუჩმასთან, შრიოდერთან. ამ ერთი წლის განმავლობაში პრეზიდენტის მიერ გატარებული ფაქტობრივად ყველა ღონისძიება, ვიზიტი, გამოსვლა, შეხვედრა. მისი ემოციები, ფიქრები, წიგნის ავტორების მიერ დართული მცირეოდენი კომენტარებით - "პრეზიდენტი მშვენიერ გუნებაზეა!", "პრეზიდენტი იწყებს მოგზაურობას", "ღირსეული პრეზიდენტი" და ა.შ. რევოლუციური თბილისის, ბათუმის, ზუგდიდის, წვიმაში ერთი თვე ქუჩაში მდგომი და გამარჯვება მოპოვებული ხალხის კი ერთეული ფოტოები. უცნაურია, წიგნის ავტორებს რატომ არ მოუნდათ, არ მოაფიქრდათ პრეზიდენტის ათეულობით ფოტოს პარალელურად "გამარჯვებული ხალხის" მეტად ასახვა? მისი გადამწყვეტი როლი რატომ დააკნინეს? ბათუმში განვითარებულ ურთულეს დღეებს, გამარჯვების შემდგომ თბილისისთვისაც კი შესაშურ საყოველთაო ზეიმს არაფრის მთქმელი ორი ფოტო რატომ მიუძღვნეს? თბილისისკენ დაძრული შუქებანთებული მანქანების კოლონის ცნობილი შორი პლანიდან გადაღებული ფოტო, რომელიც, ჩემი აზრით, ფოტო-ხელოვნების, ხალხის ნების ამსახველია, "ვარდების რევოლუციის" სიმბოლოა, წიგნში რატომ არ შეიტანეს? ნუთუ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ფოტოზე არც პრეზიდენტი და არც სხვა რომელიმე ლიდერი არ ჩანს? რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ რევოლუციის დღეების, დღე და ღამე ქუჩაში მდგომი ხალხის, მათი სახეების, ემოციების, სიმტკიცის, ერთიანობის ამსახველი ფოტოები ცოტა მეტი რომ შეერჩიათ, წიგნი ოდნავ ნაკლებად "პადხალიმური", პირფერული და უფრო რეალური, გულწრფელი, ნაღდი იქნებოდა. პრეზიდენტს კი, საკუთარი თუნდაც ძალიან კარგი პორტრეტების ოდნავი სიმცირის მიუხედავად, უფრო მოეწონებოდა, ესიამოვნებოდა. თუ, რა თქმა უნდა, წიგნი მართლაც "ვარდების რევოლუციას" ეძღვნება და არა მიხეილ სააკაშვილის ერთწლიან ბიოგრაფიას.



წიგნი სახლში მივიტანე. კიდევ ერთხელ უფრო დეტალურად, დაკვირვებით, ისევ ემოციის თანხლებით დავათვალიერე. წინასიტყვაობა წავიკითხე... და აი, აქ მივიღე პასუხი ჩემს უკმარისობის შეგრძნებაზე. წარმოუდგენლად პრიმიტიული, არაფრისმთქმელი თხრობა - "საპარლამენტო არჩევნების დღე იყო. მანამდე კი...", " ცხოვრების ამგვარმა უკუღმართობამ ხალხის უკიდეგანო უკმაყოფილება კიდევ უფრო გააღვივა და მრისხანებაში გადაზარდა," " ხალხი თანდათან ღიზიანდება," " აფუთფუთდა თბილისი. ისევ გაყალბებას აპირებენ!", "ან ახლა, ან არასოდეს! - ასეთია " ტრიუმვირატის" პასუხის პასუხი და ... დაიწყო!" მსგავსი არაგულწრფელი, უემოციო, მოგონილი, თითიდან გამოწოვილი სიტყვებით გაჯერებული, ყოველგვარ განცდას მოკლებული ტექსტი ძნელი წარმოსადგენია.

"გადადექი, გადადექი!"- უყვირის "მიშა" ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტს.

" არ გადავდგები!" - პასუხობს გაშეშმიშებული "ედო." გემოვნების თვალსაზრისით ამ ციტატის გარჩევას, მე მგონი, აზრიც არა აქვს. ისედაც ყველაფერი ნათელია. უბრალოდ, მაინტერსებს, წიგნის ავტორებისთვის, კონსულტანტებისთვის, დამფინანსებლებისთვის (ფოთის პორტი) ედუარდ შევარდნაძე "ედო" დიდი ხანია, რაც გახდა? თუმცა, პასუხი ამაზეც ვიცი - ერთი წელია.

სრულიად გაუგებარია, ქართველი ხალხის უდიდეს, ერთიან გამარჯვებაზე წიგნის გამოცემას თუ აპირებ, რატომ არ შეიძლება, რომ კონსულტანტებად ისეთი პიროვნებები მოიწვიო, რომლებმაც მთელი ეს მოვლენები პრიმიტიული გადმოცემით, მონაყოლით არ იციან, ყველაფერი თავის მხრებზე გადაიტანეს და რომელთა მოგონებები, ნანახი და განცდილი ბევრად უფრო სუფთა, გულწრფელი და ყოველგვარ სიყალბეს მოკლებული იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მე, როგორც "ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი თანამედროვე და ჩემს ერში კიდევ ერთხელ დანახული თვისებებით ამაყი, წიგნის გამოცემით მადლიერი მაინც ვიქნები, მერწმუნეთ, ამ სასიკეთო საქმის გაკეთება ბევრად უფრო სწორად, გემოვნებით შეიძლებოდა.

2003 წლის ნოემბერში მომხდარ "ვარდების რევოლუციას" სიყალბის ნატამალი არ ჰქონია. მაშ, მისადმი მიძღვნილ წიგნში საიდან შეიპარა?

# „მე მიყვარს ჩემი სამშობლო"

"მე მიყვარს ჩემი სამშობლო, სენტიმენტალურადაც კი, ამიტომ ვცდილობ, შეძლებისდაგვარად მოვეფერო და მადლობა ვუთხრა მას იმისათვის, რომ ქართველად გავჩნდი, რადგან მიმაჩნია, რომ ქართველობა პირველ რიგში სულის მდგომარეობაა."

ასე ფიქრობს მხატვარი გია ბუღაძე და "ძველ გალერეაში" წარმოდგენილი დიდი სერიის "საკრალური ტევრის" ნამუშევართა ნაწილს (ყველა არ დაეტია) და მათი მეშვეობით ჩვენი ქვეყნის, მისი ისტორიის, სულიერების, დრამატული, ამაღლებული წარსულის ამსახველ მისტიკურ ტყეში შესვლას გვთავაზობს.

"ჩემ მიერ ახლა წარმოდგენილია სერია, ეგრეთ წოდებული მემორაბილიაა - ერთგვარი გახსენების გზით, ისტორიულ არსში სახელოვნებო ინტუიციით, ცნობიერებით შესვლის მცდელობაა, რადგანაც ისტორიული წარსული, თავისი არსით იმდენადვე თანამედროვეა, რამდენადაც იდუმალი, იგი ამ იდუმალებით ალსავსე ხიბლით მოიცავს არა მარტო თვით გარდასულ დღეთა მნიშვნელობებს, არამედ განსაკუთრებული ნიშნებით მიუთითებს მომავალზეც."

საქართველოს მდიდარი ისტორია. სხვადასხვა ეპოქის ჰერალდიკა და მისი სიმბოლური მნიშვნელობები. ქართული დროშები, ალმები, შტანდარტები, გვირგვინები, ტახტები... ქართველ მეფეთა აჩრდილები. ერის, ქვეყნის წარსული და მისგან დანახული აწმყო, მომავალი. უამრავი დასმული შეკითხვა და მათზე პასუხის გაცემის მცდელობა. ღირებულებების ანალიზი. ფასეულობათა გახსენება. იდუმალი, დრამატული და ამაღელბული განწყობის მქონე უღრანი ტყის, გამხმარი, ფოთოლგაცვენილი, მაგრამ ფესვებძლიერი მუხის ხეების ლაბირინთში გავლის შედეგად გაჩენილი ფიქრი, სევდა, მომავლის იმედი, სიამაყის გრძნობა და რეალური აღქმა იმისა, რომ შენც გია ბუღაძესავით გიყვარს შენი სამშობლო.

# „აჭარის" აჭარული შარმი





და არა მარტო შარმი. იშვიათი გემოვნებით შერჩეული, საცეკვაოდ ოპტიმალური სოულ მუსიკა. ლამაზად გაშლილი ნაირფეროვანი "ალაფურშეტი". თეთრსუფრებგადაფარებულ მაგიდებზე ანთებული თეთრი სანთლები. რბილი სავარძლების განსაკუთრებული კომფორტი. სიმყუდროვე. თავაზიანი მომტანები. უამრავი ხალხი. არავითარი კონფლიქტები, ჩხუბები, გაწევ-გამოწევები. ყველას ერთი და იგივე მხიარული, საზეიმო, მეგობრული განწყობა. რითმული ცეკვა. უამრავი ნაცნობი. ბევრი ღიმილი, კომპლიმენტები.

ჩემი ბათუმელი მეგობრების უმეტესი ნაწილი თბილისში ჩამოსულა. მიძინებულ, რომ არა ვთქვათ, მკვდარ, მოუვლელ, მიტოვებულ, ყურადღებამოკლებულ, მაგრამ მათთვის ასეთ ძვირფას, საყვარელ ბათუმს შეელიენ. ტოტალურ უმუშევრობას, უსაქმობას, უინტერესობას, საღამოს წასასვლელის, გასართობის უქონლობას გამოექცნენ. თბილისში საარსებო წყაროს, საქმის, სამსახურის, გართობის საძიებლად ჩამოვიდნენ. ისინი ხომ ახალგაზრდები არიან!

23 ნოემბერს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ბათუმის ერთ-ერთი კოლორიტის, ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი დათო დანელიას (მავნე) მიერ მოწყობილი საღამოს მეშვეობით კი მხოლოდ ბათუმისთვის და ბათუმელებისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვის, შარმის მქონე განწყობა, აურა ჩვენც ჩამოგვიტანეს.









# ლიტერატურული გაზეთის ახალი ნომერი

ლიზა ციციშვილი

გუშინ ლიტერატურულ კაფე "პარნასში" მოეწყო გაზეთ "პარნასის" რიგით მესამე ნომრის პრეზენტაცია. გაზეთი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოდის. სხვა თუხეთმეტ ლიტერატურულ გამოცემასთან ერთად გაზეთმა ტენდერშიც გაიმარჯვა.

გაზეთის გამოცემის იდეა თბილისში, გაზაფხულზე გამართულ წიგნის ბაზრობაზე გაჩნდა. ამ იდეას მხარში ამოუდგნენ წიგნის მაღაზია "პარნასის" ხელმძღვანელები ლევან თითმერია და გია დარსალია.

სხვა ლიტერატურული გამოცემებისგან განსხვავებით ეს გაზეთი სამენოვანია - მასალები იბეჭდება ქართულად, რუსულად და ინგლისურად. თუმცა, გაზეთის ძირითადი ნაწილი მაინც ქართულია. მესამე ნომერში, მაგალითად, გამოქვეყნდა აკა მორჩილაძის რომანის"გადაფრენა მადათოვზე და უკან" ფრაგმენტის რუსული თარგმანი. გამომცემლების თქმით, თბილისი მრავალენოვანი ქალაქია და სწორედ ამან განაპირობა გაზეთის სამენოვნება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ სამი ნომერი გამოვიდა, გაზეთ "პარნასში" უკვე დაიბეჭდა დაახლოებით 65 სხვადასხვა ავტორის ნაწარმოები.

მესამე ნომრის ავტორებს შორის არიან ზაზა თვარაძე, თამარ ფხაკაძე, ირაკლი ლომოური, დანილ ჰარმსი, დავით მაღრაძე, ვასილი შუკშინი და სხვები.

გაზეთ "პარნასის" ტრადიციაა, ასევე ინტერვიუები საზოგადოებისათვის ცნობილ, რეიტინგულ ადამიანებთან; საუბრები ინტერვიუში მიმდინარეობს მხოლოდ ლიტერატურაზე. გაზეთის ბოლო ნომრის სტუმარია ნინო ანანიაშვილი.

ახალი ნომრის პრეზენტაცია ძალზედ სასიამოვნო გარემოში მიმდინარეობდა: კაფეში უამრავმა ნაცნობმა სახემ, ლიტერატურის მოყვარულმა ადამიანმა მოიყარა თავი. პრეზენტაციამ ძალიან დაიგვიანა, რამაც საერთოდ არ გამაკვირვა, დანიშნულ დროს საქართველოში ხომ თითქმის არაფერი იწყება.

გაზეთის შემდეგი ნომრის გამოცემა 26 დეკემბერს არის დაგეგმილი. ამ დღეს მაღაზია "პარნასის" დაბადების დღეა და ზუსტად ამ თარიღს უკავშირებენ გაზეთის გამოსვლას, რა თქმა უნდა, თუ არ დააგვიანეს.

## ფოტოგალერეა



ათინათი.

ავტორი: დოდო გაბეხაძე

## სკანვორდი



1. ქმრის და; 2. ვაჟა-ფშაველას პოემა; 3. ზღვრული ნორმა; 4. სახელმწიფო დაწესებულების სადგომის უფროსი; 5. რუსი ჩოგბურთელი; 6. წამლის ფორმა; 7. კონტრევოლუციური მოძრაობის წევრი შუა აზიაში; 8. შტატი ბრაზილიაში; 9. წონა-ზომის ზუსტი ნიმუში; 10. 1970 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა; 11. რუსი კონსტრუქტორი; 12. "არსენალის" ფრანგი ფორვარდი; 13. სიგრძის საზომი ასტროლომიული ერთეული; 14. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი; 15. სხვადასხვა ავტორის ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრებული; 16. ფულისა და წონის ერთეული ძველ საბერძნეთში; 17. ტაივანის ადმინისტრაციული ცენტრი; 18. მუდმივი მუშტარი, დამკვეთი; 19. კოლონის დამაგვირგვინებელი ნაწილი; 20. ტყვე; 21. რუსი მეიგავე; 22. მზის ღვთაება ძველ ეგვიპტეში; 23. განვლილი მანძილის შეფარდება დროსთან; 24. დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი; 25. უეცარი შიში, თავზარი; 26. მუსიკალური ბგერის აჟღერების ხერხი; 27. ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში; 28. რუმინეთის ფულადი ერთეული; 29. ქალის სასიმღერო ხმა; 30. ფრანგი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურიატი; 31. მე-19 საუკუნის ინგლისელი მწერალი; 32. პირის ღრუს ზედა, თაღისებრი ნაწილი; 33. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 34. ადამიანთა ჯგუფის სპეციალური მიზნით გამგზავრება; 35. რუსული ნარმოების ლუდი; 36. მე-19 საუკუნის ინგლისელი ბუნებისმეტყველი.

## TV პროგრამა

27 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "ოპერაცია "ი" და შურიკას სხვა თავგადასავალი" **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **17.00** სერიალი "მარკო პოლო" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "ამერიკული რაფსოდია" **22.00** "ფსიქო"- "გზა". რეჟ. ალმაზ გუნეი (18). **01.20** მხ. ფილმი "სისხლიანი კრუიზი" (18)ყ

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** გადაცემა: აღმოჩენა. **10.30** გადაცემა: აკუსტიკა. **12.00** გადაცემა: თალასა. **14.04** პირადი საუბრები. **16.30** ღმერთების რისხვა. მხ. ფილმი. რეჟისორი იდრისა უედრაოგო. 2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მინდვრის ხმები. დოკ. ფილმი. **22.25** რაგბი. საფრანგეთი-ახალი ზელანდია. **24.40** მოგზაურობა ბარგის გარეშე. მხ. ფილმი. რეჟისორი პიერ ბუტრონი. 2004.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "დღე" (გ) **09.20** იმღერე რამე **09.50** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.10** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" **13.55** ფეხბურთი. "თბილისი" - "ლოკომოტივი". შესვენებისას მოამბე **16.00** მხ. ფილმი "მაისის თოვლი" **17.00** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **18.00** ვესტნიკი **18.40** "იმღერე რამე" **19.05** "ტელეზღაპარი" **19.20** "დრო და ადამიანები" - გუტენბერგი **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" - სალამური **20.35** მუს. ოქტაგონი - ლ. ისაკაძე **21.25** დოკ. ფილმი "ლენინი" **22.15** საღამოს საუბარი **23.00** სპექტაკლი "პალატა 6" **00.45** მხ. ფილმი "ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან" (გ)

### კავკასია

**15.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" (გ) მე-3 ს. **17.00** ქართული მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** მხ. ფილმი "პატრიოტი" (გ) **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "ჩემი უკანასკნელი ტანგო" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** მუსიკ. კონკურსი "ჯეოსტარი" **22.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. **00.00** მხ. ფილმი "ნამდვილი სიყვარული" (18) (ჰიუ გრანტი)

### მეორე არხი

**19.00** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **19.50** საქართველო არის ესე -ქსნის და ლეხურას ხეობა **20.15** დოკ. ფილმი "ოპერაცია "მთვარე" **21.10** "იმღერე რამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისთვის - ერისთავი **22.00** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" - სალამური **22.15** ასე ვცხოვრობთ **22.35** მხ. ფილმი "ერთი ბედის ანოტაცია" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "ქანდარის შვილები" 1-ლი ს. (გ) **19.35** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** მხ. ფილმი "შიშის საფასური" (15) **21.50** მხ. ფილმი "წაიკითხე ტუჩებზე" (15)

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის კუზიანი მნათე" **10.00** მხ. ფილმი "დოყლაპია" (გ) **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.40** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "საქორწილო წვეულება" (გ) (მ.დუგლასი) 15.15ი უცნობი საქართველო **15.45** წუთისოფელში - ლაგოდეხი **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** "ბი-პი" ჩვენი პარტნიორი **19.45** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "ვატელი" (გ) (უ. თურმანი) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.10** იმედის მელოდიები

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** ფილმი-ზღაპარი "ყინულის დედოფალი" **10.40** მუსიკა **11.00** "გადარჩენილი სიტყვა" **11.25** დოკ. ფილმი **11.45** "სტარტი" **12.20** კომედია "რა სურთ ქალებს" **14.20** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.45** მხ. ფილმი "დაუმარცხებელი" **16.15** მულტფილმი **17.20** "ჭიტა-ჭიტა" **17.45** ბოევიკი "დაქირავებული მკვლელები" **19.50** დოკ. ფილმი **21.00** დრამა "სიყვარულის ექო" **22.35** მუსიკა **22.45** მისტიკა "ანაზაპტა"

### 202

**10.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** რეტროსპექტული ჩვენება - ჩარლი ჩაპლინი **20.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** რეტროსპექტული ჩვენება - ჩარლი ჩაპლინი

### OPT

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Полнометражный мультфильм "Болто. Судьба дочери". **1**-я ч. **06.40** Галина Польских в комедии **"ЕЛКИ-ПАЛКИ" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Смак" с Андреем Макаревичем. **10.30** "Любовные истории". Николай Басков. **11.10** Спецрасследование. "Ведьмы наших дней". **12.10** История с географией. "Джон Ф. Кеннеди. Боевое крещение". **13.10** "Умницы и умники". **14.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **14.20** "Пестрая лента". Евгений Евстигнеев. **15.20** Субботний "Ералаш". **15.40** Ким Бэссинджер в комедии **"ПРИВЫЧКА ЖЕНИТЬСЯ"**. **17.50** Классика Уолта Диснея. Впервые в России. **18.10** Криминальная Россия. "Опасные праздники". **1**-я с. **18.40** "НОВЫЕ ПЕСНИ О ГЛАВНОМ". **20.00** "Кто хочет стать миллионером?". **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.30** "Золотой граммофон". **23.30** Мишель Пфайффер в комедии **"ОДИН ПРЕКРАСНЫЙ ДЕНЬ" 02.00** Джин Трипплхорн в триллере **"СПАСТИ БРАТА" 03.40** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА"**. Закл. с. **05.00** Док. сериал "История живописи сестры Венди".

### НТВ

**06.00** Мультфильм "Шайбу, шайбу". **06.20** Боевик **"КОДЕКС МОЛЧАНИЯ". 08.00, 10.00, 13.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Боцман и попугай". Выпуск 2-й. **08.25** Сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА". 08.50** Без рецепта. Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** Особо опасен! **14.00** Андрей Ильин в фильме **"КАКАЯ ЧУДНАЯ ИГРА"**. **16.00** Сегодня. **16.20** "Женский взгляд". Ирина Чащина. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"ТАКСИСТКА: ПО СЕКРЕТУ ВСЕМУ СВЕТУ". 19.40** Профессия - репортер. **20.10** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: ЧУЖОЙ БЕДЫ НЕ БЫВАЕТ". 21.20** Киану Ривз в фильме **"СЛАДКИЙ НОЯБРЬ" 23.45** Майк Тайсон. Лучшие бои. **Майк Тайсон - Луи Савариз. 00.25** Хетер Грэм в фильме **"УБЕЙ МЕНЯ НЕЖНО"**. **02.25** Футболлистика. **03.00** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 04.35** Кармен Электра в фильме **"ПАРФЮМ"**

# ჯერ იყიდე, მერე განსაჯე

## მიკი რურკი მუზარადის გარეშე

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მიკი რურკი მსოფლიო ქალების ოცნება გახდა ფილმიდან "9 S კვირა". ეს 1986 წელს იყო. მერე წლები გავიდა. რურკიმ 35-იოდე ფილმში ითამაშა და ამასობაში 51 წლისაც შეიქნა. თუმცა, ასაკი ერთ დროს ყველაზე სექსუალურ მამაკაცად აღიარებულ მსახიობს ხელს არაფერში უშლის. რურკი კვლავაც აქტიურად არის ჩართული ჰოლივუდურ ცხოვრებაში და 2005 წელს ერთდროულად ორ ფილმზე მუშაობს - "ცოდვების ქალაქი" და "დომინო".

პირველს ფრენკ მილერის მოთხრობების მიხედვით რობერტ როდრიგესი იღებს. ცოდვების ქალაქი გამოგონილი ადგილია, სადაც მარვი, რურკის პერსონაჟი დაეძებს იმ ქალის მკვლელს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა.

კინოპროექტების გარდა მიკი რურკი მოდაშიც აქტიურადაა ჩართული. ჟურნალ "ვოგის" ცნობით, მისი პირველი მოდის კოლექციის პრეზენტაცია ძალიან მალე გაიმართება. მან კონცეფციასა და მოდელირებაზე ჰოლანდიელ დიზაინერ კრისტიან აუდიგერთან ერთად იმუშავა. მათი ერთობლივი კოლექცია ყველასგან გამორჩეული იქნება. რურკი ბაიკერების შემოსვაზე იზრუნებს და სავაჭრო ნიშანს "სთროუქერ ჯოს" დაარქმევს. "სთროუქერ ჯო რეალური პიროვნებაა. ის ბაიკერია და მას კარგად ვიცნობ", - ასე ხსნის თავისი კოლექციის სათაურს მიკი რურკი და ამტკიცებს, რომ მისი სპორტული ტანსაცმელი ყველასგან გამორჩეული, ორიგინალური და ხარისხიანი იქნება. თუმცა, იქვე აღიარებს: "არის ერთი დეტალი, რომელიც ძალიან არ მომწონს. ეს მუზარადია. მათ ტარებას ვერც მე ვიტან". ასე რომ, ჯერ არავინ იცის, "სთროუქერ ჯოს" კოლექცია შეიცავს თუ არა მუზარადებს - დეტალს, რომელიც ბევრი ბაიკერისთვის უსაფრთხოების ნამდვილი გარანტია.





ეს ქალი ან მარიო ტესტინოს, ან კენ ლოუჩის, ან რომელიმე სხვა ხელოვანის ფანტაზიის ნაყოფია.

ლონდონის ხელოვნების სამეფო აკადემიაში ტრადიციული გასაიდუმლოებული გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. დემიენ ჰირსტის, თრეისი ემინის ღია ბარათები ისე სწრაფად დაიტაცეს დამსწრეებმა, რომ პარასკევის ვაჭრობა ძალიან მალე დასრულდა. თუმცა, ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. შაბათს, 18 საათამდე ლონდონელებს კვლავაც შეუძლიათ ინკოგნიტო, მაგრამ ძალიან ცნობილი მხატვრების ღია ბარათების ყიდვა. "რამდენიმე დიდი სახელი კვლავაც დაგვრჩა. მათ შორის, მოდის ცნობილი ფოტოგრაფი, მარიო ტესტინოც გახლავთ", - აცხადებს სამეფო აკადემიის წარმომადგენელი სიუ ბრედბამი.

დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ავტორის ვინაობა მყიდველმა ბოლო წუთებამდე არ იცის. მან ექსპონატი ყველა სხვა დამატებითი მიზეზისგან დამოუკიდებლად უნდა მოიწონოს, შეიძინოს და ვინაობასაც შემდეგ გაიგებს, როცა კუთვნილ ნივთს ამოატრიალებს და მეორე მხარეს ხელმოწერას ნახავს.

თითოეული ბარათი 35 გირვანქა სტერლინგი ღირს. ეს იშვიათი შანსია მათთვის, ვისაც ცნობილი თანამედროვე ხელოვანების ნამუშევრების ხელმისაწვდომ ფასად შეძენა სურს. სწორედ ამ მიზეზით, სამეფო აკადემიაში გუშინ დილიდან დიდი რიგები იყო. ხალხი არც არჩევანის გაკეთების შემდეგ იშლებოდა და ნაყიდ ექსპონატს კარგა ხანს ათვალიერებდა.

გარდა ზევით დასახელებული მხატვრებისა, ღია ბარათები ცნობილმა რეჟისორმა კენ ლოუჩმა, მოდის დიზაინერმა ჰუსეინ ჩალაიანმა და ჯგუფ "ბლერის" ყოფილმა გიტარისტმა გრემ კოქსონმა დახატეს. გამოფენა-გაყიდვიდან შესული თანხა სამეფო აკადემიის სტუდენტთა ფონდში გადაირიცხება.


ამ ზამთრის პეიზაჟსაც სახელოვანი ავტორი მხოლოდ შეძენის შემდეგ გამოუჩნდება.

Athen
Barcelona
Bari
Berlin
Bilbao
Bologna
Budapest
Dresden
Dublin
Edinburg
Faro
Hamburg
Helsinki
Ibiza
Lisbon
London
Manchester
Madrid
Marseille
Milan
Malaga
Mallorca
München
Nice
Palermo
Palma
Paris
Pisa
Prague
Rome
Sevilla
Stockholm
Thessaloniki
Vienna
Warsaw
Valencia
Venezia
Zurich

KÖLN/BONN — TBILISI

თბილისი - კიოლნი/ბონი

ყოველ ორშაბათს
ST 1140 CGN-TBS 21:30/03:40

ყოველ შაბათს
ST 1141 TBS-CGN 04:40/07:05

ერთი გზა 255 EURO
ორი გზა 390 EURO

www.gexx.de

Sheraton Metechi Palace
20, Telavi St.
0205 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 773171
Fax: +995 32 774171
sales@valley.ge

Flughafen Koeln/Bonn
51147 Koeln, Germany
Fax: +49-2203-54490
Georgien@GermaniaAirline.de

Callcenter: +49 1805 737100

Germania
Germania Fluggesellschaft mbH

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
2 მისამართი
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები
4 დაბადების თარიღი
5 სკოლა
6 კლასი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.